წლიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: პასუხ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოსი 10—58, მთ. კანტორის—2—31.

ოთხშაბათი,
26
აპრილი
1933 წ.
№ 96 (3652)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამბის თესვის დამთავრებამდე დარჩა 10 დღე

მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის დღეს—პირველ მაისს, შევხვდეთ გადამწყვეტი გამარჯვებებით ბამბის ფრონტზე

აზერბეიჯანი—საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზა

აზერბეიჯანი მდიდარია არა მარტო ნავთით. წლითი-წლობით ძლიერდება აზერბეიჯანის მნიშვნელობა ბამბის წარმოებაში. აქ იქმნება საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზა.

ნავთი და ბამბა—აი ორი ძირითადი მიმართულება აზერბეიჯანის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. და თუ ნავთის მრეწველობის განვითარების დარგში პარტიულ ორგანიზაციას აქვს მიღწევები, სოფლის მეურნეობის დარგში, კერძოდ მებამბეობის ხაზით, ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული.

დღემდე აზერბეიჯანის პარტორგანიზაციის ზოგიერთი რგოლები ცდილობენ თავი დაიძვრინონ სასოფლო - სამეურნეო ამოცანებისაგან, ყოველ შემთხვევაში ამ ამოცანებს ისინი სთვლიან, მეორე ხარისხოვან და მესამე ხარისხოვან ამოცანად. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ აზერბეიჯანმა სრულიადაც ვერ გამოიყენა თავისი შესაძლებლობანი იმ წარმატებების განსამტკიცებლად, რომლებიც მიღწეულია 1931 წელს მებამბეობის განვითარების საქმეში.

საგაზაფხულო კამპანიის პერიოდში აზერბეიჯანმა უნდა დათესოს 191 ათასი ჰექტარი ბამბა და საშუალოდ თვითეული ჰექტარიდან უნდა მიიღოს მოსავალი არა ნაკლებ 7 ცენტნერისა.

აზერბეიჯანის პარტიულ ორგანიზაციას ამჟამად აქვს ყველა პირობები იმისათვის, რომ სასახელოდ შეასრულოს ეს პროგრამა. საჭიროა მხოლოდ გადაჭრით იქნას დაძლეული სოფლის მეურნეობის მნიშვნელობის შეუფასებლობა, რაც ახასიათებს აზერბეიჯანის პარტ - ორგანიზაციის საგრძნობ ნაწილს. აზერბეიჯანელმა ამხანაგებმა, ბოლოს, უნდა შეიგნონ, რომ ეს შეუფასებლობა არ იძლევა რესპუბლიკის იმ უდიდეს რესურსების გამოყენების საშუალებას, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის უმაგალითო აყვავება.

გადავაქციოთ აზერბეიჯანის სოფლის მეურნეობა სანიმუშო, ბაქოს გმირული პროლეტარიატის შესაფერ მეურნეობად—აი ლოზუნგი, რომლის ქვეშაც დარაზმულ უნდა იქნან მთელი პარტიული ორგანიზაცია, მუშათა და კოლმეურნეთა მასები. არა მარტო ნავთის კოშკების და ნავთის ამომღებ დარგების შეჯიბრება, რაც განვითარებულ და გაძლიერებულ უნდა იქნას, არამედ ნავთის მრეწველობის მუშების შეჯიბრება საბჭოთა მეურნეობების მუშებთან, კოლმეურნეობებთან და კოლმეურნეებთან სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის; საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების შეჯიბრება ბამბის საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარებისათვის. იშვიათია სხვა ორგანიზაცია, აზერბეიჯანის ორგანიზაციასთან შედარებით, რომელსაც მოეპოვება ისეთი უდიდესი შესაძლებლობანი და ისეთი დიდი გამოცდილება, რომლებიც საშუალებას იძლევიან მიეცეს ამ შეჯიბრებას მძლავრი გაქანება და მაღალი საწარმოო ეფექტიანობა. და კარგი იქნებოდა, თუ აზერბეიჯანის ბოლშევიკები არ გადასდებდენ ამ ამოცანას სხვა დროისათვის და გამოიყენებდენ მის განსახორციელებლად პირველ მაისისათვის მზადების დღეებს.

1933 წლის ბამბის გეგმაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეგვიპტის ჯიშის ბამბას. აზერბეიჯანს აქვს ისეთი რაიონები, რომლებიც თავისი კლიმატიური პირობების მიხედვით, უფრო ხელსაყრელია ეგვიპტის ჯიშის ბამბის მოსაყვანად არა მარტო ტაჯიკისტანის ზოგიერთ რაიონებთან შედარებით, არამედ ზოგჯერ ამ კულტურის სამშობლოს შედარებითაც კი. მაგალითად გასულ წელს ეგვიპტის ჯიშის ბამბის საშუალო მოსავლიანობა ტაჯიკისტანში უდრიდა 2,5-3 ცენტნერს, აზერბეიჯანში კი—5,5 ცენტნერს. ალი-ბაირამლინის რაიონში, ყარა-ჩალას საბჭოთა მეურნეობაში ეგვიპტის ჯიშის ბამბის საშუალო მოსავალი უდრიდა 6,2 ცენტნერს. ზოგიერთ უბნებზე მიღებულ ბოჭკოს სიგრძე 2—3 მილიმეტრით აღემატებოდა ეგვიპტეში მიღებულ ბოჭკოს. ამასთან საინტერესოა, რომ ამავე საბჭოთა მეურნეობაში აგრონომ ამხ. კრემლევას საცდელ ნაკვეთებზე მიღწეულ იქნა ეგვიპტის ჯიშის ბამბის მოსავლიანობა 10—12 ცენტნერის რაოდენობით ჰექტარიდან; ე. ი. უფრო მეტი, ვიდრე ეგვიპტეში. ყოველივე ეს ადასტურებს იმას, რომ აზერბეიჯანს შეუძლია გახდეს და იგი კიდეც უნდა გახდეს ეგვიპტის ჯიშის ბამბის უმნიშვნელოვანეს ბაზად. ჯერი იმაზეა, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული კონტროლი გაუწიოს ამ მუშაობას.

მაგრამ რა არის დამახასიათებელი თესვის კამპანიის დაწყებისათვის აზერბეიჯანში? თუ შევადარებთ სათესი ფართობების აქაურ სივრცეს არსებულ გამწევ ძალასთან, როგორც მექანიკურ, ისე ცოცხალ ძალასთან, მივიღებთ სრულიად ნორმალურ, ხოლო აქა-იქ კი მცირე დატვირთვას გამწევი ძალის ერთეულზე. მაგალითად, ყარაჩალას საბჭოთა მეურნეობას აქვს 4.000 ჰექტარი სათესი ფართობი და მოეპოვება 72 ტრაქტორი და 450 ცხენი. მაშასადამე, არის სრული შესაძლებლობა მივაღწიოთ უმაღლეს ხარისხობრივ მაჩვენებლებს მინდვრების დამუშავებაში. და აი, თურმე, სხვა მებამბეობის რაიონებს შორის, სატრაქტორო პარკის გამოყენების და მუშაობის ხარისხის მხრივ, სწორედ აზერბეიჯანი სდგას, თითქმის, ყველაზე უფრო უკანასკნელ ადგილზე. თუ ავიღებთ საგაზაფხულო ხვნის მიმდინარეობას, დავინახავთ, რომ ტრაქტორის ნაყოფიერება ბევრ ადგილებში არ აღემატება 0,3—0,5 ჰექტარს დღეში. სულ უბრალო ნაწილის დაზიანების გამო, ტრაქტორები რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში უქმად დგანან ხნულში, ვინაიდან არ არის მოგვარებული მათი შეკეთება მინდვრად და გახურებული ხვნის პერიოდში მათ არ ქონდათ საკმაო საწვავი მასალა (და ეს ბაქოს მახლობლად). მუშაობის ცუდი პირობების გამო, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებიდან წავიდენ ტრაქტორისტები. მანქანებს იყენებენ სამეურნეო ტვირთზიდვისათვის. ტრაქტორისტების და სარემონტო სახელოსნოების მუშათა შემადგენლობა დანაგვიანებულია კლასობრივად უცხო ელემენტებით. ყველა ამ მოვლენებს ადგილი აქვს აზერბეიჯანის ბევრ სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში.

ეს უკვე პირდაპირ უთაურობაა; როდესაც ლაპარაკია რომელიმე მიყრუებულ ადგილზე, რომელიმე სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მუშაობაზე, რომელსაც, თავისი სახელოსნოები არა აქვს, სამრეწველო ცენტრიდან ასეული ვერსითაა დაშორებული და პარტიული ძალები, პირდაპირ წერა - კითხვის მცოდნე მუშაკებიც კი ძალიან ცოტა მოიპოვება, — მაშინ კიდევ წარმოსადგენი იქნებოდა; მაგრამ ასეთი სამანქანო-სატრ. სადგურების მიმართაც კი ლმობიერება დაუშვებელია; მაშინ რაღა უნდა ითქვას აზერბეიჯანის სამანქანო - სატრაქტორო სადგურებზე, რომლებიც უნდა ყოფილიყვნენ პოლიტიკური და ტექნიკური სრულყოფის ნიმუშები; ეს უთაურობაა, აზერბეიჯანელო ამხანაგებო. ამ უთაურობის მაჩვენებელია რაიონებში გამოაშკარავებული თვალახვევის უამრავი ფაქტი. ადამიანები, რომელთაც ვერ შეძლეს მართებულად გამოეყენებინათ ტრაქტორები და კოლმეურნეობათა და მუშა - ცხენი, ატყუებენ სახელმწიფოს და თავის მოქმედებას ფარავენ გაბერილი ციფრებით მოხნული ფართობის რაოდენობის შესახებ. 19 რაიონის ოპერატიულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ განსხვავება რაიონების მიერ წარმოდგენილ ცნობებსა და ფაქტიურად მოხნულ ფართობს შორის 10.000 ჰექტარზე მეტია. ალი-ბაირამლის რაიონში ცნობას მიუმატეს 1.630 ჰექტარი, აგდაშის — 1215 ჰექტარი, ბარდის—1.204, აგჯაბედის რაიონში—1.115 ჰექტარი, და სხვ. მთელი ეს უმსგავსოება უკანასკნელ დრომდე დაუსჯელი რჩებოდა.

ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, განჯის, ბევრი კოლმეურნეობა განზრახ ხნავს ხარვეზებით, ზერელედ, რადგან გადახვნის დროს ყოველ კოლმეურნეს კვლავ ეწერება შრომა - დღეები, და, ამგვარად, ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ბრიგადა, რომელიც მუშაობის მეტად ცუდ ხარისხს იძლევა, ღებულობს ორმაგ გასამრჯელოს თავისი უბნის დამუშავებისათვის.

ეს ფაქტები საუკეთესოდ ააშკარავებენ; თუ რამდენად შორს არიან აზერბეიჯანის პარტიული ორგანიზაციები საკოლმეურნეო ცხოვრების, საკოლმეურნეო წარმოების საკითხებისაგან, დეტალებისა და „წვრილმანებისაგან“. ეს ფაქტები ერთხელ კიდევ მოწმობენ სოფლის მეურნეობის მნიშვნელობის შეუფასებლობას.

ცუდათაა აქ საქმე ზამთარში მორწყული ფართობის დაფარცხვის და თესვის წინ საგაზაფხულო მორწყვის მხრით; ეს თესვის მომზადების ყველაზე უფრო ჩამორჩენილი უბნებია. ჯერ კიდევ არ არის დაფარცხული ზამთარში მორწყული მთელი ფართობი, თესვა კი უკვე დაიწყო. აშკარაა, რომ ასეთი მდგომარეობა სრულიად უკარგავს მნიშვნელობას საზამთრო მორწყვას ზოგიერთ რაიონში; რადგან ნიადაგს სწრაფად ეცლება დაგროვებული სინესტე და იგი მარილდება. საგაზაფხულო მორწყვის დაგვიანება დაკავშირებულია საირიგაციო სისტემის და მის მომსახურე კადრების ცუდ მდგომარეობასთან. უკვე დროა აზერბეიჯანმა სერიოზულად მიჰყოს ხელი ირიგაციის სწორად მოწყობას და შექმნას მორწყვის საინჟინერო ქსელი, დროა აგრეთვე შეიქმნას ამ საქმის გამგე მუშაკთა მუდმივი კადრები. ამ მხრივ აზერბეიჯანმა უნდა ისწავლოს შუააზიის მოწინავე კოლმეურნეობებისაგან, რომელთაც უკვე ჰყავთ გამოცდილი კადრები; ბამბის მომრწყველნი; მართლაც, შეუძლებელია ისეთი გზით სვლა, რომლითაც წავიდა მილის საბჭოთა მეურნეობა. გაგზავნეს ადამიანები მომრწყველთა ორკვირიეულ კურსებზე და გადასწყვიტეს, რომ ყველაფერი გაკეთებულია. საბჭოთა მეურნეობაში კი წარმოუდგენლად გაოხრებულია წყალთა მეურნეობა, ადგილი აქვს წყლის დიდად გადახარჯვას, ცალკე უბნების წყლით დაფარვას.

ჩვენ გავამახვილეთ ყურადღება თესვისათვის მზადებაში აზერბეიჯანის პარტორგანიზაციის მუშაობის უმნიშვნელოვანეს დეფექტებზე. თუ მათ აღმოფხვრით, — მათი აღმოფხვრა კი საჭიროა და შესაძლებელი, — აზერბეიჯანის წინაშე დასმული ამოცანა — დაამთავროს ბამბის თესვა 10 მაისისათვის — წარმატებით იქნება შესრულებული.

მიმდინარე წლის ხომ უკეთესი მდგომარეობაა საწარმოო გეგმების შედგენის მხრითაც, სარწყავი ქსელის გაწმენდის მხრითაც, სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის რემონტის მხრითაც, თესლის და მინერალური სასუქის შეტანის მხრითაც. მაშასადამე, თესვის სამუშაოების ხელმძღვანელობის გაძლიერების პირობებში შეიძლება გამარჯვებას მიღწევა.

უკანასკნელი თვეების მანძილზე მთელ რიგ რაიონების კოლმეურნეობებში მასიურად შევიდნენ ერთპიროვნული მეურნენი. ისეთ რაიონებში, როგორიცაა, მაგალითად, აგდაშის, შამხორის, იანვარ - თებერვალ - მარტის პერიოდში კოლმეურნეობებში შევიდა ორი-სამი ათასი ახალი მეურნეობა. უნდა ითქვას, რომ ეს მოვლენა პარტიულ ორგანიზაციებს უყურადღებოდ დარჩათ. ზოგიერთ რაიონში შეიქმნა გვაროვნული ნიშნის მიხედვით მოწყობილი ახალ კოლმეურნეობანი, ზოგიერთებში კი არ არის გატარებული წესდებით მოთხოვნილი ძირითად საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოება. ეს სახავს ამოცანად შემოწმებულ იქნან კოლმეურნეობებში შესული ერთპიროვნული მეურნეობები, დახმარება გაეწიოს კოლმეურნეობებს მათ ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცებაში.

მთელი სერიოზულობით უნდა მიეცეს გაფრთხილება აზერბეიჯანის პარტიულ ორგანიზაციებს კლასობრივად უცხო ელემენტებით კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების დანაგვიანების საფრთხის შესახებ. კოლმეურნეობებში ძვრებიან კულაკი, ყოფილი მედუქნე, ვაჭარი. აზერბეიჯანის საბჭოთა მეურნეობებს ეტანება მრავალი უცხო ადამიანი და, კერძოთ, ჩრდილოეთ-კავკასიიდან, — განკულაკებულნი, იქიდან გამოქცეულნი და სხვ.

საჭიროა გამახვილებული კლასობრივი სიფხიზლე, შეურიგებელი ბრძოლა კულაკის აგენტებთან—მემარჯვენე ოპორტუნისტებთან, — რათა გაიწმინდოს საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი და აღკვეთოს მტრების წინააღმდეგობა. აზერბეიჯანის სოფლის მეურნეობის წინაშე დასმული ახალი ამოცანები მოითხოვენ პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნას. ძალები არის, ოღონდ საჭიროა მათი სწორად გამოყენება; არსებული საკოლმეურნეო პარტუჯრედები უფრო უნდა დაუახლოვდენ წარმოებას. საკ. კ. პ. (ბ) ცეკას გადაწყვეტილება კოლმეურნეობების „ისკრა“-ს და „ვპერიოდ“-ის მოხსენებათა გამო იძლევა ამ მუშაობის პროგრამას და მიმართულებას. 1.157 საკოლმეურნეო უჯრედი, 350-ზე მეტი სასოფლო უჯრედი, 71 უჯრედი საბჭოთა მეურნეობებში, 28 სამანქანო - სატრაქტორო სადგურთან—ეს, ქალაქიდან ახალი კვალიფიციური პარტიული ძალების მოსვლის და უცხო ელემენტებისაგან გაწმენდის პირობებში, წარმოადგენს აზერბეიჯანის სოფლის უდიდეს დამრაზმავ ძალას; ბამბის თესვა დაიწყო; გამარჯვების გასაღები აზერბეიჯანის ბოლშევიკების ხელშია.

აზერბეიჯანის სოფლის მეურნეობის გადაქცევა სანიმუშოდ, ბაქოს პროლეტარიატის ღირს მეურნეობად — საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობაა, რომლის შესრულებისათვის საჭიროა ბოლშევიკურად ბრძოლა.

(1933 წლის 24 აპრილის „პრავდა“-ს მოწინავე წერილი).

ამხ. ბუდიონის 50 წლისთავი

ს.ს.რ.კ ცაკის პრეზიდიუმის მისალმება ამხ. ბუდიონის.

ძვირფასო სიმონ მიხეილის-ძევ!

შენი 50 წლისთავზე, რომელთაგან საუკეთესო წლები შენ შესწირე ბრძოლას ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის, საბჭოთა კავშირის ცაკი გიგზავნის მხურვალე სალამს.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს იმედი აქვს, რომ შენ კიდევ მრავალი წლობის განმავლობაში იქნები ამხ. ვოროშილოვის თანამებრძოლი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშურ-გლეხური წითელი არმიის ორგანიზაციის საქმეში; სამოქალაქო ომსა და სამეურნეო მშენებლობაში დაგროვილი დიდი გამოცდილებით შენ მუდამ იქნები ლენინის პარტიის მოწინავე რიგებში.

ს.ს.რ.კ. ცაკის პრეზიდიუმი

ძვირფასო სიმონ მიხეილის-ძევ!

მხურვალედ გესალმებით თქვენი დაბადების 50 წლისთავზე. თქვენი სახელი განუყრელად არის დაკავშირებული 1918—1921 წ.წ. სამოქალაქო ომის ყველაზე უფრო გმირულ მომენტებთან, რომლის გამარჯვების ისტორიაში თქვენ გიჭირავთ ასეთი სახელოვანი და საპატიო ადგილი.

12 წელზე მეტია, რაც თქვენ ხართ ლენინის პარტიის წევრი და დგეხართ კომუნიზმის მოწინავე რიგებში.

ვიგონებთ რა ჩვენს საერთო მუშაობას წითელ არმიაში, ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სახელოვან ჯარებში, გისურვებთ ხანგრძლივ ბრძოლას და ბოლშევიკურ მუშაობას.

ა. ბუბნოვი

პირველი დღეების შედეგები არადამაკმაყოფილებელია

(ტელეფონით ბორჩალოდან)

ბამბის თესვა ბორჩალოს რაიონში ნაწილობრივად 20 აპრილიდან დაიწყო. 22 აპრილამდე დაითესა 174 ჰექტარი. 22 აპრილს შესდგა რაიონის დამთესი შტაბის და სპეციალისტების თათბირი, რომელმაც დაასკვნა, რომ ამინდი ხელსაყრელია და შესაძლებელია ბამბის მასიური თესვის დაწყება.

ამ დასკვნის საფუძველზე სოფ-საბჭოებს და კოლმეურნეობებს მიეცათ წინადადება 23 აპრილიდან შესდგომოდენ მასიურ თესვას.

24 აპრილისათვის რაიონში შემდეგი მდგომარეობაა: გადახნულია 4635 ჰექტარი, გეგმის 38,8 პროც. დაფარცხულია 4,36 ჰექტარი, გეგმის 49 პრ. 23 აპრილს თესვა დაიწყო გარდა სადახლოსი, სადაც ჯერ კიდევ თოვლი დევს.

23 აპრილს რაიონში დაითესა ბამბა 1,71 ჰექტარზე. **ამრიგად 24 აპრილისათვის ბამბა დათესილი იყო სულ 454 ჰექტარი, ანუ გეგმის 4,4 პროცენტი.** კოლმეურნეებს დათესილი ქონდათ 336 ჰექტ. 7,8 პროც. ერთპიროვნულ მეურნეობებს 110 ჰექტ., 1,8 პრ. კულაკურ შეძლებულ მეურნეობებს 7 ჰექტ. მტკიცე დავალებების 4 პროც.

ბორჩალოს რაიონში წელს ბამბა უნდა დაითესოს 10.322 ჰექტ. თესვა 10 მაისისათვის უნდა დამთავრდეს. ასე, რომ დღეში უნდა დაიფარცხოს არა ნაკლები 580 ჰექტარისა. **პირველ დღეს 23 აპრილს რაიონმა დღიური ნორმა ვერ შეასრულა.**

საჭიროა რაიონის საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობით უზრუნველყონ მუშა-საქონლის მაქსიმალურად გამოყენება და თესვის დღიური ნორმების ყოველ მიზეზს გარეშე გადაჭარბებით შესრულება.

ნ. ტყემალაძე.

მთავარი ყურადღება ექცევა თესვის ხარისხს

(ხონის რაიონი)

ნიადაგის ადრეული ხვნა რაიონის კოლმეურნეობებმა 20 მარტისათვის დაამთავრეს. ერთპიროვნულ მეურნეობებმა კი 15 აპრილს. 22 აპრილიდან დაიწყო მასიური თესვა.

წინ მიდიან ხონის მეორე და მესამე უბნის, ნახახულევის და ჯიხაიშის კოლმეურნეობები. ჩამორჩა კუხი, გუბი და ღანირ-ქვიტირი.

მოსავლიანობის გადიდებისათვის მიღებული ღონისძიებების გატარებაში პირველი ადგილი ხონის მეორე უბნის მეორე არტელმა დაიჭირა.. შემდეგ მოდის ივანდიდი და ნახახულევი. სამ. სატრაქტორო სადგური მაქსიმალურ დატვირთვით გადასულია ფარცხვაზე.

მთელი ცოცხალი გამწევი ძალა გასულია სათესად. მთავარი ყურადღება ექცევა თესვის ხარისხს. ზოგიერთი კოლმეურნეობები 6 მაისამდე დაამთავრებენ თესვას.

ხონი, 24 აპრილი. ჩაის საბჭოთა მეურნეობამ საგაზაფხულო თესვის გეგმა (425 ჰექტ.) შესრულა 15 აპრილისათვის. დაკვრითი წესით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციის საფარების მშენებლობა. პლანტაციის აღდგენის გეგმა შესრულებულია 125 პროცენტით, კაპიტალური რემონტი —650 პრ. მიმდინარე რემონტის — 195 პროცენტით.

ბამბუკი გაშენდა 25 ჰექტარზე (11 პროცენტი) და ტუნგო— 5 ჰექტარზე (100 პროც.) ცოცხალი ღობე გეგმით უნდა გაკეთდეს 10 ჰექტარზე, 24 აპრილისათვის დარგული იყო 5 კილომეტრის სიგრძეზე, რაც შეადგენს 60 პროც. დარგვა მიმდინარეობს.

მთელი ძალები დარაზმულია საფრების, ცოცხალი ღობის და ბოსტნის თესვის გეგმის შესასრულებლად 22 აპრილიდან დაიწყო ძველი პლანტაციის გადახნა. მუშაობს 8 ცხენი და ერთი მოტო-კულტივატორი. **ამ დღეებში დაიწყება ჩაის პირველი გათოხნა.**

ა. ქ—ძე

ბამბის თესვას დავამთავრებთ 5 მაისისათვის

(ტელეგრაფით საგარეჯოდან)

წელს საგარეჯოს რაიონში ბამბა უნდა დაითესოს 500 ჰექტარზე. 24 აპრილიდან მანავის, კაკაბეთის, ნინოწმინდის და გიორგწმინდის სასოფლო საბჭოებში შემავალი კოლმეურნეობები და ერთპიროვნული მეურნეები მასიურად შეუდგნენ ბამბის თესვას. სათესლე მასალა მომარაგებულია, მზადაა სამანქანო - სატრაქტორო სადგურის სათესი მანქანებიც, მაგრამ სადგურის განკარგულებაში მყოფი ეს მანქანები არ არის საკმარისი.

თუ ამინდმა ხელი არ შეუშალა, მინდვრად მუშაობას, ბამბის თესვა ყოველ მიზეზს გარეშე დამთავრდება 5 მაისისათვის, ესე იგი საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ დაწესებულ ვადაზე.

ჯინჭველეიშვილი.

მიბაძეთ მოწინავე კოლმეურნეებს

(ოზურგეთი, საქ. კორ.)

მასიური ხვნა-თესვა ოზურგეთის რაიონში ისევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. საქ. სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადების მიხედვით სიმინდის მოხვნა აქ უნდა დამთავრებულიყო 15 აპრილისათვის, თესვა კი უნდა დამთავრდეს 10 მაისისათვის. რაიონში მიმდინარე წელს უნდა დაითესოს სიმინდი სულ 7222 ჰექტარი. აქედან ფაქტიურად 21 აპრილისათვის 1-ლი ხვნა ჩატარებული იყო 3582 ჰექტარზე, რაც უდრის გეგმის 51,1 პროცენტს. ამავე რიცხვისათვის დათესილი იყო სიმინდი 164 ჰექტარი, ანუ გეგმის 2,3 პროცენტი.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ბოსტნეულის და კარტოფილის თესვა. 21 აპრილისათვის კარტოფილი დათესილი იყო 20 ჰექტ. ანუ გეგმის 40 პროც. ბოსტნისათვის ნიადაგის მომზადების გეგმა შესრულებული იყო 57 პროცენტით, ხოლო ბოსტნეულის თესვის გეგმა 14,1 პროც.

მოწინავე კოლმეურნეობები და ცალკე საკოლმეურნეო ბრიგადები იძლევიან მუშაობის სანიმუშო მაგალითებს. ასე მაგალითად, სოფ. ჭალის კოლმეურნეობამ პირველი მოხვნის გეგმა დაამთავრა მთლიანად ვადამდე 5 დღით ადრე და შეუდგენ მასიურ თესვას. მელექედურის კოლმეურნეობაში მოწინავე ბრიგადების დასაჯილდოებლად დაარსებულია გარდამავალი დროშა, რაც დიდ ხალისს იწვევს მუშაობის დროს. ამავე კოლმეურნეობის № 1 ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს დამკვრელი კოლმეურნე კომკავშირელი არტემ მგელაძე—პირველი მოხვნის გეგმა ვადამდე შეასრულა და წამოაყენა შემხვედრი გეგმა 3 ჰექტ. რაოდენობით. როგორც ძირითადი, ისე შემხვედრი გეგმების წარმატებით შესრულებისათვის № 1 ბრიგადა დაჯილდოებულია გარდამავალი დროშით.

უკანასკნელ დღეებში საუკეთესო ამინდები დაიჭირა. მთელი ძალები გასულია მინდვრად სამუშაოთ, მოწინავე კოლმეურნეობებმა აიღეს ვალდებულებები, რომ ისინი მაღლობ ადგილებზე 5 მაისამდე დაამთავრებენ სიმინდის თესვას.

მაქსიმალურად არის გამოყენებული ქალთა და მოზარდთა შრომა. მრავალწლიან კულტურათა რგვის გეგმები შესრულებულია საგრძნობი გადაჭარბებით. რაიონი მთლიანად უზრუნველყოფილია გადარჩეული და ჯანსაღი სათესლე მასალით.

ტ. აცანელი.

პირველობისათვის მებრძოლი კოლმეურნეობები

(ზუგდიდის რაიონი, სოფ. კორცხელი)

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 31 მარტის დადგენილებამ საქართველოს დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის მოწვევის შესახებ, მხურვალე გამოხმაურება პოვა სოფ. კორცხელის კოლმეურნეობებში.

12 აპრილს, მოწვეულ იქნა კორცხელის სასოფლო- საბჭოში შემავალ სოფლების პარტიული თათბირი,— კომუჯრედის მდივნების, პარტორგების, პარტპროპაგანდისტების და საკოლმეურნეო აქტივის მონაწილეობით.

თათბირმა დაამუშავა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას ბიუროს დადგენილება საქ. დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის მოწვევის შესახებ.

პარტიული ორგანიზაციების თათბირმა, საკოლმეურნეო აქტივთან ერთად, მიიღო ახალი ვალდებულება, რომ ბოლშევიკურად უხელმძღვანელებენ საკოლმეურნეო მშენებლობას და ურყევად გაატარებენ კოლმეურნეობებში ამხ. სტალინის რჩევა-დარიგებებს.

პარტიულ ორგანიზაციების თათბირმა მიიღო აგრეთვე ვალდებულება, თესვის ბოლშევიკური მაჩვენებლების დროზე შესასრულებლად, მასიურ - პოლიტიკური მუშაობის მინდვრათ, გადატანის შესახებ.

იბრძვიან რა საქ. დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობაზე დელეგატების გაგზავნის უფლების მოპოვებისათვის, კორცხელის კოლმეურნეები იწვევენ სოფ. ჩხორის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებს.

სოცშეჯიბრება ფართოდ იშლება კოლმეურნეობაში, საკოლმეურნეო ბრიგადებსა და ცალკე კოლმეურნეთა შორის.

შ. ჭალაგანიძე

ტყიბულმა სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს ჩამორჩენა

სოცშეჯიბრება—დამკვრელობის 4 წლისთავისათვის ტყიბულის მაღაროებმა უნდა მიაღწიონ გადამწყვეტ გარდატეხას

ქვანახშირის ამოღება ეცემა

(ჩვენი სპეც. ბრიგადისაგან)

ტყიბული, 24 აპრილი. 22 აპრილს ტყიბულის მაღაროებში ნაცვლად 1040 ტონისა (დღიური დავალება) გამოიღეს 479 ტონა ქვანახშირი, გეგმის 46 პროცენტი. აქედან სტალინის სახ. უბანში 624 ტონის ნაცვლად (დღიური დავალება) გამოღებულია 273 ტონა, გეგმის 44 პრ., ლენინის სახ. უბანში კი 416 ტონის ნაცვლად (დღიური დავალება) გამოიღეს 206 ტონა ქვანახშირი, რაც შეადგენს გეგმის 49 პროცენტს. თუ ამ ციფრებს შევადარებთ აპრილის პირველი რიცხვების ცნობებს, დავინახავთ, რომ **მაღაროებში ამოღება თანდათან კლებულობს. მაგ. პირველ** აპრილს მაღაროებში ამოღებულია 771,75 ტონა ნახშირი, 15 აპრილს კი 526,5 ტონა. 22 აპრილისათვის ეს ციფრი ეცემა 479 ტონამდე. **ამგვარად, გაუმჯობესების მაგივრად აპრილის მეორე ნახევარში ადგილი აქვს მაღაროების მუშაობის გაუარესებას.**

კიდევ უფრო სამარცხვინო სურათი წარმოგვიდგება თვალწინ, თუ შევადარებთ მაღაროების მუშაობას გასულ წელთან.

ავიღოთ თუნდაც ამხ. სტალინის სახელობის უბანი, ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ უბანში 1932 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, ამა წლის პირველ კვარტალში ამოღება საგრძნობლად შემცირდა. აი სათანადო ცნობებიც. 1932 წლის პირველ კვარტალში სტალინის სახ. უბანში 33 ათასი ტონას ნაცვლად ამოღებულ იქნა 20.161 ტონა ქვანახშირი. (გეგმის 61 პროცენტი), 1933 წლის პირველ კვარტალში კი იმავე უბანმა 30.747 ტონის ნაცვლად (კვარტალური გეგმა) მოგვცა 19.960 ტონა ნახშირი, რაც კვარტალური გეგმის 65 პროცენტს შეადგენს. აქ, გასულ წელთან პროცენტულ ზრდის გვერდით, ადგილი აქვს ფაქტიური ამოღების შემცირებას 204 ტონით. ეს იმ დროს, როცა გასული წლის პირველ კვარტალში ამ უბანში მუშაობდა 354 მუშა, ხოლო ამა წლის პირველ კვარტალში კი მუშაობდა 344 მუშა. ჩამორჩენას ადგილი აქვს შრომის ნაყოფიერების დარგშიაც. გასული წლის პირველ კვარტალში შრომის ნაყოფიერება თვიურად ერთ კაცზე უდრიდა 19 ტონას (გეგმის 108 პროც.), ამა წლის პირველ კვარტალში კი საშუალო - თვიური შრომის ნაყოფიერება ერთ კაცზე არ აღემატებოდა 19,3 ტონას, გეგმის გათვალისწინებული 21,7 ტონის ნაცვლად. (გეგმის 89,9 პროც.).

ეს ცნობები მოწმობენ, რომ ამხ. სტალინის უბანი ამ წლის პირველ კვარტალში უფრო ცუდი მაჩვენებლებით მუშაობდა, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში.

რით აიხსნება ეს სამარცხვინო ჩამორჩენა და მუშაობის გაუარესება ქვანახშირის გამოღების დარგში? ამის უმთავრესი მიზეზია ქვანახშირის ახალი ფენების გაჭრასთან დაკავშირებული ტექნიკური სიძნელენი. საქმე იმაშია, რომ ახალი ფენები, რომლებიც ახლა იჭრება სტალინის სახ. უბანში ქვიანია, მოითხოვს მოსამზადებელი პერიოდის გაგრძელებას და ტექნიკურად რთულ სამუშაოს წარმოადგენს.

მაგრამ მარტო ეს არ სწყვეტს ჩამორჩენის მიზეზების საკითხს. უბნის სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობის სისუსტე და მუშათა შორის სოცშეჯიბრება და დამკვრელობის გაუშლელობაც წარმოადგენს ამ ჩამორჩენის მიზეზს. შრომის დისციპლინის შესუსტებასთან ერთად, რასაც ადგილი აქვს საერთოდ მაღაროებში, მცირეა აგრეთვე სოცშეჯიბრებაში ჩაბმულ მუშათა რაოდენობა. (მუშათა საერთო რიცხვის 70 პროც.).

მაღაროების ხელმძღვანელებმა სწორედ ამ მომენტს უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და აქეთკენ გააძლიერონ მუშაობა. უკანასკნელად, პარტიის და მთავრობის 8 აპრილის დადგენილების რეალიზაციასთან დაკავშირებით, მაღაროებში უმოკლეს ხანში უნდა იქნას მიღწეული გადამწყვეტი გარდატეხა და უზრუნველყოფილ იქნას საწარმოო დავალებათა აუცილებლად შესრულება.

მექანიზმები გამოუყენებელია. საწარმოო დავალება არ სრულდება

(ბარიტის მაღაროები)

ქუთაისი, 25 აპრილი. (საკ. კორ.) საქ.კ.პ.(ბ) ც.კ; სახკომსაბჭოს 8 აპრილის დადგენილების დამუშავებისათვის ს.კ.პ.(ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ბარიტის მაღაროებში მიამაგრა მუშაკები. ბარიტის მაღაროების პარტკომი უკვე 20 აპრილიდან შეუდგა ც.კ. 8 აპრილის დადგენილების მასიურ დამუშავებას წიფლარის, ყონეთის მექვენაო და ლოკნარის ბარიტის უბნებში. თათბირებზე სწარმოებს პრაქტიკული წინადადებების შეგროვება ამ დადგენილების სწრაფი რეალიზაციის თვალსაზრისით.

ბარიტის მაღაროებში ამ ჟამად ძალზე ჩამორჩენილი არიან საწარმოო დავალების შესრულებაში. **წიფლარის—ხევის ბარიტის მაღაროებმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 35,2 პროცენტით შეასრულეს.** ჩამორჩენის მთავარი მიზეზია მუშა-ხელის ნაკლებობა, ტექნიკის ათვისებისათვის სუსტი ბრძოლა, ამხ. სტალინის 6 პირობის გაუტარებლობა და სხვ..

მაღაროებს მოეპოვება მთელი რიგი გაუმჯობესებული მექანიზმები (კომპრესორები, პნევმ. ჩაქუჩები და სხვ), მაგრამ ისინი მეტწილად არ არიან გამოყენებული. პროფორგანიზაცია ძალზე სუსტად ზრუნავს არსებულ ტექნიკურ წრეების მუშაობის გაშლისათვის. მუშა-ხელის სიმცირე მათი დენადობა გამოწვეულია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობით, ბარიტის მაღაროების დირექციამ და სახკვების ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს ამ მხრივ გარდატეხის მიღწევა. 1933 წლის გეგმით მაღაროებში უნდა მუშაობდეს 220-დე კაცი, ფაქტიურად კი მუშაობს 120-დე მუშა.

მაღაროებიდან ბარიტის გამოზიდვა დაბრკოლებულია ტრანსპორტის ცუდი მუშაობის გამო. ამ ჟამად მექვენას მიდამოებში დაგროვილია 4000-დე ტონა ბარიტი, მისი გამოზიდვა ფერხდება საჭირო რაოდენობის ავტომანქანების უყოლობის გამო. მანქანები არის, მაგრამ შეკეთებაში დგანან, მათ ხშირ რემონტს იწვევს ცუდი გზა მექვენას მიმართულებით. ქუთაისის საგზაო განყოფილება გზის შეკეთებაში ძალზე ნელ ტემპებს იჩენს. მაღაროს დირექციის მიერ არ არის ზუსტად დაცული მანქანების შეკეთების ვადები, სუსტია კონტროლი შეკეთების ხარისხზე.

საქ.კ.პ.(ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს 8 აპრილის დადგენილების საფუძველზე ბარიტის მაღაროების ორგანიზაციებმა ძირეულად უნდა გარდაქმნან თავისი მუშაობა და უმოკლეს დროში მიაღწიონ არსებულ გარღვევების ლიკვიდაციას.

ლ.

ქვანახშირი

ტყიბული, 25 აპრილი. (საქ. კორ.) 22 აპრილს ტყიბულის მაღაროებში ამოღებული იქნა 479 ტონა ქვანახშირი, გეგმის 46 პროცენტი, გეგმით გათვალისწინებულ 1444 მუშის ნაცვლად მუშაობდა 637 მუშა, შრომის ნაყოფიერება ერთ მუშაზე 720 კილოგრამის ნაცვლად უდრიდა 611 კილოგრამს, გეგმის 82 პროც., რკინის გზამ 30 ვაგონის ნაცვლად მაღაროებს მიაწოდა 29 ვაგონი

ცემენტი

კასპი, 25 აპრილი. კასპის ცემენტის ქარხანაში საწარმოო გეგმის შესრულება 23 აპრილისათვის შემდეგ სურათს იძლევა: გეგმის თანახმად უნდა გამოეწვათ 55820 კასრი ცემენტი, ფაქტიურად გამოიწვა 44104 კასრი, გეგმის 79 პროც., უნდა დაფქვილიყო 55820 კასრი, დაიფქვა 83217, გეგმა შესრულებულია 149 პროცენტით; უნდა გაგზავნილიყო 54970 კასრი, გაიგზავნა 66287, გეგმის 120,6 პროც.

ს. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკათა ორდენების და გულზე სატარებელი ნიშნების შესახებ

სსრკ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ორდენებით დაჯილდოება დამსახურებისათვის შეიძლება მოხდეს მხოლოდ საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის დადგენილებით. მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები ინარჩუნებენ უფლებას აღძრან შუამდგომლობა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე ორდენებით დაჯილდოების შესახებ.

2. ამ დადგენილების 1-ლ მუხლთან შეფარდებით შეწყდეს მოკავშირე რესპუბლიკათა ორდენებით დაჯილდოება აღნიშნულ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების მიერ [illegible] ში მხოლოდ საბჭოთა კავშირის ის ორდენები: „ლენინის“, „წითელი-დროშის“, „წითელი ვარსკვლავის“ და „შრომის წითელი დროშის“, რომლებსაც იძლევა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

3. მოკავშირე რესპუბლიკათა ყველა ორდენები, რომლებიც გაცემულია მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების მიერ ამ დადგენილების გამოცემამდე, რჩება ძალაში მათ შესახებ დამტკიცებულ დებულებათა ფარგლებში.

4. დაშვებულ იქნას გულზე სატარებელი ნიშნების გაცემა ცალკე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების, უწყებების და დაწესებულებების მიერ, [illegible] კანონიერად იმ შემთხვევაში, თუ მათი ნიმუშები დამტკიცებული იქნება საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

5. ყველა წინად გაცემული გულზე სატარებელი ნიშნები, რომლებსაც აქვთ მსგავსება საბჭოთა კავშირის ორდენებთან, უნდა შეიცვალოს უახლოეს დროში სხვა ნიშნებით, რომელთა ნიმუშები დასამტკიცებლად უნდა წარდგენილ იქნან საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში.

ს.ს.რ.კ. ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

მ. კალინინი

ს.ს.რ.კ. ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

ა. ენუქიძე

მოსკოვი, კრემლი, 23 [illegible]

ხორცის კომბინატების მშენებლობა საქართველოში

მოსკოვი, 24 აპრილი. იმის გამო, რომ ადრე დაიწყო პირუტყვის შემოსვლა თბილისის ხორცის კომბინატში, საბჭოთა კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატმა დაავალა კომბინატის ხელმძღვანელობას დაამთავროს მაცივარის რეკონსტრუქცია პირველ აგვისტოსათვის რეკონსტრუქციის სამუშაოებისათვის გაღებულ იქნება 608 ათასი მანეთი. ამის გარდა, თბილისის ხორცის კომბინატის ახალი საამქროების კაპიტალური რემონტისათვის გაღებული იქნება 112 ათასი მანეთი. ფოთის კომბინატის—35 ათასი და სამტრედიის კომბინატის —15 ათასი მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივნის ამხ. მეერზონის სიტყვა

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და ა.-კ. სამ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე პარტორგანიზაციების ამოცანათა შესახებ თესვის კამპანიაში

ამხანაგებო! მიმდინარე თესვის კამპანია განირჩევა განსაკუთრებული სირთულით. მეორე ხუთწლედის ეს პირველი საგაზაფხულო თესვის კამპანია თავისი ამოცანებით უფრო რთულია, ვიდრე პირველი ხუთწლედის ყველა წლების თესვის კამპანიები.

ამ თესვის კამპანიის მანძილზე ჩვენ გადამწყვეტ წარმატებას უნდა მივაღწიოთ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებისათვის ბრძოლაში. ამ წარმატებებს ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამიერ-კავკასიაში, რომელიც კულტურულად ჩამორჩენილია და, სადაც სოფლად აქამდის არსებობს მრავალი სხვადასხვა პატრიარქალურ-გვაროვნული, ფეოდალური, საყოფაცხოვრებო, რელიგიური და ნაციონალისტური ნაშთები.

მიმდინარე წელს ჩვენ უდიდეს შედეგებს უნდა მივაღწიოთ ჩვენი მინდვრების მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლაში. ბამბის მოსავლიანობა უნდა გავადიდოთ 25 პროცენტით, საბჭოთა კავშირში გეგმით გათვალისწინებულ საშუალო 15 პროცენტის ნაცვლად თამბაქოს მოსავლიანობა აფხაზეთში უნდა გავადიდოთ 40 პროცენტით (4,8 ცენტნერიდან ჰექტარზე 7 ცენტნერამდე); საგაზაფხულო ხორბლის მოსავლიანობა—25 პროცენტით, სიმინდის—30 პროცენტით. და ეს უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც მთელ რიგ წლობის განმავლობაში მოსავლიანობის დონე მერყეობდა, ხოლო ცალკე უბნებში მოსავლიანობა კიდეც შემცირდა.

თესვის კამპანიის ჩატარების დროს ჩვენ საგრძნობლად უნდა წავიწიოთ წინ ბრძოლაში იმისათვის, რომ კოლმეურნეები ჩვენში შეძლებული გახდენ. ეს თესვის კამპანიის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. და მართალი იყო ამხ. ლავრენტი, როცა საქართველოში თესვის საკითხების გარშემო მოწვეულ რესპუბლიკანურ ყრილობაზე ეს საკითხი დასვა, როგორც ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი. კოლმეურნეთა შეძლებულობისათვის ბრძოლაში ჩვენ ამიერ-კავკასიაში საგრძნობლად ჩამოვრჩით და ბევრი მუშაობა მოგვიხდება იმისთვის, რომ აქ გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიოთ. ავიღოთ თუნდაც საქართველო, სადაც ყველაზე უფრო მეტი შედეგები გვაქვს კოლექტიურ მეურნეობათა შემოსავლიანობის ზრდის მხრივ. შრომა-დღის კოლექტიური მეურნეობის საერთო შემოსავალი საქართველოში, თავისი ბუნებრივი პირობებით ამ მთლიან ქვეყანაში, ერთნახევარ-ორჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე საბჭოთა კავშირის ცენტრალური ზოლის მძიმე პირობებში. სომხეთში და აზერბეიჯანში ჩვენ კიდევ უფრო ჩამოვრჩით. ავიღოთ, მაგალითად, ბარდა აზერბეიჯანის მებამბეობის უდიდესი რაიონი. აქ ყველა კოლმეურნეობების 25 პროცენტს შრომა-დღე აქვთ უფრო დაბალი, ვიდრე გასულ წელს: ბარდის სას[illegible] საბჭოს კოლმეურნეობა „მუზლუ“-ში შრომა-დღე 1 მან. კაპეიკიდან შემცირდა 84 კაპეიკამდე, კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში—1 მან. 77 კაპეიკიდან 1 მან. 20 კაპეიკამდე, სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში—1 მან. 18 კაპეიკიდან 51 კაპეიკამდე. აგდამის რაიონში აღმოჩნდა ისეთი კოლმეურნეობები, სადაც შრომა-დღე უდრის 0,2 კაპეიკს, 5 კაპეიკს, 9 კაპეიკს და სხ. ცხადია, თუ რა დიდი მუშაობა გვაქვს ჩვენ ჩასატარებელი ამ დარგში.

როგორ ვანხორციელებთ ჩვენ საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს? თესვის კამპანიისათვის ჩვენ რამდენადმე უფრო უკეთ მოვემზადეთ, ვიდრე გასულ წლებში. ამხ. ჯაფარის, გერმანის და საპკის მოხსენებებში, რომლებიც ჩვენ აქ მოვისმინეთ, მოცემული იყო იმ ღონისძიებათა ფართო სურათი, რომლებსაც ამჟამად ამიერ-კავკასიის ორგანიზაციები ანხორციელებენ საგაზაფხულო თესვის ხაზით. არ გავიმეორებ ამ ღონისძიებებს. მთელი რიგი მაჩვენებლები თესლის შეგროვების, ინვენტარის შეკეთების და სხ. დარგში და, ბოლოს, იმ მუშაკთა დიდი რაოდენობა, რომლებიც ჩვენ გავგზავნეთ სოფლად მუდმივ სამუშაოზე,—ყოველივე ეს მოწმობს, რომ თესვის კამპანიაში ჩვენ რამდენადმე უფრო [illegible]ბულად შევდივართ, ვიდრე ეს ხდებოდა გასულ წლებში.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ამჟამად მაინც გვაქვს ჩამორჩენა,—და ეს მთავარია, რასაც ხაზი უნდა გაუსვას ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა, — ჩამორჩენა სწორედ იმ დარგებში, რომლებიც განსაზღვრავენ მიმდინარე, თავისი ამოცანებით უაღრესად რთულ, თესვის კამპანიის წარმატებებს. იმისთვის, რომ კოლმეურნეობები ვაქციოთ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ხოლო კოლმეურნეები — შეძლებულად, საჭიროა ჩავატაროთ უდიდესი ორგანიზაციული მუშაობა კოლმეურნეობებში, ფართოდ გავშალოთ მასში ღონისძიებანი მოსავლიანობის გადიდებისათვის. ჩვენ კი თესვის კამპანიისათვის მომზადების მიმდინარეობაში ჩამოვრჩით, ძალზე ჩამოვრჩით სწორედ ამ დარგში.

ავიღოთ მოსავლიანობის გადიდების საკითხი. საბჭოთა კავშირის ცაკის უკანასკნელმა სესიამ კონკრეტულად აღნიშნა მოსავლიანობის გადიდების ძირითადი ბერკეტები: თესლბრუნვა, სათესლე ფონდის ხარისხი, აგროტექნიკური ღონისძიებანი, თესლბრუნვის საქმე ჩვენში ძალიან ცუდად არის. მართალია, ჩვენი სოფლის ჩამორჩენილობის გამო, თესლბრუნვის გატარება ჩვენთვის არც ისე ადვილია, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ გვანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ამ საქმეში ყოვლად დაუშვებელი დაგვიანებისათვის. აზერბეიჯანში მიმდ. თესვის კამპანიის დროს თესლბრუნვას ჩვენ ვატარებთ სულ 135 კოლმეურნეობაში, საქართველოში—109 კოლმეურნეობაში, ხოლო სომხეთში—29-ში. მუშაობა თესლბრუნვის მინდვრების განსაზღვრისა და დაყოფის ხაზით სწარმოებს უგეგმოთ, თვითდინებაზე დაყრდნობით. მეტად სუსტია მასიური ახსნაგანმარტებითი მუშაობა თესლბრუნვის საკითხების გარშემო და სხვ., დიდ სიძნელეებს წავაწყდით ჩვენ სათესლე ფონდის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 5 აპრილისათვის სულ გაწმენდილი იყო თესლის 48,3 პროცენტი, ხოლო შეყამლული კიდევ უფრო ნაკლები—28,8 პროცენტი. სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია აგრარულ ღონისძიებათა გატარების საქმე. მაგალითად, აგდამის რაიონში მიწა არ აღმოჩნდა საკმაოდ ღრმად მოხნული. (12—13 სანტიმეტრი 16—18-ის ნაცვლად), ხნავდენ ხარვეზებით. ბევრი მინდორი დანაგვიანებულია ძირებით, არ არის გაწმენდილი ღეროებისაგან; მიუხედავად იმისა, რომ რაიონში ნეხვის დიდი მარაგი მოიპოვება, მისი მინდვრად გატანის მცირეოდენი გეგმა არ შესრულებულა და სხ. ბელიასუვარის რაიონში სამანქ.-სატრაქტორო სადგურიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით კოლმეურნეობა „იდეია“-ს „მოხნულ“ 18 ჰექტარიან ნაკვეთზე ჩამოკრივებულია ბამბის შარშანდელი ბუჩქები, რომლებზედაც ბამბის მოსავალიც კი არ არის სავსებით აღებული. სალიანის რაიონში 700-მდე ჰექტარი მოხნული აღმოჩნდა, მხოლოდ 3—5 სანტიმეტრის სიღრმეზე.

მთელ რიგ რაიონებში ასეთივე გარღვევები გვაქვს საორგანიზაციო მუშაობის სფეროშიც. მაგალითად, ავიღოთ აგდამის რაიონი. ბრიგადების მოწყობა აქ მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩატარდა ფორმალურად, ხოლო ზოგჯერ არასწორადაც. მაგალითად, გექტანინის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „ენი-შინკ“-ში, რომელიც რაიონში ერთ-ერთ საუკეთესო კოლმეურნეობად ითვლება (რაიმიწგანის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ცნობებით), მოეწყო ორი ბრიგადა. შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ბრიგადები არსებობენ მხოლოდ ბრიგადირების ამხ. ალი ალიევის და ალი ახმედოვის სახით. არც ერთმა ამ ბრიგადირთაგანმა არ იცის თავისი ბრიგადის წევრები. მათ არ მიაუღიათ ბრიგადისათვის ინვენტარი, მუშა საქონელი და სხვა. საწარმოო გეგმები შედგენილია დიდი დაგვიანებით, ამავე დროს, გამომუშავების და სამუშაოთა შეფასების ნორმები აპრილის დამდეგს ჯერ კიდევ არ ყოფილა დაყვანილი საკოლმეურნეო აქტივამდე. ასეთივე მდგომარეობაა აგდამის რაიონში და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ყველა ეს მაგალითები მოწმობენ, რომ მიმდინარე თესვის კამპანიაში მეორე ხუთწლედის ამ პირველ რთულ თესვის კამპანიაში ჩვენ ჩამოვრჩით სწორედ იმ დარგებში, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ თესვის წარმატებით ჩატარებისათვის. ეს ჩამორჩენა შემთხვევითი არ არის. მას ღრმა მიზეზები აქვს. იგი ეჭვს გარეშე დაკავშირებულია დამზადებათა არადამაკმაყოფილებელ შედეგებთან მთელ რიგ კულტურების ხაზით. და ამ პლენუმის ამოცანაა მთელი ბოლშევიკური სისწორით და პირდაპირობით გამოაშკარავოს ეს მიზეზები და დაუყოვნებლივ დასახოს გზები მათი რადიკალური გამოსწორებისათვის. ამაშია იმ საკითხის მთავარი აზრი, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვიხილავთ.

I. პოლიტიკური ვითარება ამიერ-კავკასიის სოფლებში

„ხუთწლედის განხორციელების შედეგად, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ, ბოლოს, განვდევნეთ მტრულად განწყობილი კლასების უკანასკნელი ნაშთები მათი საწარმოო პოზიციებიდან, გავანადგურეთ კულაკობა, როგორც კლასი, და მოვამზადეთ ნიადაგი მისი მოსპობისათვის“ (სტალინი). მაგრამ ექსპლოატატორთა განადგურებული კლასები არ სტოვებენ ისტორიულ ასპარეზს გააფთრებული ბრძოლის და სასტიკი წინააღმდეგობის გარეშე. ყველა უკანასკნელი წლები სავსეა კლასობრივი მტრის ნაშთების ამ გააფთრებული წინააღმდეგობით ჩვენი ძლევამოსილი შეტევის საპასუხოდ.

ახალი და დამახასიათებელი მიმდინარე ეტაპისათვის არის კულაკობის ნაშთების ცდა—დარაზმონ ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად. წვრილბურჟუაზიული ანარქიულობის სტიქია“ (ლენინი). კულაკი და კულაკის დამქაშები ცდილობენ გააღვივონ კოლმეურნეთა ჩამორჩენილ ფენებში მათი კერძო-მესაკუთრეობითი ნაშთები, კულაკი ცდილობს აამხედროს ეს ფენები საზოგადოებრივი შრომის და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ, კულაკი ცდილობს ამოიყვანოს სამოქმედო ასპარეზზე **ზარმაცი, უსაქმ[illegible], არამზადა, ქურდი კოლმეურნეობაში, სპეკულიანტი ერთპიროვნულ მეურნეებს შორის,** სათავეში ჩაუდგეს ამ მოკავშირეებს“ და შეარყიოს ახალი საკოლმეურნეო წყობილება.

სწორად უნდა გავერკვეთ სოფლად კლასობრივი ბრძოლის თანამედროვე ვითარებაში, ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, თუ რომელი მხრიდან გვემუქრება საფრთხე, უამისოდ ფიქრიც კი არ შეიძლება კოლმეურნეობებისადმი, კერძოდ, თესვის კამპანიისადმი, წარმატებით ხელმძღვანელობაზე. ამ რამდენიმე წლის წინად კულაკი წარმოადგენდა საკმაოდ საგრძნობ ძალას, მას ქონდა მსხვილი მეურნეობა, საკმაოდ მძლავრი საწარმოო საშუალებანი, მის ხელში იყო ზედმეტი საქონლის საგრძნობი რაოდენობა. ამით განისაზღვრებოდა მისი გავლენა მშრომელი გლეხობის ზოგიერთ ფენებზე. ამით განისაზღვრებოდა კულაკობის წინააღმდეგობის ძალაც. აქ ყველაფერი ნათელი და გასაგები იყო.

ეხლა, როცა კულაკობა ეკონომიურად ძირითადათ განადგურებულია, როცა მან დაკარგა საწარმოო საშუალებანი, სიმდიდრე და, მაშასადამე, ის გავლენაც სოფლად, რასაც განსაზღვრავდა კულაკის ეკონომიური ძალა, მან შეიცვალა სახე და ტაქტიკა და გარდაქმნა თავისი ბრძოლის ფრონტი.

ეხლა კულაკის სახე — ეს მეტწილად არის „თვინიერების“ და თითქმის „წმინდანობის“ ნიღაბიც. „კლასობრივ მტერს ეძებენ კოლმეურნეობათა გარეთ, ეძებენ მას ისეთი ადამიანების სახით, რომლებსაც აქვთ მხეცური ფიზიონომია, უზარმაზარი კბილები, სქელი კისერი, თოფით ხელში. ეძებენ ისეთ კულაკს, როგორსაც ჩვენ მას ვიცნობთ პლაკატებიდან. მაგრამ ასეთი კულაკები უკვე დიდი ხანია არ არიან ამ ქვეყანად. ეხლანდელი კულაკები და მოკულაკონი, ეხლანდელი ანტისაბჭოთა ელემენტები სოფლად—ეს მეტ წილად არიან „წყნარი“, „ტკბილი“ ადამიანები“, თითქმის „წმინდანები“ (სტალინი).

შეიცვალა კლასობრივი ბრძოლის ფრონტიც სოფლად. ეხლა უკვე არა გვაქვს ჩვეულებრივი მდგომარეობა—ერთის მხრივ ექსპლოატატორები და მეორეს მხრივ გაძარცვულ მოჯამაგირეთა და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასა. არა, ძირითადათ ეხლა, როცა კულაკი განდევნილია თავის საწარმოო პოზიციებიდან, ფრონტი გადის სულ სხვა მიმართულებით. ერთის მხრივ დაპირისპირებულია **პატიოსანი მშრომელი კოლმეურნე და პატიოსანი მშრომელი** ერთპიროვნული გლეხი, რომელიც ხვალ იქნება კოლმეურნე. ხოლო მეორეს მხრივ დგანან კულაკობის ნაშთები და მისი მოკავშირეები—ზარმაცი, არამზადა, უსაქმური, ქურდი, სპეკულიანტი — წვრილბურჟუაზიული ანარქიულობის მთელი ეს სტიქია. აი რა ნაირი მიმართულება აქვს ამჟამად კლასობრივი ბრძოლის ფრონტს სოფლად, და ვისაც ეს არ ესმის, იგი პოლიტიკურად ბრმა არის.

ჩვენ — ამიერ-კავკასია — ჯერ კიდევ არ წარმოვადგენთ მთლიანი კოლექტივიზაციის მხარეს. ბუნებრივია, რომ ჩვენში ჯერჯერობით კულაკი უფრო ნაკლებად „დაზარალდა“, ვიდრე საბჭოთა კავშირის მარცვლეულის და ნედლეულის ძირითად რაიონებში. ამასთან ჩვენში, სოფლად, ძალიან ბევრია სხვადასხვა გვარი ნაშთები—საგვარეულო, ფეოდალური, საყოფაცხოვრებო და სხვ., ამიერ-კავკასიაში ჩვენ აქა-იქ ვხვდებით ისეთ „კოლმეურნეობებს“, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ ფარულ საგვარეულო ჯგუფებს, სადაც საკოლმეურნეო დროშის ქვეშ გაბატონებულია ნამდვილ „ტაიფა“ თავისი „აქსაკალით“. **ყველაფერი ეს საგრძნობლად ართულებს ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, კლასობრივ ფრონტს,** ვიდრე საბჭოთა კავშირის მთელ რიგ სხვა რაიონებში. აქ ჩვენში კულაკი ნაკლებადაა შედარებით განადგურებული, მან აქა-იქ „მივარდნილ კუთხეებში“ ზოგჯერ შეინარჩუნა კიდეც თავისი საწარმოო ექსპლოატატორული პოზიციები. ჩვენ აქ გვაქვს შედარებით მეტად ძლიერი, ყოველგვარი ტრადიციებით განმტკიცებული წვრილ-ბურჟუაზიული ანარქიულობის სტიქია სოფლად. აქ კულაკს აქვს ყოველმხრივ მეტი შესაძლებლობანი და ბერკეტები მოებღაუჭოს ამ სტიქიას. ასეთ პირობებში საჭიროა უაღრესი რევოლიუციური სიფხიზლე. მეტის მეტი სიზუსტე და გარკვეულობა კლასობრივი მტრისადმი მიდგომის საქმეში.

ამისთვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა შევიგნოთ, რომ „შეუძლებელია განვაგრძოთ კულაკების წინააღმდეგ **გამარტივებული** ბრძოლის ძველი ტაქტიკის წარმოება, ვინაიდან იგი, ეს ტაქტიკა, უკვე დიდიხანია მოძველდა“ (სტალინი). უნდა შევიწვდეს უნარი შევამჩნიოთ კლასობრივი მტრის ტაქტიკა ყველა მისი დეტალებით, მთელი წვრილმანებით და მახინაციებით **ახალ** პირობებში და შესაფერისად და დროზე გარდავქმნათ ჩვენი რიგები.

ამჟამად კლასობრივი მტერი ცდილობს აწარმოოს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა შემპარავად. იგი ცდილობს შეიპაროს, შეძვრეს კოლმეურნეობებში და ამიტომ ასე საშიში და მავნებელია თვითდინებაზე დაყრდნობა კოლმეურნეობებში წევრთა მიღების დროს. ჩვენ არა ვართ იმის წინააღმდეგი, რომ კოლმეურნეობებს შეემატოს ახალი წევრები, პირიქით, მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია დაუშვათ ამ საქმეში მცირეოდენი სტიქიურობა და თვითდინება, ვინაიდან იგი მხოლოდ უადვილებს კულაკს კოლმეურნეობებში შეძვრომას. და ამ მხრივ სავსებით მართალია ამხ. ბაგიროვი, რომელმაც მწვავედ დასვა ეს საკითხი პლენუმზე.

კოლმეურნეობაში კულაკი ცდილობს დაიკავოს ის პოზიციები, რომლებიც წარმოადგენენ გადამწყვეტ პოზიციებს საკოლმეურნეო წარმოებაში, რომლებიც კოლმეურნეობებში წარმოადგენენ „მბრძანებელ მწვერვალებს“. მუდამ არ ხდება და არც არის სავალდებულო, რომ კულაკმა დაიკავოს კოლმეურნეობათა გამგეობის წევრების და მათი ხელმძღვანელების თანამდებობა. კულაკს ესმის, რომ კოლმეურნეობების პირდაპირ ხელში ჩაგდების ასეთი ტაქტიკა, მე ვიტყოდი, პირდაპირი იერიშის მიტანის ტაქტიკა, მისთვის უმეტეს შემთხვევაში უკვე მიუწვდომელია და იგი ცდილობს კაპაროს ამ პოზიციებზე თავისი უახლოესი თანამებრძოლნი — მტრები და ისეთი ელემენტები, რომლებსაც ჯიბეში უდევთ პარტბილეთები, სხვადასხვა ჯურის მოკულაკოები. ხოლო თვითონ კი, მათ ზურგს უკან ამოფარებული, ცდილობს ხელთ იგდოს აღმრიცხველების მოანგარიშეების, მომრწყველების, მეჯინიბეების და სხვ. ადგილები — ყველა ის ადგილები, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ გადამწყვეტ და ბრძანებელ „საშუალო რგოლებს“ კოლმეურნეობებში. ამ პოზიციებიდან კულაკი აწყობს საბოტაჟს და მავნებლობას, აწყობს შრომის დისციპლინის შერყევას და საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებლობას, საბოლოო ჯამში აწყობს ლაშქრობას სოფ. მეურნ. სოციალისტური რეკონსტრუქციის წინააღმდეგ, კოლმეურნეობათა მოსავლიანობის და საქონლიანობის გადიდების წინააღმდეგ, ნატურალური, სამომხმარებლო, ჩამორჩენილი მეურნეობისათვის

როგორ ატარებს კულაკი თავის ამ ცბიერ ტაქტიკას? როგორ გამოვიცნოთ ასეთი გაიძვერა მტერი? როგორ ჩამოვგლიჯოთ ნიღაბი ასეთ მტერს და გამოვააშკარავოთ, გავაშიშვლოთ მასების წინაშე მისი ნამდვილი კონტრრევოლიუციური სახე? ესაა ამჟამად სოფლად ჩვენი მუშაობის **ძირითადი საკითხები.** საჭიროა ამ საკითხებზე დაწვრილებით შეჩერება და მათზე სრული პასუხის გაცემა. სხვანაირად გაუგებარია, როგორ შეუძლია კულაკს ცოცხალ სინამდვილეში, არა უჰაერო სივრცეში, არამედ ცოცხალ ადამიანთა გარემოცვაში, აწარმოოს ძირის გამოთხრის და საბოტაჟის ტაქტიკა, და როგორ შეიძლება ეს ტაქტიკა ალაგ-ალაგ შეუმჩნეველი დარჩეს. სხვანაირად,—თუ ამ საკითხებზე კონკრეტულ პასუხს არ გავცემთ,— ბრძოლა კულაკურ საბოტაჟთან შეიძლება მთელ რიგ შემთხვევებში არ გასცილდეს უბრალო ლაპარაკს. დეკლარაციას, ლაყბობას

მაშ, დავსვათ კითხვა — **რა არის კონკრეტულად კულაკური საბოტაჟი?** კონკრეტულად რა რგოლებს და ბერკეტებს ებღაუჭება კულაკი და როგორ ვებრძოლოთ ამას? ეს, ვიმეორებ, ახლა სოფლად მუშაობის ცენტრალური, ძირითადი საკითხებია.

ამჟამად საჭიროა განსაკუთრებით ვრცლად შევჩერდეთ ორ მომენტზე — **სოფლის მეურნეობის ტექნიკის დაუფლების საკითხებზე და შრომის დისციპლინისათვის ბრძოლის საკითხებზე.**

* * *

ავიღოთ სოფლის მეურნეობის ტექნიკის საკითხები. ცხადვყოთ კულაკური საბოტაჟის მთელი მექანიკა ამ დარგში მთელი მისი გაიძვერობით, მკაფიო, თვალსაჩინო, მე ვიტყოდი, მწვავე მაგალითზე, ცხენის მაგალითზე.

საყოველთაოდ ცნობილია მძიმე მდგომარეობა მუშა-ცხენის მხრით ამიერ-კავკასიის მთელ რიგ რაიონებში. მაგალითად, ყარაევის სახელობის კოლმეურნეობაში (სალიანის რაიონი) იყო 90 ცხენი, ამჟამად კი არის მხოლოდ 18.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (იგივე რაიონი, სოფ. ალჩალინი) იყო 33 ცხენი, ამჟამად კი არის მხოლოდ 1 და ისიც შრომის უნარმოკლებული. ბელიასუვარის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ცხენების შემადგენლობა სრულიად უვარგისი გახდა. სოფელ ქვემო ჯორალის კოლმეურნეობაში „ენი-ელ“ 146 ცხენიდან დარჩა მხოლოდ 17, რომელიც ექიმმა დაიწუნა. რაიონის 40 კოლმეურნეობიდან მხოლოდ ხუთში შეუძლიათ ცხენებს „ჩაებან ბრძოლაში“ თესვისათვის ფრონტზე.

როგორ მივიდენ ასეთ მდგომარეობამდე გამწევი ძალის მხრით მთელ რიგ კოლმეურნეობებში? თქვენ ფიქრობთ, რომ აქ როლს თამაშობს მხოლოდ საკვების ნაკლებობის საკითხი, ფურაჟის საკითხი? რა თქმა უნდა, ფურაჟის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მას აქ არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. აქ საკითხს სწყვეტდა და საქმეს აფუჭებდა ცბიერი, ფარული, გაიძვერული კულაკური საბოტაჟი. მე ხაზს ვუსვამ ამ თავისებურებათ — კულაკური საბოტაჟის ცბიერებას, გაიძვერობას და სხ., რადგან სრულიად არ უნდა ვიფიქროთ, რომ კულაკი პირდაპირ ღუპავდა და ხოცავდა ცხენებს, არ კვებავდა მათ, წყალს არ ასმევდა და სხ. არა, იშვიათად თუ ქონდა მას შესაძლებლობა სადმე გაეტარებია ასეთი აშკარა მავნებლობა. ნამდვილად კი ის თვითონ ძვრებოდა მეჯინიბედ არ აგზავნიდა იქ თავის კაცს და აგენტს, წყალს ასმევდა, კვებავდა და, თითქოს, კიდეც უვლიდა ცხენს. მაგრამ მთელი საკითხი იმაშია, **თუ როგორ** ჩადიოდა იგი ამას, აი აქ ჩნდება სცენაზე სოფლის მეურნეობის ტექნიკა, უფრო ზუსტად რომ ითქვას, **ამ ტექნიკის დეტალები,** რომლებიც კლასობრივი მტრის მარჯვე ხელში მოხერხებულად, გაიძვერულად ხდებიან მძლავრ იარაღად ჩვენს წინააღმდეგ.

თვითონ განსაჯეთ. აი, მაგალითად, **ცხენის გამოკვების** საკითხი. მთელ რიგ კოლმეურნეობებში, სადაც ცხენთა შემადგენლობას უდიდესი ზიანი მოუვიდა, ცხენის გამოკვების საქმე პირველი შეხედვით დაყენებული იყო ზუსტად, გარკვეულად, სა[illegible]დაც კი. აქა-იქ ასეთ კოლმეურნეობებში თქვენ ნახავდით ზუსტ ცხრილს—თუ რომელ საათში გამოეკვებათ პირუტყვი, როდის უნდა ესმიათ მისთვის წყალი და სხვ. თითქო ყველაფერი რიგზეა. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ეს „ცხრილი“ უმეტეს შემთხვევაში ერთნაირი იყო ცხენისათვისაც და ძროხისათვისაც როგორც გამოკვების, ისე გასაცემი საკვების რაოდენობის მხრით. ამავე დროს კი, როგორც ცნობილია, ძროხას საკვები უნდა მიეცეს სულ ბევრი ოთხჯერ დღე-ღამეში, ხოლო ცხენი მოითხოვს გამოკვებას არა ოთხჯერ, არამედ 8—10-ჯერ დღე-ღამეში. ასე „წესიერი და კეთილშობილური“ ნუსხის ნიღაბით ტარდებოდა ნამდვილი მავნებლობა, და აქ ძირითად იარაღსაც წარმოადგენდენ სწორედ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეტალები, ამ შემთხვევაში — ცხენის გამოკვების დეტალები.

აიღეთ **ცხენისათვის საკვების და წყლის მიწოდების** საკითხი., გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აუცილებელია ნახორხლის გადაყრა და წყლის ნარჩენის გადაქცევა, ვინაიდან ცხენი ვერ ითმენს ამ ნარჩენებს, მას უყვარს სისუფთავე. იციან თუ არა ამ წესებს მეჯინიბეები? არა, როგორც წესი, ჩვენს კოლმეურნეობებში ცხენს საკვებს აძლევენ დილით, შუადღეზე და საღამოთი. გეჯაში ყრიან ფურაჟის ისეთ რაოდენობას, რომ ცხენი ამ ფურაჟის ნაწილს აპნევს და ფეხით სრისავს, ხოლო შეუჭმელი ფურაჟის ნაწილი რჩება გეჯაში. საათობით დამდგარი წყალი ფუჭდება. შედეგად კი, თუმცა ფურაჟი არსებობს მაგრამ ცხენი უფურაჟოთ რჩება, წყალი არის, მაგრამ იგი უსმელი რჩება. ხოლო გარეგნულად აქ ყველაფერი რიგზეა; ცხენს ფურაჟი მიეცა და უხვადაც კი, წყალი ჩასხმულია საჭიროზე მეტი, და, ამრიგად, მეჯინიბემ „თავისი მოვალეობა შეასრულა“ და „გადაჭარბებითაც შეასრულა“. ფაქტიურად კი ის მავნე ანტისაკოლმეურნეო საქმეს აკეთებდა. აი როგორ გაიძვერულად ტარდება მავნებლობა სწორედ სასოფლო-სამეურნეო დეტალების საშუალებით, იმ დეტალების საშუალებით, რომელთაც ჩვენ ხშირად მხედველობიდან ვუშვებთ.

ან აიღეთ კიდევ **შებმის** საკითხი, — თითქოს, ყველაზედ უწყინარი საკითხი. აქ სრულ გაუპიროვნებას აქვს ადგილი. უღელი, როგორც წესი ერთი ცხენიდან გადადის მეორეზე, ასეა უნაგირიც, უღლების გალაზმა ჩვეულებრივად არ ხდება, თუნდაც საუღლე დაიშვას გაზებზე უფრო დაბლა. თასმები ისე არ არის მოჭერილი როგორც საჭიროა. შებმა საერთოდ „სტანდარტული“ წესით სწარმოებს. შედეგად კი ცხენს უჭერს, იგი იხრჩობა და ფუღურდება.

აი, ამხანაგებო, **მავნებლობის მექანიკა** გამწევი ძალის ფრონტზე. კულაკი, ყოფილი ლონიერი მეურნე, რომელიც კარგად იცნობს **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეტალებს,** ტექნიკის ამ დეტალებს ხდის თავისი საბოტაჟის იარაღად. ის ამას მალავს თვალისახვევით, როგორიცაა აღნიშნული ნუსხა გამოკვებისა ან საკვების გაცემის ნორმების გადაჭარბებით შესრულების დარგში, ის იყენებს ჩვენი მუშაკების ნაწილის უთაურობას, რომელნიც დამპალ-ლიბერალურ ოაუდევრობას იჩენენ ტექნიკის დეტალებისადმი და კმაყოფილდებიან უაღრესად მავნე „ხელმძღვანელობით საერთოდ“.

ტექნიკის დეტალები — ეს ამჟამად კლასობრივი ფრონტია, და მტრის ტაქტიკა აქ მდგომარეობს ამ დეტალების დამახინჯებაში, რომელიც თვალისახვევით იფარება! აი ყველაზე ყოვლისა რა იარაღით გვებრძვის კლასობრივი მტერი სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე. და ეს ბრძოლა გაჩაღებულია ყოველ თვითეულ უბანზე, თვითეულ ჰექტარზე, ყოველი ცხენის და კამეჩის გარშემო, ყოველი ტრაქტორის გარშემო.

შეხედეთ ამ თვალსაზრისით ამიერ-კავკასიის ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურებს—ბამბას, თამბაქოს, ჩაის, და თქვენთვის ნათელი გახდება გარღვევის ძირითადი მიზეზები გასული წლის დამზადებაში.

აიღეთ, მაგალითად, **აფხაზეთის თამბაქო.** ბევრი პლანტატორი, თურმე, არ იცავდა აუცილებელ აგრომინიმუმს, რაც იწვევდა თამბაქოს მასიურად დაღუპვას. აგროპერსონალი აქა-იქ ხელს უწყობდა საბოტაჟს, ყურადღებას არ აქცევდა აგრომინიმუმის დარღვევას და კიდეც დასტურს აძლევდა მას.ასე წებელდას რაიონში აგრონომი [illegible] სებადართო პლანტატორებს თამბაქოს მწკრივებს შორის დაეთესათ ბოსტნეული კულტურები განუსაზღვრელი რაოდენობით. ამ კულტურებმა ჩაახშვეს თამბაქო. იმავე რაიონში თამბაქოს 70 პროცენტამდე დაიღუპა ძირის სიდამპლისაგან, აგრომინიმუმის დაუცველობის გამო. შემდეგ, აფხაზეთის ცალკეულ რაიონებში განზრახ არ იცავდენ დარგვის ელემენტარულ წესებს: ბუჩქებს შორის სტოვებდენ 80 სანტიმეტრ ადგილს და მწკრივებს შორის 75 სანტიმეტრს, მაშინ როცა ნორმალური მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 10—15 სანტიმეტრს, ამ გზით აღწევდენ გეგმის ფორმალურად შესრულებას, ხოლო შედეგად მოსავალი მიღებულ იქნა ნავარაუდევზე 4—5 ჯერ ნაკლები.

ბამბის ფრონტზე ჩვენში, როგორც ცნობილია ადგილი აქვს მავნებლურ თესვას ტალახში და ღამით თესვას, მავნებლურ ხაზს ძველი უჯიშო თესლის გამრავლებაზე, საბოტაჟს წყალთა მეურნეობის დარგში, სადაც, როგორც წესი, ან ზედმეტად რწყავდენ მიწას, ან მორწყვა ღუპავდა ნათესს. ასევეა ჩაის ფრონტზე, მეცხოველეობის დარგში და სხვ.

თუ თქვენ გულდასმით დააკვირდებით მიმდინარე გაზაფხულის კამპანიის მომზადების მსვლელობას, ნათლად დაინახავთ, რომ ახლაც სოფელში გაჩაღებულია მეტად გააფთრებული ბრძოლა ტექნიკურ ფრონტზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეტალების ფრონტზე და სწორედ ის, რომ ჩვენ სუსტად დავირაზმეთ ამ უბანზე, რომ ჩვენ ხშირად კულაკის შესახებ სიტყვების რახა-რუხით ვჭქმალავთ მასთან **კონკრეტულ და რეალური** ბრძოლის საკითხს,—სწორედ ეს არის მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარების ხაზით ჩვენი ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი, აუცილებელია დაუყოვნებლივ გავაძლიეროთ მუშაობა და დავრაზმოთ ჩვენი ძალები.. **ყურადღება ტექნიკის დეტალებს!** აქ ხშირად მოქმედობს კლასობრივი მტერი! რევოლიუციური სიფხიზლე ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე!—ეს დასკვნები, ეს ლოზუნგები ჩვენ ამჟამად უნდა განვახორციელოთ მთელ ჩვენს პრაქტიკაში სოფლად.

თუ ტექნიკის დეტალები, ასე ვთქვათ, კლასობრივი ბრძოლის **სარბიელია** სოფლად, არეია, რომლის მობილიზაციას კლასობრივი მტერი ცდილობს, ესაა, ასე ვთქვათ, წვრილბურჟუაზიული ანარქიულობის სტიქია—ზარმაცი, უსაქმური, ქარაფშუტა, ქურდი, სპეკულიანტი. კოლმეურნეობათა განმტკიცება მოითხოვს მძაფრი ბრძოლის გაშლას შრომის რკინისებური დისციპლინისათვის კოლმეურნეობებში — კლასობრივი მტრის ამ მოკავშირეების წინააღმდეგ. ამავე დროს კი ჩვენ ამიერ-კავკასიაში ძალიან ჩამორჩებით კლასობრივ ბრძოლის ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე. 1932 სამეურნეო წლის შედეგები გვიჩვენებენ, რომ ამიერ-კავკასიის მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში 1932 წელს შრომის დისციპლინა მეტად დაბალი იყო. სწორედ ამის შედეგად ჩვენ ამიერ-კავკასიაში გვაქვს ისეთი ფაქტები, როგორიცაა, მაგალითად ის, რომ აგდაშის რაიონში (აზერბეიჯანი) ერთმა შრომისუნარიანმა წლის განმავლობაში გამოიმუშავა მხოლოდ 85 შრომა-დღე, იზმაილოვის რაიონში (სომხეთი)—37 შრომა-დღე, ლანჩხუთის რაიონში (საქართველო)—107 შრ.-დღე, ზუანდის რაიონში—27 შრომა-დღე და სხვ. შრომის დისციპლინის მდგომარეობა ამიერ-კავკასიის მთელ რიგ რაიონებში ამჟამად აგრეთვე არადამაკმაყოფილებელია. თუ კიდევ დაუმატებთ, რომ ამჟამად, საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს, ჩვენს კოლმეურნეობებში არ ტარდება საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილება შრომის დისციპლინის საკითხებში იძულების გამოყენების შესახებ, თუ თქვენ გაითვალისწინებთ მრავალრიცხოვან ფაქტებს, როცა ზარმაცები მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაუსჯელი რჩებიან ცაკის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგაც, — სავსებით ნათელი შეიქნება მთელ რიგ კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის სისუსტის, უაღრესი სისუსტის სურათი. ესაა მეტად სერიოზული პოლიტიკური დაუდევრობა თესვის კამპანიის მსვლელობაში, რამაც გამოიწვია ის ორგანიზაციული დეფექტები, ის ერთგვარი ორგანიზაციული გაურკვევლობა, რომლის შესახებ ჩვენ ვილაპარაკეთ თესვის კამპანიის მომზადების დახასიათების დროს.

* * *

ჩვენ განვიხილეთ ამიერ-კავკასიის სოფლის პოლიტიკური ვითარების საკითხები, გამოვააშკარავეთ კულაკის სახე და კლასობრივი ბრძოლის ფრონტი ახალ პირობებში, ცხადვყავით თვითკულაკური საბოტაჟის მექანიკა. და ჩვენ დავინახეთ, რომ სოფლად ჩვენი მუშაობის დეფექტებს, ცალკე უბნებზე ჩვენს ჩამორჩენას საფუძვლად უდევს ერთგვარი დაგვიანება ჩვენი საკუთარი რიგების გარდაქმნაში ახალ ვითარებასთან შეფარდებით.

ჩვენ, უეჭველია, ამ უკანასკნელ დროს ვატარებდით დიდ გამძაფრებულ ბრძოლას კულაკთან, ვაძევებდით მას კოლმეურნეობებიდან, საბჭოებიდან და სხვ., მაგრამ ეს **ცოტაა,** ეს სრულებითაც არაა საკმარისი. კულაკური ნაშთები თავისი დაღუპვის წინ ისეთ გაიძვერულ და მოხერხებულ ტაქტიკას ატარებენ, რომ მათი საბოლოოდ მოსასპობად უნდა გამოვიჩინოთ უაღრესი სიფხიზლე, უნდა ვიყოთ ძლიერ შეიარაღებულნი, უნდა გვქონდეს სრული წარმოდგენა კლასობრივი ფრონტის და კლასობრივი ბრძოლის ხასიათზე, კულაკის ტაქტიკაზე და ამ ტაქტიკის გადამწყვეტ რგოლებზე. სათანადოდ უნდა ავაგოთ მთელი ჩვენი პრაქტიკული მუშაობა სოფლად, არ დაუშვათ კულაკის წინააღმდეგ იმ გამარტივებული ბრძოლის რელსებზე დაქანება, რომლის შესახებაც ლაპარაკობს ამხ. სტალინი. მაშინ ჩვენ არ გვექნება გარღვევა და ჩამორჩენა არც თესვის კამპანიის მსვლელობაში, არც აღების კამპანიის მსვლელობაში და არც დამზადებაში.

პირველ რიგში აუცილებელია დაუყოვნებლივ:

1) **გავშალოთ ბრძოლა ანტისაზოგადოებრივი კლასობრივად — მტრული ელემენტების იზოლიაციისა და კოლმეურნეობებიდან გაძევებისათვის.** ამასთან უნდა შევძლოთ კულაკის გამოცნობა და გამოაშკარავება, რანაირადაც არ უნდა მოგვაჩვენოს მან თავი. უნდა განვდევნოთ იგი ყველა იმ ხვრელებიდან, სადაც სცდილობს შეძრომას.

2. **ყურადღება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეტალებს!** უნდა დავაწესოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ხარისხის **სასტიკი შემოწმება,** არ გუშვათ მხედველობიდან არც ერთი სულ მცირე ტექნიკური დეტალი, ვინაიდან აქ ფრონტია, აქ გაშლილია ბრძოლა კლასობრივ მტერთან.

3. **უნდა ვაწარმოოთ უაღრესად ენერგიული ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის კოლმეურნეობებში, მოვახდინოთ ზარმაცების და ქარაფშუტების წინააღმდეგ მასების გააფთრების მობილიზაცია.** ლოზუნგი „ძირს ზარმაცები“ საფუძვლად უნდა დაედოს ყოველი კოლმეურნეობის პრაქტიკულ მუშაობას.

ამ საშუალებებით დაუყოვნებლივ უნდა მოუღოთ ბოლო იმ ჩამორჩენას ხარისხობრივ მაჩვენებელთა ხაზით, რომელსაც ადგილი ქონდა თესვის კამპანიისათვის მზადების მსვლელობაში. რიგების გარდაქმნით ეს ჩამორჩენა დაუყოვნებლივ უნდა აღმოვფხვრათ.

II. სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის საკითხები

სოფლად მუშაობის შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. **სტალინმა** გარკვევით დასვა საკითხი ჩვენ მიერ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ. „პარტიამ ეხლა თავის ხელში უნდა აიღოს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა, იკისროს პასუხისმგებლობა მუშაობისათვის და დაეხმაროს კოლმეურნეებს, წინ წასწიონ თავისი მეურნეობა მეცნიერების და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე. სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში საჭიროა პირველ ყოვლისა უზრუნველვყოთ პარტიის და მთავრობის დავალებათა შესრულება ამიერ-კავკასიის უმთავრესი კულტურების—ბამბის, თამბაქოს და ჩაის ხაზით. **ბამბის დამზადების** გეგმა 1932 წელს ჩვენ ვერ შევასრულეთ, განსაკუთრებით აზერბეიჯანში, რომელმაც „1931 წელს მიღწეული წარმატებებიც კი ვერ შეინარჩუნა“, რის შედეგად „1932 წელს დამზადებულ იქნა 10 პროცენტით უფრო ნაკლები ბამბა, ვიდრე 1931 წელს“ (ამხ. სტალინის და მოლოტოვის სადირექტივო დეპეშიდან). საჭიროა მიმდინარე წელს მთელი ბოლშევიკური ენერგიით ვიბრძოლოთ გამარჯვებისათვის ბამბის ფრონტზე და მოვახდინოთ ამიერ-კავკასიის ყველა პარტორგანიზაციების, პირველ რიგში, აზერბეიჯანის პარტორგანიზაციის მობილიზაცია ამხ. **სტალინის და მოლოტოვის** შემდეგი სადირექტივო მითითებების შესასრულებლად: მოხვნის სათანადო ხარისხი, სატრაქტორო პარკის მუშაობის სათანადო ხარისხის და თესვის მტკიცე ვადების უზრუნველყოფა, მებამბეობის რაიონებიდან საზაფხულო საძოვრებზე მასიურად გასვლის თავიდან აცილება, სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა საწარმოო უბნების კადრების გაძლიერება, ყარაჩაიის და მილსკის საბჭოთა მეურნეობების გადაქცევა მებამბეობის საქმის ტექნიკის ნამდვილ ნიმუშებად. ეგვიპტის ბამბისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა.

თამბაქოს დარგში, სადაც ჩვენ 1932—33 წელს საგრძნობი გარღვევა გვქონდა დამზადების ხაზით აფხაზეთში, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას როგორც რიცხვობრივ, ისე განსაკუთრებით, ყველა ხარისხობრივ დავალებების შესრულება. საჭიროა გავშალოთ დაუზოგავი ბრძოლა კულაკური საბოტაჟის და მავნებლობის წინააღმდეგ, გამოვააშკარავოთ და გავაძევოთ პარტიის რიგებიდან ყველა გადაგვარებულნი და შემარიგებელნი, რომელნიც კუდში მისჩანჩალებენ კულაკს და არ შესწევთ უნარი აწარმოონ ბოლშევიკური ბრძოლა თამბაქოსთვის.

ჩაის დარგში საჭიროა თავის დროზე გავატაროთ ყველა საჭირო ღონისძიებანი (შეკრება-გასხვლა, მსუბუქი გადაბარვა და სხ.), და საგრძნობლად წინ წავიწიოთ 1933 წელს საბჭოთა კავშირის ჩაის ბაზად ამიერ-კავკასიის გადაქცევის საქმეში.

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ მთავარ კულტურებს, მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა გაუშვათ მხედველობიდან ჩვენი სოფლის მეურნეობის დანარჩენი დარგები (მეცხოველეობა, მემინდვრეობა, მებაღეობა და მებოსტნეობა, მევენახეობა და სხვ). საჭიროა გვახსოვდეს, რომ ყურადღების მიქცევა **მხოლოდ** მთავარ კულტურებისათვის და ყველა დანარჩენი კულტურების დავიწყება, მათთვის ზურგის შექცევა—ეს იქნება ყოვლად დაუშვებელი სიბეცე და ხელმძღვანელობის ვულგარიზაცია. დანარჩენი კულტურების უგულებელყოფა, მათი გადაქცევა ერთგვარ „გერებად“ აუცილებლად შეაფერხებს სოფლის მეურნეობის საერთო განვითარებას და, საბოლოო ანგარიშში, დიდ ზიანს მიაყენებს თვით მთავარ კულტურებს. განა შეუძლიათ, მაგალითად, ბამბის რაიონებს სწრაფად განვითარდენ, თუ ამ რაიონებში უგულებელყოფთ, უყურადღებოდ დასტოვებთ მეცხოველეობის, მარცვლეულის კულტურების და სხვ. განვითარებას? საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ ბეც მიდგომას, მთავარ კულტურების **დაპირდაპირებას** დანარჩენ კულტურებისათვის, საჭიროა **უზრუნველყოფილ იქნას სოფლის მეურნეობის ისეთი დაგეგმვა, რომლის დროს ყველა დანარჩენი კულტურები ხელს შეუწყობენ მთავარი, გამძღოლი კულტურების განვითარებას.** ამიერ-კავკასიაში, რომელსაც ახასიათებს კულტურების და ბუნებრივ პირობების მრავალფეროვანება, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ეს წესი მტკიცედ და საფუძვლიანად უნდა შევითვისოთ.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია ცალკე შევჩერდე მეცხოველეობაზე, ამიერ-კავკასიის მთელ რიგ რაიონებში ადგილი აქვს ამ დარგის მნიშვნელობის არასაკმაოდ შეფასებას და, შედეგად—საგრძნობ ჩამორჩენას მუშაობის ამ დარგში. მიმდინარე თესვის კამპანიაშიაც უნდა აღინიშნოს საკვების მოპოების გეგმების შეუსრულებლობა, დაგრილების კამპანიის არაორგანიზებულად ჩატარება და სხვ. ამავე დროს, ამიერ-კავკასიაში, მისი უმდიდრესი ბუნებრივი შესაძლებლობებით (ვრცელი სათიბები, საუცხოვო ალპიური საძოვრები და სხვ.) მეცხოველეობა შეიძლება აყვანილ იქნას მეტად მაღალ დონეზე. საჭიროა დაუყოვნებლივ ბოლო მოეღოს ისეთ დამოკიდებულებას მეცხოველეობისადმი, თითქოს, იგი მეორეხარისხოვანი დარგი იყვეს. საჭიროა შევითვისოთ, რომ ეს არის ერთ-ერთი გამძღოლი დარგი რომელიც მოითხოვს ჩვენს უდიდეს ყურადღებას, ისევე როგორც ბამბა, თამბაქო და ჩაი.

* * *

ამიერ-კავკასიაში სოფლის მეურნეობის წარმატებით ხელმძღვანელობა მოითხოვს—უდიდეს მუშაობას კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ხაზით და ერთპიროვნულ მეურნესადმი სწორ დამოკიდებულებას.

ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობანი, რომლებშიაც გლეხურ მეურნეობათა 40 პროცენტი შედის, ალაგ ალაგ, ჩვენი სოფლის საგრძნობი კულტურული ჩამორჩენილობის გამო, ჯერ კიდევ ძალიან სუსტნი არიან. ავიღოთ აზერბეიჯანი. აქ 3.500 კოლმეურნეობიდან 500 სრულიად „მიკროსკოპიული“ კოლმეურნეობაა, რომლებშიაც შედის 5—10—12 მეურნეობა, 1.600 ძალზე წვრილი კოლმეურნეობა, რომლებშიაც შედის 30-მდე მეურნეობა. მთელ რიგ შემთხვევებში კოლმეურნეობები არ არიან ჩამოყალიბებულნი წესდების მხრივ და ფაქტიურად მხოლოდ სახელწოდებით არსებობენ. ფართოდ გავრცელებულია კოლმეურნეობათა აგების „ტაიფური“ პრინციპი, როცა კოლმეურნეობის სახელით გვევლინება არსებითად ჩვეულებრივი „ტაიფა“ თავისი ავტორიტეტით „აქსაკალით“.

აი, მაგალითად, რა მდგომარეობაშია კოლმეურნეობები ვეღჩაის რაიონში. 146 კოლმეურნეობიდან 66 პროც. ძალზე წვრილია. მთელ რიგ სოფლებში, სადაც კომლების უმნიშვნელო რაოდენობა მოიპოვება არსებობს 2.3 და კიდევ მეტი კოლმეურნეობა. ამ წვრილ კოლმეურნეობათა უმრავლესობა აგებულია „ტაიფის“ პრინციპის მიხედვით.რამდენიმე ერთპიროვნული მეურნეობანი, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ ნათესაური დამოკიდებულებით, ერთდებოდენ კოლმეურნეობაში და თითქმის სავსებით გადამქონდათ იქ ყველა გვაროვნული ტრადიციები და კერძოდ, ჩვეულებრივად შეძლებული გლეხის ან კულაკის გვაროვნული ავტორიტეტის ბატონობა—„აქსაკალა“. უფრო მსხვილი კოლმეურნეობანი ხშირად შესდგებიან რამდენიმე „ტაიფისაგან“, რომელნიც ურთიერთშორის აწარმოებენ გააფთრებულ ბრძოლას გავლენისათვის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისათვის.

ბელიასუვარის რაიონში 41 კოლმეურნეობიდან 22 ე. ი. ნახევარზე მეტი აერთიანებს 20-დან 45-მდე მეურნეობას. თვითეულ ასეთ კოლმეურნეობაში შრომის უნარის მქონე წევრების რიცხვი 40-დან 60-მდე აღწევს. რაიონის მთელ რიგ სოფლებში (ზარმანდალა ხარიაბადი, დოკრუდში, ჯარულლი და სხვ.) კოლმეურნეობებში ადგილი აქვს ტაიფების ბრძოლას „მბრძანებლურ მწვერვალების“ ხელში ჩასაგდებათ და კოლმეურნეობების მისწრაფებას მოახდინონ „თვითგაურკვევა“ „კოლმეურნეობა-ტაიფის“ პრინციპის საფუძველზე. ბევრი კოლმეურნეობა სიპატარავისა და მუშა-ხელის სიმცირის გამო მოკლებულია საშუალებას აითვისოს შრომის-ტევადი კულტურები (ბამბა); ზოგიერთი კოლმეურნეობები მუშა-ხელს ქირაობენ კოლმეურნეობის გარეთ, რაც მძიმე ტვირთად აწვება კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლიანობას და დიდ ზიანს აყენებს მათ ბიუჯეტს.

ლენქორანის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მიწა და მუშა-საქონელი განსაზოგადოებულია ფორმალურად. მიჯნები არ არის მოსპობილი და თვითეული კოლმეურნე განაგრძობს ხვნას „თავის“, ლობით და თხრილით გამოყოფილ მიწაზე და მუშა-საქონელი ფაქტიურად ძველი „პატრონების“ ხელშია“, რომელნიც მას იყენებენ თავიანთ მოხედულებებისამებრ.

რა არის ყველაზე უფრო დამახასიათებელი, რა განსაზღვრავს ამიერ-კავკასიის მთელ რიგ კოლმეურნეობათა სისუსტეს რაც აქ აღნიშნულ იქნა? ეს არის—**შინაურული, ნათლიმამური, გვაროვნული კავშირის ელემენტები.** აქ მოჩანს ჩვენი ამიერ-კავკასიის სოფლის ჩამორჩენილობა. იგი არ ქრება ზღაპრულად კოლმეურნეობაზე გადასვლის დროს, იგი ერთგვარი სახით რჩება კოლმეურნეობაში და თავისი ჯაჭვებით სულს უხუთავს, ბოჭავს და ავიწროებს საკოლმეურნეო მშენებლობას. „მკვდარი იტაცებს ცოცხალს“.

გულდასმით შეამოწმეთ ბევრი ჩვენი კოლმეურნეობის მუშაობა და თქვენ ხშირად დაინახავთ ამ გვაროვნულ და საყოფაცხოვრებო კავშირის გავლენას — ნათესაური პრინციპი ბრიგადების მოწყობის დროს, შრომა-დღეების ჩაწერა ნათლიმამობით, ხელმძღვანელი პირების ზრუნვა თავის „ახლობელ კაცზე“ და სხვ.

ყველაფერი ეს გვავალებს ჩვენ გავშალოთ უდიდესი, ნამდვილად **უდიდესი, დაჟინებული მუშაობა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის.** უწინარეს ყოვლისა ყურადღებით უნდა გადავათვალიეროთ ყველა **ჩამორჩენილი** კოლმეურნეობების მუშაობა და დაუყოვნებლივ გზადაგზა გამოვასწოროთ შემჩნეული დეფექტები. უნდა უზრუნველვყოთ საწარმოო ბრიგადების სწორი შევსება და ორგანიზაცია მუშა-ხელის მიზანშეწონილად განაწილების, ინვენტარის და მუშა-პირუტყვის ნამდვილად მიმაგრების, მიწის ნაკვეთების სწორად გამოყოფის და გეგმა-დავალებების გულდასმით დამუშავების გზით. უნდა უზრუნველვყოთ საწარმოო გეგმების სწორად შედგენა კოლმეურნეობებში, შეფასების და გამომუშავების იმ ნორმების დაყვანა თვითეულ საკოლმეურნეო ბრიგადამდე, თვითეულ კოლმეურნემდე, რომლებიც შემოწმებულია საუკეთესო კოლმეურნეთა მუშაობის გამოცდილებით.

ამასთან ერთად საგრძნობლად უნდა **გავაძლიეროთ ყურადღება ერთპიროვნულ მეურნე გლეხისადმი.** არ უნდა უგულებელვყოთ ისეთი სექტორი, რომელიც შეიცავს ამიერ-კავკასიის ყველა მეურნეობათა ორ მესამედს და, რომელიც მთელი რიგი კულტურების (თამბაქო, მარცვლეული და სხვ.) მიხედვით ჯერ კიდევ წარმოადგენს **გადამწყვეტ** ძალას. უაზრობა იქნება ჩავიკეტოთ მხოლოდ არსებულ კოლმეურნეობათა ფარგლებში და არ დავინახოთ ის, რომ **დღევანდელ ერთპიროვნულ მეურნე გლეხთა დიდი ნაწილი ხვალ გახდება კოლმეურნედ.** ბოლოს, უნდა შევიგნოთ ისიც, რომ ერთპიროვნულ მეურნე გლეხის უგულებელყოფა ჩვენის მხრით, სასარგებლოა მხოლოდ კლასობრივი მტრისათვის, რომელსაც ამით ჩვენ ვაძლევთ მოქმედების ფართო ასპარეზს. ეყრდნობა რა თავის მოკავშირე ერთპიროვნულ მეურნე-სპეკულიანტს, კულაკი სარგებლობს ჩვენი უთაურობით და ცდილობს აწარმოოს მუშაობა მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს შორისაც (გამხრწნელი ანტისაბჭოთა, ანტისაკოლმეურნეო მუშაობა).

მიუხედავად ამისა ყოველდღე ადგილი აქვს ერთპიროვნულ მეურნე გლეხისადმი ქედმაღლური უგულებელყოფის ათეულ აღმაშფოთებელ ფაქტებს. ამ მხრივ ჩვენ შევამოწმეთ მთელი რიგი რაიონები. და მივიღეთ მეტად არასანუგეშო სურათი. მაგალითად, აგდამის რაიონში თესვის გეგმები, როგორც წესი, დაყავდათ ერთპიროვნულ მეურნე გლეხებამდე ღრმა ახსნა-განმარტებითი მუშაობის გარეშე, მთელ რიგ სოფლებში ერთპიროვნული მეურნე სრულიადაც არ ღებულობდა ბამბის გეგმებს, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა სურვილი ეთესა ბამბა. არ სწარმოებს ინვენტარის და თესლის აღრიცხვა ერთპიროვნულ მეურნე გლეხებს შორის და ამ მხრივ არ იჩენენ არავითარ მზრუნველობას და სხვ. ასეთივე სურათი გვაქვს ყველა იმ რაიონებში, რომლებიც შევამოწმეთ ჩვენ ერთპიროვნული მეურნეობების მხრივ გარდა კარიაგინოს რაიონისა. მაგრამ აქაც, მიუხედავად ერთგვარი ყურადღების გამოჩენისა ერთპიროვნული სექტორისადმი, აუარეს მას გვერდი აგროტექნიკური ღონისძიებათა პროპაგანდის მხრივ, თითქოს ჩვენ არ ვიყოთ დაინტერესებული მოსავლიანობის გადიდებით ერთპიროვნულ მეურნე გლეხთა მინდვრებზე.

დროა რადიკალურად აღმოვფხვრათ ეს აბსოლუტურად დაუშვებელი სიბრმავე. **ყურადღება ერთპიროვნულ მეურნე გლეხს!** უნდა შევეწვდეს უნარი გავარჩიოთ პატიოსანი ერთპიროვნული მშრომელი მეურნე სპეკულიანტისა და გადამყიდველისაგან და სპეკულიანტური ელემენტების იზოლიაციასთან ერთად მივუდგეთ პატიოსან მშრომელ ერთპიროვნულ გლეხებს, როგორც ხვალინდელ კოლმეურნეებს (ხელის შეწყობა მეურნეობის განვითარებაში, სასოფლო საბჭოების და კოოპერაციის მუშაობაში ჩაბმა, კოლმეურნეობათა მიღწევების პროპაგანდა, კავშირის დამყარება კოლმეურნეობებთან და სხვ.).

ამასთან დაკავშირებით, ცალკე უნდა შევჩერდეთ იმ რაიონებზე, სადაც **მცირეა კოლექტივიზაციის დონე.** ამიერ-კავკასიაში მისი განსაკუთრებული მრავალფეროვანებით ჯერ კიდევ ბევრია ასეთი რაიონები. მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება ასეთი რაიონებისადმი ჯერ კიდევ ყოველთვის არ არის სწორი. ვაქცევთ რა განსაკუთრებულ ყურადღებას მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებს, ჩვენ ზოგჯერ ვუშვებთ მხედველობის არიდან დანარჩენ რაიონებს, როგორც, რაღაც მეორეხარისხოვან რაიონებს. კიდევ დაუშვებელი სიბრმავე! ეს აძნელებს ა.-კ. სოფ. მეურნეობის განვითარებას. ეს უადვილებს კულაკს შესაძლებლობას გამაგრდეს ასეთ რაიონებში და აქა-იქ გადააქციოს ისინი თავის ციხე-სიმაგრეთ.

ამ უკანასკნელ დროს ჩვენ დავიწყეთ ასეთი „მივარდნილი კუთხეების“ მუშაობის შემოწმება და რა მივიღეთ? როგორც კი „გადავქექეთ“ ასეთ რაიონს, მაშინვე წავაწყდით უყურადღებობის ელემენტებს. მაგალითად, ჩვენ შევამოწმეთ შემახის რაიონი, სადაც გვაქვს კოლექტივიზაციის 14 პროცენტი. აქ ჩვენ იძულებული შევიქენით დაგვეხვრიტა მტაცებლობის ორგანიზაციისათვის რაიკოლმეურნეკავშირის თავმჯდომარე, მიგვეცა პასუხისგებაში მთელ რიგ კოლმეურნეობათა გამგეობები და შეგვეცვალა რაიონის მთელი ხელმძღვანელობა. აღმოჩნდა ნამდვილი კულაკური „ბუდე“. და ამაში დამნაშავენი ვართ მხოლოდ ჩვენ, დამნაშავეა ჩვენი უგულებელყოფა რაიონებისადმი, სადაც კოლმეურნეობები ჯერ კიდევ ცოტაა, ხოლო ერთპიროვნულ მეურნე გლეხები კი [illegible].

საჭიროა დაუყოვნებლივ ძირფესვიანად აღვკვეთოთ ეს სრულიად არა სწორი პრაქტიკა! საჭიროა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებისადმი (ძირითადი ტექნიკური კულტურების რაიონები) პირველ რიგში ყურადღების მიქცევასთან ერთად, არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან „მივარდნილი კუთხეებიც“. დროა აღმოიფხვრას ამიერ-კავკასიის ამ „კუთხეების“ ჩამორჩენილობა და გამოვიყვანოთ ისინი სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე.

* * *

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს პარტიული და საბჭოთა ორგანოების მობრუნებას მისი ტექნიკის და ეკონომიკის საკითხებისაკენ. უნდა გარდავქმნათ მუშაობა ამხ. **სტალინის** ნათელი და გარკვეული მითითებების თანახმად: სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ მთელი რიგი სარაიონო და სასოფლო ორგანიზაციების მოწყვეტას კოლმეურნეობათა ცხოვრებისაგან, მათი მოთხოვნილებებისაგან. ხშირად ადამიანები კანცელარიებში და თვითკმაყოფილებით [illegible] კალამს და ვერ ამჩნევენ, რომ კოლმეურნეობათა განვითარება მიმდინარეობს ბიუროკრატიული [illegible] გარეშე“..... „პარტია, თუ მას სურს ხელმძღვანელობა გაუწიოს საკოლმეურნეო მოძრაობას, უნდა ჩახვდეს საკოლმეურნეო ცხოვრების და საკოლმეურნეო ხელმძღვანელობის ყველა წვრილმანებს. პარტიამ არ უნდა შეამციროს, არამედ უნდა გააძლიეროს თავისი კავშირი კოლმეურნეობებთან, მან უნდა იცოდეს ყოველივე ის, თუ რა ხდება კოლმეურნეობებში. რომ თავის დროზე აღმოუჩინოს მათ დახმარება და თავიდან აიცილოს ის საფრთხე, რომელიც ემუქრება კოლმეურნეობებს“.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სამიწათმოქმედო განყოფილებათა განმტკიცებას. უნდა გადავსინჯოთ მათი მუშაკთა შემადგენლობა თავიდან ბოლომდე, გამოვყოთ მათთვის საუკეთესო ძალები და გავშალოთ უდიდესი მუშაობა სამიწათმოქმედო კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის.

საგრძნობლად უნდა გავაძლიეროთ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების როლი სოფლის მეურნეობის [illegible] და ხელმძღვანელობის საქმეში. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უნდა წარმოადგენდენ არა „მანქანების გასაქირავებელ“ სადგურებს, როგორც ამას ეხლა ზოგიერთ აქვს ადგილი, არამედ სოფლის მეურნეობისათვის პოლიტიკური, ორგანიზაციული და სამეურნეო-ტექნიკური ხელმძღვანელობის ცენტრს.

ყველა ამ პირობებში ჩვენ საჭირო სიმაღლეზე დავაყენებთ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობას და უზრუნველვყოფთ სოფლად მუშაობის იმ გიგანტური ამოცანების შესრულებას, რომლებიც ასე გარკვეულად დასახა ჩვენს წინაშე მთელ რიგ თავის უკანასკნელ გამოსვლებში ([illegible] სასოფლო-სამეურნეო განყოფილების ხელმძღვანელმა ამხ. **ლაზარე მოსეს ძე კაგანოვიჩმა.**

III. პარტიულ-მასიური მუშაობის საკითხები

პარტიული ორგანიზაცია ამიერ-კავკასიის სოფელში ჯერ კიდევ ძალზე სუსტია და 1933 წლის საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს მისი ყოველმხრივი განმტკიცება, ეს ამოცანა უნდა დავსვათ, როგორც **ცენტრალური** ამოცანა, თესვის და შემდგომი სასოფლო-სამეურნეო კამპანიებისათვის.

ძირითადი მომენტები, რომლებისკენაც უნდა იქნას მიმართული მთელი ძალღონე, არის შემდეგი:

1. **პარტიულ ორგანიზაციის მთელ რიგ რგოლებს ამიერ-კავკასიის სოფელში ახასიათებს სისუსტე და მას არა აქვს საბრძოლო ავანგარდული სახე.** საკმაოდ დამახასიათებელია, რომ სოფლის ყველა კომუნისტების თითქმის ორი მეხუთედი ჯერ კიდევ იმყოფება კოლმეურნეობების გარეშე და რომ კოლმეურნე კომუნისტებიდან უშუალოდ საკოლმეურნეო წარმოებაში მუშაობს მხოლოდ ერთი მესამედი. იმათგანაც კი, რომლებიც მუშაობენ საკოლმეურნეო წარმოებაში, ერთი ნაწილი არ სდგას მოწინავე პოზიციებზე და თვითონ მისჩანჩალებს კუდში, მაგალითად, გეოკჩაის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ყველა კომუნისტების დაახლოებით ერთი მე[illegible] [illegible] წამგლეჯელებისა და ზარმაცებისაგან. ბარდის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში (მაგალითად: შირვანსკის სასოფლო საბჭოში „შემავალი“ კოლმეურნეობა „მარკ“-ი). კომუნისტები მუშაობენ ძალზე სუსტად და მათ გამოუმუშავებელი აქვთ ორჯერ ნაკლები შრომა-დღეები, ვიდრე უპარტიოებს და სხვა. საერთოდ, ჩვენ გადაჭრით უნდა აღვნიშნოთ, **რომ მეტად ძლიერია წვრილ ბურჟუაზიული სტიქიის ელემენტები ამიერ-კავკასიის სოფლის პარტორგანიზაციების მთელ რიგ რგოლებში და რომ ბრძოლის გაძლიერება აღნიშნული ელემენტების წინააღმდეგ წარმოადგენს სოფლად მტკიცე პარტიული ორგანიზაციების შექმნის აუცილებელ პირობას.**

2. **მთელ რიგ რაიონებში ცუდად მუშაობენ პარტიისა და მასების დამაკავშირებელი რგოლები,** უწინარეს ყოვლისა—საბჭოები და კომკავშირი.

საჭიროა ცალკე შევჩერდეთ საბჭოებზე. ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, საბჭოები ზოგან წარმოადგენენ სოფლად მუშაობის პირდაპირ **მივიწყებულ** უბანს. ჩვენ შევამოწმეთ მთელი რიგი სასოფლო საბჭოები და ცალკე დამაკმაყოფილებლად მომუშავე საბჭოებთან ერთად, საკმაოდ აღმოვაჩინეთ ჩამორჩენილი საბჭოებიც, რომლებიც ვერ ასრულებენ თავის ამოცანებს. მაგალითისათვის ავიღოთ შამშადინის რაიონის (სომხეთი) ბერდის სასოფლო საბჭო. მან არ მიიღო ზომები კოლმეურნეობათა კულაკური დანაგვიანების წინააღმდეგ დაუშვა კულაკური გათანაბრება ავანსების გაცემის და შემოსავლის განაწილების საქმეში, სასოფლო საბჭოს არ მიუღია მონაწილეობა კოლმეურნეობების შრომის ორგანიზაციის საქმეში (ბრიგადების შექმნა, საწარმოო გეგმების შედგენა და სხვა). სასოფლო საბჭომ ვერ უზრუნველყო საგაზაფხულო თესვისათვის მზადება ყოველდღიური ხელმძღვანელობით. სასოფლო საბჭომ ვერ შესძლო თავის მუშაობაში დაყრდნობოდა მტკიცე ბირთვს საკოლმეურნეო აქტივისა და საუკეთესო ერთპიროვნულ მეურნე გლეხებისაგან, არსებითად მთელ მუშაობას ატარებენ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. სრულიად არ მუშაობენ სასოფლო საბჭოს სექციები, ხოლო სადეპუტატო ჯგუფები სრულიად არ არსებობენ. კიურდამირის სასოფლო საბჭოში (კიურდამირის რაიონი, აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბლიკა), რომელიც შედარებით უკეთ მუშაობს, სასოფლო საბჭოს წევრთა უმრავლესობა არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს საბჭოს მუშაობაში. სექციები და სადეპუტატო ჯგუფები არ მუშაობენ, თუმცა ფორმალურად კი ირიცხებიან. სასოფლო საბჭოს გარშემო არ არის შექმნილი მტკიცე აქტივი მოწინავე კოლმეურნეებისაგან და პატიოსან მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებისაგან და სხვა. საერთოდ, ჩვენ გვაქვს **მთელი რიგი საბჭოების ჩამორჩენის** ნათელი სურათი. საჭიროა აღნიშნული მდგომარეობის რადიკალურად გამოსწორება უახლოეს დროში, ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას, რომ საბჭოებმა შეასრულონ სოფლად პროლეტარული დიქტატურის ორგანოების როლი.

პარტიულ-მასიური მუშაობის სისუსტე სოფლად დიდ ზიანს აყენებს **საკოლმეურნეო აღმშენებლობას.** ჩვენ სოფელში მოიპოვება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების [illegible] ერთგული კადრები, მათ თავის ზურგზე გადააქვთ მუშაობის მთელი სიმძიმე. მაგრამ ეს კადრები **სუსტად არიან დარაზმული** და ამიტომ [illegible] საკითხის დიდი აზრი, ხშირად ჩვენი სასოფლო ორგანიზაციები ფორმალურად [illegible] საკოლმეურნეო აქტივის შექმნას, საკითხის გადაჭრას „აქტივში“ რიცხავენ ამას, [illegible] კოლმეურნეობებში [illegible]

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.).

ციტრუსოვანი კულტურების გაშენების გეგმას ჩაშლა მოელის

ლიმონ-მანდარინის ტრესტი არ ასრულებს პარტიის დირექტივებს

ციტრუსოვანი კულტურების განვითარების დარგში

ციტრუსოვანი კულტურა მცენარეთა სპეციალური კულტურაა, დამახასიათებელი ისეთი სუბტროპიკული ადგილებისათვის, რომლებიც კლიმატიური და სხვა ბუნებრივი პირობების მიხედვით ცოტათ თუ ბევრად უახლოვდებიან ტროპიკულ ქვეყნების ჰავას და სხვ. პირობებს. ჩვენში სუბტროპიკებს ეკუთვნის დასავლეთ საქართველოს თბილი ადგილები—უმთავრესად შავი ზღვის ნაპირების სამხრ. ნაწილი. ზღვასთან სიახლოვემ და ტოპოგრაფიულმა თავისებურებამ, სანაპირო ზოლის მახლობლად თვალსაჩინო სიმაღლის ქედების მდებარეობამ დასავლეთ საქართველოში და ზღვის სანაპიროებში შექმნეს მეტად თბილი და ნესტიანი სუბტროპიკული ჰავა, რაც უდიდეს შესაძლებლობას ქმნის ციტრუსოვანი კულტურების (ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი და სხვ.) განსავითარებლად.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი ფაქტები და მასალები მოწმობენ, რომ ტრესტის ხელმძღვანელობამ ვერ შესძლო დაკისრებული ამოცანების შესრულება. ვერ უხელმძღვანელა ციტრუსოვან კულტურების განვითარებას ოპერატიულად და კონკრეტულად, ვერ გარდაქმნა მუშაობა პარტიის ბელადის ამხ. **სტალინის** მითითებათა საფუძველზე.

ტრესტის მიერ შედგენილ 1933 წ. გეგმით, სულ რესპუბლიკაში 1933 წ. უნდა გაშენდეს ლიმონის ახალი პლანტაცია 105 ჰექტარზე, მანდარინის 5 ჰექტარზე. მანდარინის პლანტაციების რემონტი უნდა ჩატარდეს 82 ჰექტ. ლიმონის — 3 ჰექტ.

გამოირკვა, რომ ეს გეგმა რეალური არ არის, რადგან ტრესტის ხელმძღვანელებმა გეგმა შეადგინეს კაბინეტურად, არ გაითვალისწინეს, რეალური შესაძლებლობანი, რაც მთავარია ციტრუსოვან კულტურებისათვის საჭირო ნერგების საკითხი და ამგვარად, ზერელედ შედგენილი გეგმით დაიწყეს „მუშაობას“.

მოსამზადებელი მუშაობის პერიოდი მოანდომეს უნაყოფო დავას

„ვიწრო ადგილი“ ტრესტის მუშაობაში იყო ნერგების საკითხი. 105 ჰექტარ ლიმონის გასაშენებლად საჭირო იყო 55.000 ძირი ნერგი. (ჰექტარზე 500 ძირი). ტრესტის ხელმძღვანელობამ დაწვრილებით არ შეისწავლა თუ რამდენ წლ. ნერგი უფრო ეფექტიურია დასარგავად. ტრესტის ზოგი ერთი პასუხისმგებელი მუშაკი თავს იმართლებს იმით, რომ სპეციალისტებმა ამ საკითხზე გამოსთქვეს სხვა-ა მეორე საკითხის გადაჭრა. განა ეს და მეორე საკითხის გადაჭრა. განა ეს გარემოება უმსუბუქებს პასუხისმგებლობას ლიმონ-მანდარინის ტრესტის მუშაკებს? სრულიადაც არა. ტრესტი გატაცებული იყო ფართობების რაოდენობითი ზრდით და მას მხედველობაში გამორჩა ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ის სადაო საკითხი (ვარგისია ერთწლიანი თუ ორ წლიანი ნერგი), რომელიც ტრესტის ყოფილ მუშაკებს „სადაოდ“ მიაჩნდათ, გამოირკვა, რომ არ ყოფილა სადაო. (სადაო აღმოჩნდა ტრესტის მიერ ბიუროკრატიულად შედგენილი გეგმა). ფაქტები: პარტიულ, საბ. და სპეციალისტებისაგან შემდგარმა კომისიამ დაადასტურა, რომ ჩვენში უკეთესია დაირგას ორწლიანი და სამ წლიანი ნერგები, რომლებიც უძლებენ ყინვებს. ამავე კომისიამ გამოარკვია, რომ სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულების საფუძველზე ტრესტს მოეპოვება ერთ წლიანი და მცირე რაოდენობით ორ წლიანი 35.828 ძირი ნერგი. 16.743 ძირი გამოუსადეგარია მუდ. ადგილზე დასარგავად, 9.121 ნერგიდან ნაწილი გამოდგება. ხოლო 4.772 ცალი ნერგი კი სრულიად დაზიანებული აღმოჩნდა.

ამ ციფრების ანალიზი და ჩატარებული გამოკვლევა მოწმობს, რომ როცა ტრესტმა შეადგინა გეგმა 105 ჰექტ. ლიმონის პლანტაციის გასაშენებლად, მას არ ქონდა დაწვრ. შესწავლილი, **თუ რამდენწლიანი ნერგი უნდა გაშენდეს, არ ქონდა ზუსტი აღრიცხვა ნერგების საერთო რაოდენობის, არ ქონდა ნერგები დახარისხებული ვარგისიანობის მიხედვით.** 105 ჰ. ლიმონის გასაშენებლად, როგორც აღვნიშნეთ, საჭიროა 55.000 ძირი ნერგი. ზემოხსენებული ციფრები ადასტურებენ, რომ ტრესტს ვარგისიანი ერთწლიანი ნერგებიც კი არ გააჩნდა 105 ჰექტარისათვის საჭირო რაოდენობით.

ამ რამდენიმე დღის წინად საქ. მიწსახკომმა ბათომში ჩაატარა აგრონომ-სპეციალისტების გაფართოებული თათბირი. თათბირზე აგრონომ-სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ ერთწლიანი ლიმონის ნერგების დარგვა არ არის მიზანშეწონილი, რადგან ასეთი ნერგები საკმაოდ არ არის დაფესვიანებული და მათი ფესვების გადგმა ნიადაგში გვიან ხდება. თათბირმა უფრო მიზანშეწონილად სცნო დაირგას ორწლიანი ნერგები, ხოლო კიდევ უფრო უკეთესია სამწლიანი ნერგების დარგვა.

ჩამორჩენა აქვს ტრესტს ორმოების ამოღების საქმეში. ეს სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო პირველ აპრილამდე. ხუთი აპრილისათვის ურეკის საბჭ. მეურნეობას ორმოების ამოღების გეგმა შესრულებული ჰქონდა 80 პროც. კვირიკის 62,5 პროც. დანარჩენ საბჭოთა მეურნეობებს ეს სამუშაოები უმნიშვნელო პროც. აქვთ შესრულებული, ტრესტის აღრიცხვის სექტორმა ამის შესახებ არაფერი იცის. აღრიცხვის საქმე საგრძნობლად მოიკოჭლებს, როგორც ტრესტის საბჭ. მეურნეობებში, ისე თვით ტრესტის ცენტრალურ აპარატში. **10 აპრილისათვის წარმოდგენილი ცნობები ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობიდან ტრესტში არ იყო შეჯამებული 22 აპრილსაც კი.**

ურეკის საბჭოთა მეურნეობაში გასულ წელს მანდარინის პლანტაციაში მობნევით დათესეს სიმინდი. სათოხნი კულტურის დათესვა პლანტაციებში დასაშვებია ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით. **მაგრამ სიმინდი უნდა დაეთესათ არა მობნევით, არამედ მწკრივში.**

დირექცია და აგრო-პერსონალი არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ მანდარინის პლანტაციების მოვლის ხარისხობრივ მაჩვენებლების დაცვას, და ამის გამო ნიადაგის ჰუმუსიანი ნაწილი, რომელიც შემოყრილი ქონდა მანდარინს, გადაიტანეს სიმინდის კულტურის ქვეშ, რამაც საგრძნობზიანი მიაყენა მანდარინის პლანტაციას. დაუდევრობის ეს ფაქტები აღმოაჩინა საქ.კ.პ.(ბ) ცკას ბრიგადამ:

ციტრუსოვან კულტურათა პლანტაციების 10 პროცენტზე მეტი თუ რემონტს საჭიროებს, ეს იმას მოწმობს, რომ **დარგვა არ ჩაუტარებიათ აგრონომიული წესების დაცვით.** ურეკის საბჭ. მეურნეობის ციტრუსოვან კულტურათა პლანტაციები საჭიროებენ კაპიტალურ რემონტს.

ცხოველი ყურადღება ციტრუსების გაშენებას, მოვლასა და დაცვას

საბჭოთა მეურნეობებში დავალებების შესრულებას აფერხებს აგრეთვე მუშა-ხელის სიმცირე და დინადობა. ჭარბი მუშა-ხელის გამოსაყვანად ხელშეკრულების დადება კოლმეურნეობებთან დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს. მუშა-ხელის ორგანიზაციული შეგროვება—საბჭოთა მეურნეობების ცენტრალური ამოცანაა. მათ (ხელშეკრულების დადებით) დაჩქარებული ტემპებით უნდა გაშალონ მუშაობა. კოლმეურნეობებიდან ჭარბი მუშა-ხელის მოსაზიდათ.

დამკვრელი ტემპების აღებით **სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის** ფართოდ გაშლით, მუშების და კოლმეურნეთა მასების მჭიდროთ დარაზმვით, **ამხ. სტალინის მითითებათა** მტკიცედ განხორციელებით, კონკრეტული ხელმძღვანელობის გაძლიერებით ჩამორჩენა ციტრუსოვან კულტურათა განვითარების საქმეში სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრათ.

ციტრუსოვანი კულტურების რაიონის პარტ., კომკავ., სამეურ. და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, მოახდინონ გარდატეხა ციტრუსოვან კულტურათა პლანტაციების მოვლისა და ნიადაგის მომზადების საქმეში და უზრუნველჰყონ ამ დარგში 1933 წლისათვის მოცემული დავალებების უკლებლივ შესრულება.

ფოთში არ აფასებენ ციტრუსოვან კულტურებს

ფოთი, 23 აპრილი. მიმდინარე წელს, ფოთის რაიონში მანდარინისა და ლიმონის დასარგავად გამოყოფილია 80 ჰექტარი მიწა. **განსაზღვრებულ სექტორის ხაზით ციტრუსებისათვის ნიადაგის მომზადების გეგმა შესრულებულია 80 პროცენტით, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებში 70 პროცენტით.**

ლიმონისა და მანდარინის დარგვა ნელი ტემპით მიმდინარეობს. ასე მაგ. **ინვალიდთა გაერთიანებას, რომელსაც გამოყოფილი აქვს 1000 ძირი ნერგი, დღემდე არ დაურგავს არც ერთი ძირი ლიმონი და მანდარინი;** ასევე ჩამორჩენილია სატყეო ტრესტი და მილიცია, რომელთაც უკვე მიიღეს ნერგი.

ფოთის ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება ციტრუსოვან კულტურათა განვითარების საქმეზე

ფოთი, 23 აპრილი. ფოთის რაიონის კლიმატიური პირობები ქმნის შესაძლებლობას განვავითაროთ საქართველოსათვის სრულიად ახალი კულტურა „გრეიფრუტი“. მიმდინარე წელს, რაიონში აღნიშნული კულტურისათვის გამოყოფილია 20 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, უნდა დაირგას „გრეიფრუტის“ 1.700 ცალი ნერგი, რომელიც თავის დროზე გამოწერილი იყო და მიღებულია ამერიკიდან.

იმის გამო, რომ ამერიკიდან მიღებული ნერგი თავის დროზე არ იყო შენახული სათანადო სათბურებში, ნაწილი ამ ნერგიდან დაზარალდა. რაიონი არ აღმოჩნდა მომზადებული ამ ახალი კულტურის ასათვისებლად: არ არის საჭირო სასოფლო - სამეურნეო ინვენტარი, მეურნეობას გახსნილი არა აქვს კრედიტი და სხვ.

საჭიროა იმ დამნაშავეების გამოაშკარავება, და პასუხისგებაში მიცემა, რომელთა მიზეზითაც დაიღუპა „გრეიფრუტის“ ნერგის ნაწილი და, რომელთაც ჩაშალეს ეს საქმე. (ადს).

სოცშეჯიბრების და დამკვრელობის 4 წლისთავის ჩატარების შესახებ

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

მოსკოვი, 24 აპრილი. იმ მიზნით, რომ განზოგადოებული იქნას მოწინავე დამკვრელების ბრძოლის გამოცდილება მუშათა კლასის მიერ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პირველ ხუთწლედში მიღწეულ წარმატებათა განსამტკიცებლად, კიდევ უფრო შეეწყოს ხელი სოცშეჯიბრებას და დამკვრელობას და მუშათა მასების მობილიზაციას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, მთლიანათ შესრულდეს ხარისხობრივი მაჩვენებლები შრომის ნაყოფიერების გადიდების და თვითღირებულების შემცირების ხაზით და აუცილებლად განხორციელდეს მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა,—საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სოციალისტური შეჯიბრების მეოთხე წლისთავზე, ამა წლის 29 აპრილს, ჩატარდეს არასამუშაო დროს ყველა ქარხნებსა, ფაბრიკებსა და მაღაროებში, მშენებლობებზე და რკინის გზის უბნებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში დამკვრელთა შეკრება.

2. ძირითად ამოცანებს, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამკვრელთა შეკრების ჩატარებისას და მისი მომზადების დროს, უნდა შეადგენდენ:

ა) გამომუშავების დაწესებული ნორმების დაყვანა ბრიგადებამდე და ყოველ მუშამდე და ინდივიდუალური და კოლექტიური შეჯიბრების მოწყობა მათი მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ყოველი ბრიგადის მიერ მისთვის შრომის ნაყოფიერების, თვითღირებულების შემცირების და წუნის და გაცდენების ლიკვიდაციის ხაზით მიცემულ დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

შრომის დისციპლინის [illegible] კიცება, სამუშაოზე გამოუცხადებლობის და სამუშაო დროის ყოველგვარი გაცდენის, აგრეთვე დენადობის სრული ლიკვიდაცია და მუშაობის გაშლა საწარმოებზე მუშების თვითმმაგრებისათვის.

ბ) სოცშეჯიბრების და დამკვრელობის განვლილი სამი-ოთხი თვის შედეგების შეჯამება, მოქმედი სამეურნეო ანგარიშის ხელშეკრულებათა და სოცშეჯიბრების ხელშეკრულებათა შესრულების ურთიერთი შემოწმება, დამკვრელის მუშაობის ხარისხის შეფასება და ცრუ დამკვრელების გამოაშკარავება, რომელნიც არ ასრულებენ გამომუშავების დაწესებულ ნორმებს, არ დაუფლებიან თავის წარმოების ტეხნიკას და იძლევიან წუნს, ან დაბალი ხარისხის პროდუქციას.

სოცშეჯიბრების მარტივი ფორმების ორგანიზებული განმტკიცება, მათი განვითარება უმაღლეს ფორმებად — სამეურნეო ანგარიშის ბრიგადებად და ახალი მუშების ფართოდ ჩაბმა ყველა ფორმის სოცშეჯიბრებაში.

გ) პროფკავშირული ორგანიზაციების მხრით სოცშეჯიბრების ხელმძღვანელობის ხარისხის, დამკვრელზე მათი ზრუნვის შემოწმება, თვალისამხვევთა გამოაშკარავება, რომელნიც იმის ნაცვლად, რომ გულმოდგინედ, ყოველდღიურად მუშაობდენ სოცშეჯიბრების მოწყობას, შეჯიბრებელთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმების და მათ შესასრულებლად დამკვრელი და სამეურნეო ანგარიშის ბრიგადებისათვის საჭირო პირობების შექმნის დარგში,—გართული არიან ლაყბობით შეჯიბრების შესახებ, გაბერილი ნაკრები ცნობების და საპარადო პატაკების წერით.

დ) დაჯილდოების, საპრემიო ფონდების მდგომარეობის, კულტურულ - საყოფაცხოვრებო მომსახურეობის, დამკვრელებისა და განსაკუთრებით თვალსაჩინო მუშაკების უპირატესი მომარაგების შემოწმება და დაჯილდოების საქმეში დაჯილდოებული დამკვრელების და სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა მთლიანად შესრულების უზრუნველყოფა.

ე) შეჯიბრების და დამკვრელობის ხარისხის განმტკიცება და სოცშეჯიბრების და დამკვრელობის შემდგომი გაშლა იმისათვის, რომ შესრულდეს საკ. კ.პ. (ბ) ცკას და სახკომსაბჭოს დადგენილება „დონბასის მუშაობის შესახებ“, რომელსაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო ქვანახშირის მრეწველობისათვის, არამედ ყოველ საწარმოოსათვისაც; ამასთან დაკავშირებით, კონკრეტულ დავალებათა განსაზღვრა ყოველი დამკვრელისა, ბრიგადისა, აგრეგატისა, საამქროსა და საწარმოსათვის.

3. დაევალოს კავშირების ცენტრალურ კომიტეტებს, პროფსაბჭოებს, ფაბქარხადგილკომებს, სასოფლო-სამეურნეო სექტორში სოცშეჯიბრების და დამკვრელობის გაფართოების და ხარისხობრივი გაუმჯობესების მიზნით, ფართოდ მოაწყონ ფაბრიკების და ქარხნების შეჯიბრება საბჭოთა მეურნეობებთან, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებთან და კოლმეურნეობებთან თესვის კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებაზე, სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულებაზე, მოსავლიანობის აწევაზე, შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე და სხვა. ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროების დამკვრელებმა უნდა განიხილონ თავის შეკრებაზე მოსავლიანობის მაქსიმალური გადიდების ხაზით საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევის კონკრეტული ფორმები.

4. ყველა პროფორგანიზაციებმა და საწარმოო თათბირებმა ჩაატარონ დამკვრელთა დღისათვის მუშათა წინადადებების შესრულების მასიური შემოწმება და მუშათა და საინჟინერო-ტეხნიკოს მუშაკთა იმ წინადადებების შეგროვება, რომელთა მიზანია შრომის ნაყოფიერების აწევა, გამომუშავების ნორმების ათვისება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, წუნის ლიკვიდაცია, თვითღირებულების შემცირება, მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება ტეხნიკის დაუფლების საფუძველზე, დამკვრელების მომსახურების და მომარაგების უკეთ დაყენება და საწარმოო თათბირების მუშაობის არსებითი გაუმჯობესება ყველა ამ საკითხებში და, პირველ ყოვლისა, წარმოების „ვიწრო ადგილების“ ლიკვიდაციის საქმეში.

5. დამკვრელთა შეკრებაზე მოხდეს საუკეთესო დამკვრელების დაჯილდოება, რომელთაც გვიჩვენეს სოციალისტური შეჯიბრების ფრონტზე მუშაობის განსაკუთრებული ნიმუშები.

დაუყოვნებლივ გაიშალოს ცენტრალურ, ადგილობრივ და საქარხნო პრესაში სოცშეჯიბრების შედეგების დათვალიერება, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მოწინავე დამკვრელთა მუშაობის საუკეთესო ნიმუშების გაშუქება.

დაევალოს კავშირების ყველა ცენტრალურ კომიტეტებს და პროფსაბჭოებს აღმოუჩინონ პრაქტიკული დახმარება საწარმოებს დამკვრელთა შეკრების მომზადებასა და ჩატარებაში საწარმოების მიხედვით, ამასთან შეამოწმონ 25 აპრილისათვის, თუ რამდენად არიან მზად ეს საწარმოები შეკრების ჩასატარებლად.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკ. გზის ნორმალური მუშაობისათვის

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა

აღმოსავლეთ- ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კუზნეცოვმა გზის გამგეობის თავმჯდომარის ბ. ლი შაო-გენისაგან ა. წ. 12 და 18 აპრილს მიიღო ორი წერილი, მანჯურიის სადგურზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

თავის პირველ წერილში ბ. ლი შაო-გენი ამტკიცებს, რომ, თითქოს, უსურიის რკინის გზას აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მართებს დიდძალი ვაგონები და მოითხოვს მათ სასწრაფოდ დაბრუნებას, აგრეთვე აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზისათვის ორთქლმავალ-დეკაპოდების დაბრუნებას, რომელნიც საბჭოთა ტერიტორიაზე გადავიდნენ.

მეორე წერილში ლი შაო-გენი აცხადებს, რომ მანჯურიის ხელისუფლების ძალმომრეობითი მოქმედებანი მანჯურიის სადგურზე, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის და ზაბაიკალიეს რკინის გზის შემაერთებელი ისრების დახურვა პირდაპირი მიმოსვლის და ტრანზიტის აკრძალვა და სხვ., გატარებულ იქნა გზათა სამინისტროს განკარგულებით გზის ქონების დასაცავად და პირდაპირი გადაუტვირთავი მიმოსვლის შესაჩერებლად, რაც შეეხება საერთაშორისო მიმოსვლის მატარებლებს, ლი შაო-გენი აცხადებს, რომ ეს მიმოსვლა არაფრით არ იქნება დაბრკოლებული და, რომ არც ყოფილა მისი შეფერხების არავითარი განზრახვა.

ამ წერილების საპასუხოდ ამხ. კუზნეცოვმა ა. წ. 20 აპრილს გადასცა ბ. ლი შაო-გენს პასუხი, რომელშიაც ამხ. კუზნეცოვი აღნიშნავს, რომ მის მიერ ლი შაო-გენისაგან მიღებულ 12 და 18 აპრილით დათარიღებულ წერილებში მან ვერ ჰპოვა პასუხი თავის 10 აპრილის წერილზე, რომელიც გაეგზავნა ლი შაო-გენს, და რომელშიაც ამხ. კუზნეცოვმა ენერგიული პროტესტი განაცხადა რკინის გზის პოლიციის ძალმომრეობითი მოქმედებათა წინააღმდეგ მანჯურიის სადგურზე და ამომწურავად განმარტა არსებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, საბჭოთა კავშირის უფლებანი აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე პირდაპირი და სატრანზიტო ტვირთზიდვის დარგში. ამხ. კუზნეცოვი 10 აპრილის წერილში მოითხოვდა აგრეთვე ზომების მიღებას ყველა უკანონო მოქმედებათა და განკარგულებათა დაუყოვნებლივ გაუქმებისათვის და მისთვის ცნობის მიწოდებას, თუ როდის დაიწყება მანჯურიის მთავრობის გზათა სამინისტროს მიერ მოთხოვნილი მოლაპარაკება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზასა და საბჭოთა კავშირის გზებს შორის პირდაპირი მიმოსვლის გარშემო სპეციალური შეთანხმების დადების შესახებ. ამხ. კუზნეცოვი აღნიშნავს, რომ მას იმედი აქვს მალე მიიღოს პასუხი აღძრულ საკითხებზე.

შემდეგ ამხ. კუზნეცოვი სწერს:

„საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო შემდეგი: პირველ ყოვლისა აღვნიშნო, რომ თქვენ წერილში წამოყენებული დებულება—„აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა ორ სახელმწიფოს საკუთარი საწარმოა“—საკუთრების საკითხს ურევს მმართველობის საკითხში, როგორც მოგეხსენებათ, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა არის საბჭოთა კავშირის საკუთრება, მხოლოდ საერთო მმართველობის ქვეშ მყოფი.

ეხება რა საკითხს პირდაპირი საერთაშორისო ევროპიულ-აზიური მიმოსვლის შესახებ, ამხ. კუზნეცოვი სწერს:

„გზის მმართველის რუდიის ტელეფონოგრამიდან თქვენ იცით, რომ გზის მმართველობა უდიდესად შეშფოთებულია იმით, რომ 7 აპრილს სანაპირო საპოლიციო რაზმის უფროსმა მანჯურიის სადგურზე წერილობით აცნობა, სადგურის უფროსს, რომ, მანჯურიის მთავრობის განკარგულების გამო, წყდება პირდაპირი სატვირთო მიმოსვლა ორივე მხრით მთავრობებს შორის საკითხის გადაწყვეტამდე. შემდეგ ისრებს დაადევს ბოქლომები გაფრთხილებით, რომ მათი მოხსნის ან ვაგონების ზაბაიკალიეს რკინის გზაზე გაშვების ცდის შემთხვევაში გამოყენებული იქნება ძალა, ამასთან დაკავშირებული ტვირთი არ უნდა იქნეს გადატვირთული მთავრობის განკარგულებამდე, და ვაგონები, რომლებიც ზაბაიკალიეს რკინის გზიდან მოდიან მანჯურიის სადგურზე, განტვირთვის შემდეგ უკან აღარ იქნებიან დაბრუნებული. მე ამას სპეციალურად მივაქციე თქვენი ყურადღება 10 აპრილის წერილში და აქამდის არავითარი ცნობა არ არის ამ განკარგულების შეცვლის შესახებ საპოლიციო ხელისუფლების მიერ, რომელიც როგორც თვითონ აცხადებს, მოქმედებს გზათა სამინისტროს განკარგულების თანახმად.

გზის სამმართველომ, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შექმნილი ზემოაღნიშნული დაბრკოლებანი, ა. წ. 8 აპრილის ტელეფონოგრამით მოითხოვა ჩვენი მითითებანი, გაგვაფრთხილა რა, რომ მან ევროპიულ-აზიური მიმოსვლის მთელ რიგ მონაწილე გზებისაგან მიიღო შეკითხვები, თუ რამდენად შესაძლებელია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზით სარგებლობა ტვირთის გადასაზიდათ პირდაპირ ევროპიულ-აზიურ მიმოსვლის წესით.

გზის სამმართველო, რომელიც ანგარიშს უწევს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ინტერესებს და უყურადღებით ეკიდება სახელმწიფოს ინტერესებს, აქამდის მოელის დაბრკოლებების მოხსნას მანჯურიის სადგურზე და ცნობას ამის შესახებ.

როგორც ვიცით, სამმართველოს აქამდის ეს ცნობა არ მიუღია და, მიუხედავათ იმისა, რომ იგი მოვალეა დაუყოვნებლივ პასუხი გასცეს ევროპიულ-აზიურ მიმოსვლის მონაწილეთა შეკითხვაზე, მან თავი შეიკავა ასეთი ცნობის მიწოდებისაგან, მოელის რა ჩვენს საერთო ღონისძიებებს და პასუხს.

დაწესებულებანი, რომელნიც აბრკოლებენ პირდაპირი ევროპიულ-აზიურ მიმოსვლას, ესაა მანჯოუგოს ხელისუფლება და, კერძოდ, გზათა სამინისტროს ის წარმომადგენელი, რომელთა მითითებით სადგურ მანჯურიის საპოლიციო ხელისუფლებამ გაატარა უკანონო ღონისძიებანი, რომელნიც არღვევენ როგორც აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის, ისე ევროპიულ-აზიური მიმოსვლის მონაწილე გზების ინტერესებს.

იმედი მაქვს, რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ვალდებულებათა დარღვევის თავიდან აცილების მიზნით თქვენ მიაქცევთ იმას, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს სადგურ მანჯურიაზე მიეცეს საჭირო განკარგულება, რათა შესწყვეტონ მათ მიერ წარმოებული უკანონობანი და სპეციალურად აცნობონ იმავე პირთ, რომელთაც მათ წინად შეატყობინეს აღნიშნული ზომების მიღების შესახებ, რაც შესაძლებლობას მისცემს გზის სამმართველოს აცნობოს მონაწილე გზებს პირდაპირი მიმოსვლის განახლების შესახებ.

მოიყვანს რა საბჭოთა მთავრობის ცნობილ თვალსაზრისს ვაგონებისა და ორთქლმავლების საკითხზე, რომელიც გამოთქმულია საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. **კარახანის** განცხადებაში იაპონიის მოსკოველი ელჩის ბ. **ოტას** მიმართ, და საბჭოთა კავშირის გენერალური კონსულის (ხარბინში) ამხ. **სლავუცკის** წერილში მანჯურიის მთავრობის დიპლომატიური აგენტის მიმართ, ამხ. კუზნეცოვი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ქონებრივ უფლებათა დაცვის საბაბით მანჯურიის ხელისუფლებამ ჩაიდინა მთელი რიგი ძალმომრეობითი მოქმედებანი, რომლებიც პირველ ყოვლისა მიმართულია აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ნორმალური მუშაობის ჩაშლისაკენ, და რომლებმაც სერიოზული ზარალი მიაყენეს საბჭოთა კავშირის ინტერესებს, და, რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობის მანჯურიულმა ნაწილმა არ მიიღო ზომები გზის ინტერესების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინა მოძრავი შემადგენლობის უამრავი რაოდენობის გაფუჭება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთ ხაზზე მატარებლების სისტემატიური მარცხის შედეგად. არ მიიღო ზომები, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზისათვის წართმეულ გადასატვირთავი გემთსადგომის დასაბრუნებლად, მუშათა და მოსამსახურეთა პირადი და ქონებრივი უშიშროების დასაცავათ და სხვ.

დასასრულ ამხ. კუზნეცოვი გამოსთქვამს იმედს, რომ ლი შაო-გენი გადადგამს სათანადო ნაბიჯებს აღძრული საკითხების მოწესრიგებისათვის და მიაღწევს იმას, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს სადგურ მანჯურიაზე მიეცეთ განკარგულება არ შეაფერხონ გზის მუშაობა, მისი მონაწილეობა ევროპიულ-აზიურ მიმოსვლაში და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის კანონიერად გამოყენება სატრანზიტო ტვირთზიდვისათვის საბჭოთა კავშირის გზებს შორის.

ამხ. კუზნეცოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა წარმომადგენელნი აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე დაინტერესებულნი არიან აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ისეთ ნორმალურ მუშაობაში, რომელიც საუკეთესო ეფექტს მოგვცემს, ორივე მხარისთვის აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ არსებულ სათანადო შეთანხმებათა და დებულებათა საფუძველზე. (ადს).

ამხ. მეერზონის სიტყვა

ადმინისტრატიულსამ. თანამდებობანი, ან იმას ვინც უფრო ხშირად ლაპარაკობს კრებაზე, ან და იმას ვინც უფრო ახლო სდგას კოლმეურნეობის გამგეობასთან. ამასთან ზოგჯერ არ იცნობენ და ჩქმალავენ საკოლმეურნეო წარმოების ნამდვილ დამკვრელებს, არ აწყობენ მათ წახალისებას და დაჯილდოვებას, სისტემატიურად არ იწვევენ აქტივს კოლმეურნეთა თათბირებს და არ აბამენ მათ ხელმძღვანელობაში. ამის შედეგია ის, რომ აქა-იქ დაჩაგრულია აქტივის ძალები და სუსტად სწარმოებს ბრძოლა ბოლშევიკური კოლმეურნეობებისათვის.

1933 წელი უნდა გადაიქცეს ამიერ-კავკასიის სოფლის პარტორგანიზაციების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების წლად. აღნიშნული პარტორგანიზაცია აგებულ უნდა იქნას საწარმოო პრინციპის მიხედვით. ამჟამად საკოლმეურნეო უჯრედები ჩვენში ხშირად არსებობენ მხოლოდ ფორმალურად, სინამდვილეში კი წარმოადგენენ სასოფლო საბჭოების ჩვეულებრივ უჯრედებს. დროა შევუდგეთ მსხვილ კოლმეურნეობებში ნამდვილი საკოლმეურნეო უჯრედების შექმნას, რომლებიც იმუშავებენ საკ. კ.პ. (ბ) ცკას მიერ კოლმეურნეობების „ისკრა“-ს და „ვპერიოდ“-ის უჯრედების შესახებ მიღებულ დადგენილების საფუძველზე. უნდა გავაძლიეროთ აღნიშნული უჯრედები მომზადებული მდივნებით და პროპაგანდისტებით რაიონული აქტივის ანგარიშზე. უნდა უზრუნველვყოთ, ისეთი მდგომარეობა, რომ სოფლის კომუნისტების და კომკავშირელების დიდმა უმრავლესობამ იმუშაოს უშუალოდ საკოლმეურნეო წარმოებაში, განსაკუთრებით გადამწყვეტ უბნებზე (ბრიგადირი, მოანგარიშე, მემინდვრეობის ბრიგადები, პირუტყვის წყლის დამლევინებლები, ცხენისა და კამეჩის მოვლა, სასოფლო-სამეურნეო მანქანა და ტრაქტორი). უნდა გავაჩაღოთ დაუნდობელი ბრძოლა კომუნისტებისა და კომკავშირელების მიერ კოლმეურნეობებში უპატრონობის, უდისციპლინობის და უთაურობისადმი პასიური შემარიგებლური დამოკიდებულების წინააღმდეგ.

ამასთან ერთად პარტიის რაიკომებმა უშუალო მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ კომკავშირის უჯრედებს იმ სოფლებში და კოლმეურნეობებში სადაც არ არის პარტიული უჯრედები.

საკოლმეურნეო აქტივთან მუშაობა უნდა დავაყენოთ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის მასიური გაშლის საფუძველზე და ა. შ.

ყველა ამ ამოცანების შესასრულებლად უნდა გვქონდეს მტკიცე რაიონული ცენტრები და მტკიცე პოლიტგანყოფილებანი სამანქანო სატრაქტორო სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებთან. რაიონული ცენტრების მიმართ უნდა აღინიშნოს, როგორც მთავარი ბოროტება, კადრების დენადობა და მათი ნაწილის არადამაკმაყოფილებელი შემადგენლობა. ამ.-კ. სამხარეო კომიტეტმა და რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებმა ამ ბოლო დროს შეამოწმეს ხელმძღვანელი კადრების მდგომარეობა რაიონებში. მეტად უნუგეშო სურათი მივიღეთ: კადრების 30—40 პროც. შესაცვლელია, კადრების დენადობას იმდენად ფართო ხასიათი აქვს, რომ ერთ ადგილზე მუშაობის საშუალო სტაჟი ნახევარ წელიწადს არ აღემატება. რესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტები ამჟამად დიდ მუშაობას ეწევიან სოფლის რაიონების განსამტკიცებლად კადრებით. ეს მუშაობა უნდა გაგრძელდეს და ამავე დროს გაიშალოს ფართო და სერიოზულად დაყენებული ქვედა სოფლის მუშაკთა კადრების მოსამზადებლად და გადასამზადებლად. და უნდა მივიღოთ ყველა აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ შეწყდეს სოფლის კადრების დაუშვებელი დენადობა (გადაყვანის შეთანხმება ზემდგომ ორგანიზაციებთან და სხვ.).

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა მიმართ უნდა მივაღწიოთ დაწყებითი პერიოდის „საყმაწვილო სენის“ სასწრაფოდ დაძლევას, როგორიცაა კარჩაკეტილობა მხოლოდ სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ფარგლებში, დაფანტულობა მუშაობაში და მთავარისათვის, ძირითადისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის უუნარობა, პარტიულ-მასიური მუშაობის უგულებელყოფა, აქტივისტებთან გაუცნობლობა და მათთან მუშაობის მოუგვარებლობა. პოლიტგანყოფილებანი ისე მტკიცენი უნდა გახდნენ, რომ **„უზრუნველჰყონ პარტიული მეთვალყურეობა და კონტროლი როგორც თვით სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების, ისე სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მიერ სამსახურის გასაწევი კოლმეურნეობების მუშაობის და ცხოვრების ყველა დარგებში“.**

⁂

ჩვენ განვიხილეთ ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც დგანან ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების წინაშე მიმდინარე გაზაფხულის თესვის კამპანიაში. იმისათვის, რომ ეს დიდი ამოცანები შევასრულოთ, ჩვენ უნდა ვიდგეთ სათანადო სიმაღლეზე და თავის დროზე გარდავქმნათ ჩვენი მუშაობის მეთოდები და პრაქტიკა.

ცეცხლი უნდა გავაჩაღოთ გაუბრალოების წინააღმდეგ მუშაობაში, როცა მუშაობას იწყებენ არა სავსებით შეიარაღებულნი, როცა ეტანებიან შეზვეული ადმინისტრატორების და საქმოსნების როლებზე. ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთი გაუბრალოების ელემენტებს აქა-იქ ადგილი აქვს ჩვენში კულაკობასთან ბრძოლის ხაზითაც და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის საკითხებშიც. და სწორედ გამდაბიურების ეს ელემენტები წარმოადგენენ საბოლოო ანგარიშით ჩვენი მუშაობის დეფექტების და ჩამორჩენის საფუძველს.

უნდა აღმოვფხვრათ კამპანიურობა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ აქ სრულ გამარჯვებას უზრუნველყოფს მხოლოდ **განუწყვეტელი დაძაბული მუშაობა** (საგაზაფხულო თესვის, გამარგვლის და დამუშავების კამპანია, დამზადებანი მოსავლის განაწილება).

უნდა ვისწავლოთ, დავუკავშიროთ და კი არ დავუპირისპიროთ ერთმანეთს სოფლის მეურნეობის ხაზით მუშაობაში საბრძოლო ტემპები და ბრძოლა მაღალი ხარისხისათვის.

და უნდა გავწიოთ წინ ერთიანი, მონოლიტური ბოლშევიკური რიგებით. უნდა ვიყოთ ერთგული მეომარნი პარტიის გენერალური ხაზისათვის და დაუზოგავად გავაძევოთ ჩვენი რიგებიდან ყოველგვარი ოპორტუნისტული ნაგავი და სიდამპლე.

და ეს პლენუმი, რომელიც ასე შემჭიდროვებულად, საქმიანად და პრინციპიულად ჩატარდა ამხ. ლავრენტის ხელმძღვანელობით, წარმოადგენს ჩვენი რიგების მონოლიტობის და ერთიანობის საწინდარს.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ამხ. რუბენის შენიშვნების სისწორე, როცა იგი ბაქოს კომიტეტის პლენუმზე ლაპარაკობდა პარტიული სტილის საჭიროებაზე მუშაობაში, და როცა იგი იქ, პლენუმზე, ლაპარაკობდა ბოლშევიკური თვითკრიტიკის გადაჭრით გაშლის საჭიროებაზე, დიახ, ეს ბოლშევიკური პრინციპულობის საფუძველია, და უნდა უზრუნველვყოთ, რომ თვითკრიტიკა, მკვეთრი, ბოლშევიკური თვითკრიტიკა იყოს ჩვენი ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის ერთიანობის საწინდარი, იყოს მძლავრი იარაღი ყოველგვარი ავადმყოფური მოვლენის წინააღმდეგ, ჯგუფობრიობის, ინტრიგანობის, ზურგს უკან მოქმედების, დემაგოგიის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ პლენუმის მუშაობის საფუძველზე გავსწიოთ, წინ ამხანაგებო, მებრძოლი რიგებით მეორე ხუთწლედის პირველი გაზაფხულის ჩასატარებლად. (ხანგრძლივი ტაში).

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია კულტურული ფრონტის საბრძოლო უბანია

საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მხრით დიდ წარმატებებს მივაღწიეთ. უკანასკნელ წლებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლები მრავალ ასეულ ათას მშრომელმა განვლო.

თუ 1926 წელს წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის 46.9 პროც. შეადგენდა, 1932 წლის დამლევისათვის წერა-კითხვის მცოდნე იყო უკვე მთელი მოსახლეობის 84,5 პროც. ეს და აღვნიშნოთ, რომ არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ ჰქონია ადგილი და არც შეიძლება ჰქონდეს ასეთ ტემპებს და ასეთ გაქანებას მასიური კულტურული მშენებლობის დარგში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ეგრედწოდებული ძველი „ცივილიზებული“ ბურჟუაზიული სახელმწიფოები, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია, ამერიკა და სხ., რომელთაც დღემდე ვერ დაამთავრეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და საყოველთაო სწავლების განხორციელება.

ამ საერთო წარმატებათა მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მსვლელობა არ აკმაყოფილებს პარტიისა და მთავრობის მოთხოვნებს. საქართველოს კ.პ. (ბ) ცკას გადაწყვეტილების თანახმად, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მთელს რესპუბლიკაში ძირითადად უნდა დამთავრებულიყო 1932 წლის დამლევისათვის. მაგრამ, სახალხო განათლების ორგანოების და პროფკავშირების არადამაკმაყოფილებელ მუშაობის და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციების არასაკმაო მონაწილეობის მეოხებით, ეს დირექტივა არ ყოფილა შესრულებული.

მთელ რიგ რაიონებმა, რომლებმაც გაიტაცა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფრონტზე მიღწეულმა საერთო წარმატებებმა, უკანასკნელ წელიწადში შეანელეს უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში აღებული ტემპი. მთელ რიგ რაიონებში (ვანი, ადიგენი, წალენჯიხა, ბორჩალო, დუშეთი, ახალქალაქი, წალკა და სხ.) ადგილი აქვს პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციების და განათლების ორგანოების ყურადღების დემობილიზაციას წერა-კითხვის უცოდინარობის საკითხების მიმართ.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა პროფორგანიზაციების მუშაობაც, რომელთაც ვერ შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ხაზით 1932 წელს.

საქართველოს პროფსაბჭომ იკისრა ვალდებულება, რომ 1932 წელს, უფასო საზოგადოებრივი მუშაობის წესით, წერა-კითხვას შეასწავლიდა 5.755 კაცს, განათლების მუშაკთა კავშირმა კი—22.065 კაცს. მაგრამ ეს გეგმები ჩაიშალა, რადგან როგორც საქართველოს პროფსაბჭოს, ისე რაიონულ პროფსაბჭოებს საჭირო ორგანიზაციული მასიური მუშაობა არ ჩაუტარებიათ.

გასულ წელს, პარტიის დირექტივების მიუხედავად, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში კოოპერაციას და ნებაყოფლობით საზოგადოებებს არ მიუღიათ ორგანიზაციული და ფინანსიური მონაწილეობა.

ამგვარად, იმის გამო, რომ სახალხო განათლების ორგანოებს, პროფესიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ხაზით აქტიური ბრძოლა და მუშაობა არ უწარმოებიათ, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის 1932 წლის გეგმა ჩაიშალა. გეგმის ჩაშლისათვის პასუხისმგებლობა, უწინარეს ყოვლისა, ეკისრებათ განათლების სახალხო კომისარიატს და სახალხო განათლების ორგანოებს, რომლებიც საკმაოდ ენერგიულად არ იბრძოდენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში პარტიის მიერ დასმულ ამოცანების განხორციელებისათვის.

გასული წლის ჩამორჩენა ამჟამად მოითხოვს მუშაობის მაქსიმალურად გაშლას. საბრძოლო ტემპების აღებას, სახალხო განათლების ორგანოების და პროფკავშირების მუშაობაში, პარტიის დირექტივების საფუძველზე სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფრო აქტიურად ჩაბმას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში.

15 მარტისათვის არსებული ცნობებით, ითვლებოდა 150.037 წერა-კითხვის უცოდინარი, აქედან ორგანიზებულ მოსახლეობაში—18.500, ე. ი. წვრილ საწარმოთა, საბჭოთა მეურნეობათა და ახალშენებათა მუშები.

სახალხო განათლების კომისარიატმა მიიღო წერა-კითხვის უცოდინარობის გეგმა 1933 წლისათვის, რომლის მიხედვით მთელს რესპუბლიკაში წერა-კითხვა უნდა შეისწავლოს 110.000 კაცმა. დანარჩენ 43.037 კაცმა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლები უნდა განვლოს 1934 წლის პირველ ნახევარში. ამგვარად წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების და რაიონების ჩათვლით, მთლიანად უნდა დამთავრდეს 1934 წლის პირველ ნახევარში. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დასაფინანსებლად 1933—34 წლის განმავლობაში საჭირო იქნება 1.020 ათასი მანეთი. ბიუჯეტს არ შეუძლია უზრუნველყოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დაფინანსება ასეთი ოდენობით, ამიტომ საჭიროა კოოპერაციის, პროფკავშირების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩაბმა ამ საქმის დაფინანსებაში. საჭიროა, რომ, პარტიის დირექტივებთან შეფარდებით, კოოპერაციამ, პროფკავშირებმა და ნებაყოფლობითმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ თავისი ძალებით და საშუალებით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩატარება, მათ მიერ გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეთა შორის, მეორე მხრით, შეუძლებელია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმის აგება მარტო ფასიანობის პრინციპზე. ამასთან ერთად უნდა უზრუნველვყოთ საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში, კულტაქტივის და კულტარმიელთა ძალებით წერა-კითხვის უცოდინარობის უფასო ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის წესით 1933 წ. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლებში უნდა გატარდეს კომკავშირის ხაზით—6.000 კაცი, პროფკავშირების—33.000 და საზოგადოება „სოცკულტურა“-ს ხაზით —5.000 კაცი.

საქართველოს განსახკომის გეგმა მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დარგში ითვალისწინებს 12.000 მსმენელის ჩაბმას ოთხთვიან სკოლებში. მცირემცოდნეთა სკოლების დაფინანსებაში მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირები, კოოპერაცია, საზოგადოება „სოცკულტურა“ განსახკომთან მათ მიერ დადებული სპეციალური ხელშეკრულებათა საფუძველზე.

წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის ხაზით წარმოებული მუშაობის მსვლელობა 1933 წლის პირველ კვარტალში აშკარად უნუგეშო სურათს გვიჩვენებს. პირველი აპრილისათვის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლებში ჩაბმული იყო 47.000 კაცი.

ჯერ ერთი, მთელ რიგ რაიონებს არ აუღიათ საჭირო ტემპები მუშაობაში, ხოლო ალაგ-ალაგ, საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, სრულიად დაივიწყეს მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფრონტზე.

მეორე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საქართველოს პროფსაბჭოს, კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, ცეკავშირს და სარეწაო კოოპ. დღემდე არ გაუშლიათ საჭირო მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ხაზით და არ დაუყვანიათ სათანადო დირექტივები თავის რაიონულ და ძირეულ ორგანიზაციებამდე.

ასეთი მდგომარეობა გვაიძულებს ავტეხოთ განგაში და მოითხოვს სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის საბრძოლო გარდაქმნას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში ოპერატიული ჩარევის და ხელმძღვანელობის მიმართულებით. უნდა მივაღწიოთ სახალხო განათლების ორგანოების, პროფესიულ, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ყურადღების დაუყოვნებლივ მობრუნებას წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის ამოცანებისაკენ.

უახლოეს დროში, პარტიის და მთავრობის დირექტივების საფუძველზე, უნდა დაიდვას ხელშეკრულებანი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხის შესახებ, ერთი მხრით, განსახკომსა და სახალხო განათლების ორგანოებს შორის, ხოლო მეორე მხრით—პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის.

წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმები დაყვანილ უნდა იქნას სასოფლო საბჭოებამდე საბჭოთა მეურნეობებამდე, კოლმეურნეობებამდე, საწარმოებებამდე და ძირეულ პროფესიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებამდე.

უნდა უზრუნველვყოთ მსმენელთა სათანადო კონტინგენტის ასი პროცენტით ჩაბმა წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებში აღნიშნულ სკოლების გეგმასთან შეფარდებით.

თავისთავად ცხადია, ოპერატიული ხელმძღვანელობის და ადმინისტრატიული მუშაობის მეთოდებით შეუძლებელია წარმატების მიღწევა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფრონტზე. საჭიროა უზრუნველვყოთ საზოგადოებრიობის, ქალაქისა და სოფლის კულტაქტივის უაღრესად ფართო მონაწილეობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. განათლების ორგანოებმა, პროფესიულმა, კომკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა გაშალონ ისეთი მასიური მუშაობა, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლების და კულტმუშაკების საჭირო კადრების ჩაბმას წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების და მცირემცოდნეთა სკოლების მუშაობაში.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გაშლის ძირითად პირობას წარმოადგენს რაიონული და ძირეული პარტორგანიზაციების მუშაობა და ხელმძღვანელობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფრონტზე. ოდნავადაც არ შეიძლება ისეთი მდგომარეობის გამართლება, როცა პარტიული, პროფესიული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციები ასუსტებენ ყურადღებას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანებისადმი. გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო თვითდინებაზე დაყრდნობის განწყობილებას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში. უნდა მოისპოს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ, თითქოს, უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიებთან დაკავშირებით, არ რჩება დრო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. უყურადღებობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხებისადმი ისე, როგორც საერთოდ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის საკითხებისადმი, არ შეიძლება განხილულ იქნას სხვანაირად, თუ არა როგორც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანების პოლიტიკური მნიშვნელობის შეუფასებლობა. ცნობილია, რომ ჩვენი პარტია, ასრულებს რა ლენინის მითითებებს, უდიდეს ყურადღებას აქცევს საერთოდ კულტურული ფრონტის და, კერძოდ, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანებს.

ლენინი არა ერთხელ მიგვითითებდა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია წარმოადგენს ჩამორჩენილი მშრომელი მასების სოციალისტური მშენებლობის საქმეში ჩაბმის უმნიშვნელოვანეს პირობას. პოლიტგანათლების მუშაკთა ყრილობაზე 1921 წელს ლენინი ამბობდა, რომ „წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი სდგას პოლიტიკის გარეშე, ჯერ მას უნდა შეასწავლონ ანბანი, უამისოდ შეუძლებელია პოლიტიკა, უამისოდ შესაძლებელია მხოლოდ ჭორი, ზღაპრები, ცრუმორწმუნეობა და არა პოლიტიკა“.

ტეხნიკური მცოდნეობა წარმოადგენს მშრომელი მასების კულტურული და პოლიტიკური განვითარების საფუძველს, აგიტაციის, პროპაგანდის და ტეხნიკის დაუფლების წინაპირობას. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციამ არ შეიძლება შეაფერხოს საგაზაფხულო თესვის ჩატარება, არამედ, პირიქით, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ორგანიულად უერთდება სასოფლო-სამეურნეო კამპანიების ამოცანებს, წარმოების ტეხნიკის და აგროტეხნიკური ცოდნის დაუფლების საქმეს. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, რომელიც აიარაღებს მუშათა, კოლმეურნეთა და მშრომელთა ჩამორჩენილ მასებს წერა-კითხვის ცოდნით, კულტურის ამ საფუძვლით, მიუყავს ისინი აქტიურ მონაწილეობისაკენ სოციალისტურ მშენებლობაში. ამიტომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია არ არის მარტო „კულტურული“ ამოცანა, არამედ იგი წარმოადგენს კულტურული რევოლუციის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანას.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს წარმოადგენენ მუშაობის ხარისხის საკითხები. ჩვენში ხშირად აქვს ადგილი წერა-კითხვის უცოდინარობის რეციდივს და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმის მოწყვეტას პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრებისაგან ამა თუ იმ საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში და სოფლად. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მთელ რიგ სკოლებში ნაჩქარევად ასწავლიან ანბანს და წერა-კითხვას, არა საკმაოდ ამტკიცებენ წერის და კითხვის ჩვევებს, რის შემდეგაც სკოლაში კურსდამთავრებული რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ ხდება წერა-კითხვის უცოდინარი. საჭიროა მივაღწიოთ ისეთ ხელმძღვანელობას და ისეთ სასწავლო მუშაობას წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში კურსდამთავრებულმა შეითვისოს სწორი კითხვის და წერის ჩვევები, ჩაუნერგოთ მსმენელს, წიგნზე, გაზეთზე და წერაზე შემდგომი და მოუკიდებელი მუშაობის საჭირო ინტერესი და ჩვევები.

კიდევ უფრო მწვავედ სდგას წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში პოლიტიკური განათლების ან პოლიტანბანის ამოცანა. როგორც ვიცით, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში ტარდება პოლიტსაათი დაწესებული პროგრამით, რომელიც შეიცავს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში პარტიის პოლიტიკის საკითხებს. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ბევრი სკოლა პოლიტსაათს ატარებს ფორმალურად, მწიგნობრულად, სქოლასტიურად, ამასთან პოლიტანბანის საკითხებს არ აკავშირებენ პარტიის პოლიტიკასთან და ამა თუ იმ საწარმოში, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში მუშაობის საბრძოლო ამოცანებთან.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული პოლიტიკასთან. ისეთი საკითხები, როგორიცაა: საგაზაფხულო თესვა, კლასობრივი ბრძოლა სოფლად, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, პარტიის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, ამხ. სტალინის მიერ სოფლად მუშაობის და კოლმეურნეობათა შესახებ წარმოთქმული სიტყვების ახსნა-განმარტება უნდა გადაიქცეს მთელი პოლიტიკური პროპაგანდის უმნიშვნელოვანეს ორგანიულ ნაწილად წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებსა და მცირე მცოდნეთა სკოლებში. ამასთან მათ ხელი უნდა შეუწყონ მსმენელთა მომზადებას პრაქტიკულ მონაწილეობის მისაღებად პარტიისა და მთავრობის ყველა გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში. ამ საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა გარდაიქმნას წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების პროგრამები და მეთოდიური ხელმძღვანელობა.

მხოლოდ პარტიულ, პროფესიულ და კომკავშირული ორგანიზაციების და სახალხო განათლების ორგანოების ბოლშევიკური ბრძოლას და მუშაობას შეუძლია უზრუნველყოს წარმატებათა მიღწევა. საჭიროა მწვავედ დავარტყათ თვითდინების განწყობილებას და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმის შეუფასებლობას, დავაწესოთ ოპერატიული ხელმძღვანელობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობაზე, უზრუნველვყოთ საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო საბჭოების და კოლექტიური მეურნეობების, აგრეთვე ძირეული პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ხაზით და ჩავაბათ საბჭოთა ინტელიგენციის და კულტაქტივის ფართო ფენები წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში.

1933 წელს ბოლშევიკურად შევასრულოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმა, იმ ქვეყანას, რომელიც ძლევამოსილად აშენებს უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას და სოციალისტურ კულტურას არ უნდა ჰყავდეს და მას არც ეყოლება წერა-კითხვის უცოდინარი არც ერთი მშრომელი.

ე. ბედია.

სრულიად საქართველოს მეორე საკურორტო ყრილობა

მეორე სხდომა

რა გაკეთდა საქართველოს კურორტებზე, საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად

საქ. კურორტ. მთ. სამმართველოს [illegible] მოადგილის—ამხ. შ. მაისურაძის მოხსენება

სრ. საქართველოს მეორე საკურორტო ყრილობამ საქმიანი მუშაობა დაიწყო კურორტთა მთავარი სამმართველოს საანგარიშო მოხსენებით. მომხსენებელმა—ამხ. შ. მაისურაძემ, ყრილობას გააცნო პირველ ხუთწლედში ჩატარებული მუშაობა საკურორტო მშენებლობის ყველა დარგებში.

— პირველი ხუთწლედის დასაწყისამდე,—სთქვა მომხსენებელმა, სწარმოებდა კურორტების აღდგენა, მათი მოწყობა სამკურნალო-პროფილაქტიური და სანიტარული მოთხოვნილებების თანახმად, სწარმოებდა საბინაო ფონდის აღდგენა და სხვ. კურორტების რეკონსტრუქცია ხდებოდა ფინანსიური დაბრკოლებების პირობებში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების შემდეგ, დაიწყო საქართველოს კურორტების აღორძინების ახალი ხანა. 1932 წლის დასაწყისიდანვე უნახავი ტემპით გაიშალა საკურორტო მშენებლობა. 1932 წელს, საკურორტო მშენებლობაზე დაბანდებული თანხა აჭარბებს, ყველა განვლილ წლებში დახარჯულ თანხას. სულ 1-ლ ხუთწლედში კაპიტალური დაბანდებანი კურორტებზე (უწყებების ჩაუთვლელათ) უდრის 11.427.000 მანეთს, ამ თანხიდან 1932 წელს, ე. ი. 1-ლი ხუთწლედის დასკვნითი წლის განმავლობაში, დაბანდებულ იქნა 7.776.000 მანეთი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილებაში, საქართველოში საკურორტო მშენებლობის გაშლის შესახებ ნათქვამი იყო:

„საჭიროა სამეცნიერო-საგამოკვლევო სამუშაოთა ჩატარება სამკურნალო და კლიმატიური მნიშვნელობის ადგილების გამოსაძებნელად (გეოლოგიური ძიება, ჰიდროლოგიური და კლიმატიური გამოკვლევა, გეოდეზიური სამუშაოები და სხვ.). (საქ. ქ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის 1931 წ. 10 ნოემბრის დადგენილებიდან).

ჩვენ თუ ვერ მოვახერხებდით კურორტების გამოკვლევას და მათ ყოველმხრივ შესწავლას, ისე წარმოუდგენელი იქნებოდა გეგმიანი მშენებლობის წარმოება, შეუძლებელი იქნებოდა კურორტების გამოყენება მკურნალობის მეტი ეფექტიანობის მისაღებათ და დაბრკოლდებოდა ჩვენი კურორტების შემდგომი განვითარების საქმე.

საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიატრიის სახელმწიფო ინსტიტუტს დაევალა ამ ამოცანის შესრულება. საქ. კურორტთა მთავარი სამმართველოს მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო უმთავრესად საკავშირო მნიშვნელობის კურორტებისაკენ.

პირველათ 1932 წელს იქნა მოწყობილი მუდმივი სანიტარული ზედამხედველობა—კურორტ ბორჯომში, წყალტუბოზე, აბასთუმანსა და წაღვერში. პარტიის დადგენილებათა შესასრულებლად საჭირო იყო, რომ სამეცნიერო-საგამოკვლევო სამუშაოებთან ერთად დაგვეწყო კურორტებზე მკურნალობის შედეგების აღრიცხვაც. აღრიცხვის ორგანიზების მიზნით, გასულ წელს მოწყობილ იქნა პოლიკლინიკები ყველა კურორტებზე, ხოლო ბორჯომში, წაღვერში, წყალტუბოში და აბასთუმანში შემოღებულ იქნა ფიზკულტურის მეთოდით მკურნალობა, რამაც პირველ ხანებშივე გამოიღო კარგი ნაყოფი.

სააღმშენებლო სამუშაოების შესრულება

მეორე საკურორტო ყრილობის მოწვევისათვის საქართველოს კურორტებზე, პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებათა შესასრულებლად ჩატარებულია შემდეგი სააღმშენებლო სამუშაოები: ბორჯომში აგებულია 240 ოთახიანი სასტუმრო და სასადილო, სადაც ერთდროულად შეუძლია სადილების მიღება 500 კაცს, ბაკურიანში აგებულია 40 ოთახიანი სასტუმრო და ახტალაზე—24 ოთახიანი სასტუმრო.

გაყვანილია წყალსადენისა და კანალიზაციის მაგისტრალები აბასთუმანსა და წყალტუბოში. წყალტუბოში აგებულია 80 საწოლიანი სანატორიუმი, აგებული და მოწყობილია პოლიკლინიკა, აგებულია დასასვენებელი სახლი, კოლმეურნეთა სახლი 152 საწოლით; სამეცნიერო მუშაკთა სახლი; ბიბლიოთეკის შენობა და სხვ. ბაკურიანში და ახტალაზე დაწყებულია წყალსადენების გაყვანა, დაწყებულია საბავშვო სანატორიუმის აგება [illegible]. აბასთუმანში აგებულია დიდი სასადილოს შენობა და კლუბი. დაწყებულია პარკების გაშენება წყალტუბოში, ახტალაში და ბორჯომში (მინერალურ წყაროებთან).

გასული წლიდან გაიშალა მუშაობა კურორტებზე ახალი გზების გასაყვანად. წყალტუბოში გაყვანილია აბჰესის ენერგია, გაფართოებულია ბორჯომის ჰიდრო-ელსადგური და სხვ. დაწყებულია გუდრონიანი გზის გაყვანა ქუთაისიდან წყალტუბომდე (12 კილომ.)' დამუშავებულია პროექტი ელექტროფიცირებული რკინის გზის გასაყვანად ქუთაისიდან წყალტუბომდე.

საქართველოში საკურორტო მშენებლობის უშუალო ხელმძღვანელობა საქციო საზ-ბა „საქ. კურორტმშენს", რომელიც აწარმოებს 2 სანატორიუმის აგებას წყალტუბოში და თითო სანატორიუმებისას—აბასთუმანსა და ბორჯომში.

კურორტების მოსამარაგებლათ, გასული წლის ივნისში ჩამოყალიბებულ იქნა „საქკურორტმომარაგება".

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკურორტო ტყეების დაცვას. სულ საქ. საკურორტო მნიშვნელობის ტყეების ფართობი უდრის 217.000 ჰექტარს. აღნიშნული ტყეების დაცვის საქმე მინდობილი აქვს კურორტთა მთავარი სამმართველოს სატყეო სექტორს, ხოლო ადგილობრივ—სატყეო მეურნეობის სამმართველოებს.

საქ. კურორტები მეორე ხუთწლედში

მეორე ხუთწლედში მთავარი ყურადღება კვლავ საკავშირო მნიშვნელობის კურორტების განვითარების საქმეს მიექცევა. საკავშირო მნიშვნელობის კურორტთა შორის ჩაირიცხული იქნება—წყალტუბო, ბორჯომი, წაღვერი, ცემი, ბაკურიანი; აბასთუმანი; ბახმარო; შოვი; სოხუმი; გულრიფში; ცსირცხა, გუდაუთი და ქობულეთი.

რესპუბლიკანური მნიშვნელობის კურორტებათ აღიარებული იქნება მანგლისი, კოჯორი, სურამი, უწერა, თბილისის ბალნეოლოგიური სადგური; თეკლათი და ანაკლია. კურორტების დაგეგმვის საფუძვლად იქნება მოთხოვნილების სიდიდე. დაწყებული სამეცნიერო კვლევა-ძიებითი მუშაობა შედეგათ უნდა იქნეს გამორკვეული, თუ რომელი პროფესია, როგორ დაავადებას და რომელი კურორტები უფრო შესაფერისი იქნება ამა თუ იმ ავადმყოფთათვის. ასე მიღებული მეცნიერულ სტატისტიკური მასალების საფუძველზე მოხდება კურორტების გენერალური დაგეგმვა.

მეორე ხუთწლედის ბოლოს საქართველოს მთავარ კურორტებზე საბინაო ფონდი გაიზრდება იმდენათ, რომ მარტო საკავშირო მნიშვნელობის კურორტებზე შესაძლებელი გახდეს სეზონში 600.000 კაცის გატარება.

თავის მოხსენების დასასრულს, ამხ. მაისურაძე დაწვრილებით შეჩერდა მეორე ხუთწლედის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოთა დახასიათებაზე.

მოხსენებები ავტონომიურ რესპუბლიკებიდან

აფხაზეთში საკურორტო მშენებლობის 1-ლი ხუთწლედის შედეგებისა და მეორე ხუთწლედში აფხაზეთის კურორტების პერსპექტივების შესახებ, ყრილობამ მოისმინა აფხაზეთის საკურორტო სამმართველოს წარმომადგენლის—ამხ. შამბას მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის კურორტები სამკურნალო თვისებებით არა თუ ჩამორჩებიან უცხოეთში ცნობილ დიდ კურორტებს, არამედ, როგორც ეს ირკვევა მეცნიერული კვლევა-ძიებებიდან, გაცილებით წინ უსწრებენ მათ. გულრიფში, სოხუმი, ახალი ათონი, გუდაუთი' მიუსერა; პიცუნდა და სხვა კურორტებზე საშუალო წლიური ტემპერატურა გაცილებით უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე საფრანგეთის რივიერაზე ან ნიცაში, კანნაში და სხვაგან. მაგრამ ამავე დროს აფხაზეთის კურორტები კეთილმოწყობის მხრივ ოდნავადაც ვერ უახლოვდება მოწინავე ევროპიულ კურორტებს. საბინაო ფონდიც კი არაა ოდნავ დამაკმაყოფილებელი.

აფხაზეთში არის, როგორც ბალნეოლოგიური, ისე სამთო-კლიმატიური ხასიათის კურორტები. მეორე ხუთწლედში საკავშირო მნიშვნელობის კურორტებზე (სოხუმი, გულრიფში; ახალი ათონი; გუდაუთი, მიუსერა' პიცუნდა და გაგრა) საწოლების რიცხვი 1871-დან აყვანილი იქნება 8746-მდე. აღნიშნულ კურორტებზე სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობის ჩასატარებლათ გათვალისწინებულია 600.000 მანეთის დახარჯვა, ხოლო სულ ამ კურორტების განვითარების საქმეზე დაიხარჯება 82.850.000 მანეთი. ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე კი — 98,024.000 მან.

აჭარისტანის საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელმა ექ. ერმოლინმა ყრილობას გააცნო აჭარისტანის კურორტების მდგომარეობა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარისტანის კურორტები პრიმიტიულ მდგომარეობაში იყვნენ. არც სამკურნალო დახმარების ქსელი და არც სანიტარულ-ჰიგიენური პირობები იქ არ იყო დაცული. უკანასკნელ / წლებში აჭარისტანის კურორტებმა სრულიად იცვალეს ფერი. განსაკუთრებით, დიდი სამუშაოებია ჩატარებული კურორტ ქობულეთის კეთილმოსაწყობათ. შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა იმ სამუშაოების დახასიათებაზე, რაც უნდა იქნეს შესრულებული მეორე ხუთწლედში აჭარისტანის კურორტების კეთილმოსაწყობათ და გასაფართოებლათ.

სამხრეთ-ოსეთის საკურორტო სამმართველოდან მოხსენებით გამოვიდა ექ. გაზაევი. მან აღნიშნა, რომ სამხრეთ-ოსეთი წარმოადგენს ჯანსაღობის იშვიათ კუთხეს. აქ მრავლად მოიპოვებიან სამთო-კლიმატიური მნიშვნელობის საკურორტო ადგილები და კიდევ უფრო უხვადაა მინერალური წყაროები, ლესე, ვეზურა, კობეთი, ძაუ-სუარი და სხვ. ადგილები არ ჩამოუვარდებიან სხვა ცნობილ კლიმატიურ კურორტებს. მომხსენებელმა დაწვრილებით აღნიშნა, თუ რა სამუშაოები უნდა იქნეს შესრულებული სამხრეთ-ოსეთის კურორტების კეთილმოსაწყობად მეორე ხუთწლედის განმავლობაში.

სამეცნიერო-საგამოკვლევო სამუშაოები საქ. კურორტებზე

დოც. ი. კონიაშვილის მოხსენება

სამეცნიერო-საგამოკვლევო სამუშაოების ჩატარებას საქართველოს კურორტებზე ხელმძღვანელობდა საქ. კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი რომელსაც დახმარებას უწევდნენ კურორტოლოგიის მოსკოვის ინსტიტუტი და პიატიგორსკის ბალნეოლოგიური ინსტიტუტი. საქართველოს კურორტების შესწავლის საქმეში პირველად იქნა გამოყენებული ე. წ. კომპლექსური მეთოდი და რაც შესრულებული მუშაობის ერთ მთავარ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს.

მეტად საყურადღებოა კურორტებზე ჩატარებული გამოკვლევების შედეგები. შექმნილია მტკიცე მეცნიერული საფუძველი ახალი სოციალისტური კურორტების მოსაწყობათ, გამოკვლეულია მთელი რიგი კურორტების მაჩვენებლები, შესწავლილ იქნა კურორტების ჰიდროლოგიურ-მეტეოროლოგიური პირობები და სხვ. პირველ სოციალისტურ კურორტათ გადაწყვეტილია მოწყობილ იქნეს—წყალტუბო.

შეკრებილი, შესწავლილი და სისტემაში მოყვანილია მასალები—ბორჯომის, წყალტუბოს, ახტალას, ქობულეთის და სხვა კურორტების გენერალური დაგეგმვისათვის, კურორტოლოგიის ინსტიტუტი ეხლა აწარმოებს ხსენებული კურორტების გენერალური დაგეგმვის სქემების დამუშავებას.

სამეცნიერო-საგამოკვლევო სამუშაოების პირველი შედეგები, მომხსენებლის გადმოცემით, ასეთია: შემუშავებულია ყველა კურორტების მაჩვენებლები და საწინააღმდეგო მაჩვენებლები (რას უხდება და რას სწყენს), გადიდებულია ბორჯომის მინერალური წყაროების დებეტი სამჯერ, გადიდებულია წყალტუბოს რადიოაქტიური წყალის დებეტი რამდენიმეჯერ, დაწყებულია წყალტუბოში და ბორჯომში მკურნალობის შედეგების აღრიცხვა, რასაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ კურორტის პასპორტის შესადგენათ.

გარდა ამისა, შესწავლილია საკურორტო ფაქტორების გავლენა ადამიანზე—ბორჯომში, წყალტუბოში, აბასთუმანში, შამოვში, ახტალაში; საირმეში და ბახმაროზე.

დასასრულ, მომხსენებელი შეჩერდა იმ ამოცანებზე, რომელთა გადაჭრისკენაც უნდა იქნეს მიმართული მომავალში საქ. კურორტებზე დაწყებული სამეცნიერო-საგამოკვლევო სამუშაოები.

დოც. კონიაშვილის მოხსენების შემდეგ საქართველოში პროლეტ. ტურიზმის საკურორტო მშენებლობასთან დაკავშირებით განვითარების შესახებ ყრილობამ მოისმინა ექ. ი. ასლანიშვილის სპეციალური მოხსენება.

მოსმენილ მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ ჩამოსულმა სტუმრებმა.

მესამე სხდომა

ყრილობის მესამე სხდომაზე, 24 აპრილს საღამოს, მოსმენილ იქნა პროფ. ნ. ოგილვის მოხსენება და გეოლოგ მ. ფალავას თანამოხსენება 'კურორტ წყალტუბოს ჰიდრო-გეოლოგიის შესახებ.

პროფ. ოგილვი დაწვრილებით შეჩერდა წყალტუბოს წყალის სხვადასხვა თვისებების დახასიათებაზე და აღნიშნა, რომ აქ გავლენა აქვს ერთის მხრივ წყალის ტემპერატურას, რადის ემანაციას და მთელ რიგ სხვა მოვლენებს, რომლებიც წყალტუბოს აყენებენ მსოფლიოში უმნიშვნელოვანეს კურორტად.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება კურორტოლოგიის მოსკოვის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგებზე წყალტუბოს წყლების ფიზიკო-ქიმიური თვისებების შესახებ, აღნიშნული იყო, რომ წყალტუბოს წყალი იწვევს აბაზანაში ჩასული კაცის ტანის კანის გამუქებას, რის ახსნაც მეცნიერულად ჯერ-ჯერობით არ არის მოცემული.

მოსმენილ იქნა აგრეთვე ექ. ხახკინის, გ. მიქელაძის და ე. ჩოლინგარაშვილის მოხსენებები—გულისა და სისხლ-ძარღვთა სისტემის დაავადებათა მკურნალობის შესახებ კურორტ წყალტუბოზე.

შემდეგ მოსმენილ იქნა დოც. ი. კონიაშვილის მოხსენება და ექ. გ. [illegible] თანამოხსენება რევმატიულ დაავადებათა მკურნალობის ეფექტიანობის შესახებ

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ლამბარაშვილმა, დოც. კოგანმა და სხვ.

კ. მარჯანიშვილის ცხედრის კრემაცია

მოსკოვი, 23 აპრილი (საკუთარი კორესპონდენტისაგან). დღეს თეატრალური მოსკოვი ეთხოვებოდა მარჯანიშვილის ცხედარს. დილის 10 საათისათვის მცირე თეატრის შჩეპკინის დარბაზში თავი მოიყარეს მოსკოვის თეატრების დელეგაციებმა. დღის 12 საათზე იწყება სამოქალაქო პანაშვიდი. საკავშირო მთავრობის სახელით სიტყვას ამბობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტაჯიევი.

— მარჯანიშვილის გარდაცვალებით,—ამბობს ის,—ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებმა დაჰკარგეს ნიჭიერი მუშაკი, თეატრის დიდი ოსტატი. ოქტომბრის რევოლიუციამ საშუალება მისცა მას მთლიანად გამოეყენებია თავისი ნიჭი და მის წინაშე გადაშალა შემოქმედების ახალი ფართო გზა. მარჯანიშვილი ეკუთვნოდა არა მარტო ამიერ-კავკასიის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებს. საკავშირო ცაკის და ეროვნებათა საბჭოს სახელით ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ და დარწმუნებული ვარ, რომ მარჯანიშვილის თანამშრომლები გააგრძელებენ მის საქმეს.

საქართველოს მთავრობის სახელით გამოდის ამხ. ბუდუ მდივანი.

— ჩვენ ვამაყობდით და ვიამაყებთ,—ამბობს ის,—კოტე მარჯანიშვილით. ჩვენი საამაყო დაფუძნებულია იმ ბედნიერი ნაბიჯების შეგნებაზე, რომელიც გადადგა მარჯანიშვილმა. ის სწავლობდა მოსკოვში. ნიჭიერი მოწაფე მალე მასწავლებლად გადაიქცა. დაუდეგარი, მუდამ მაძიებელი ის დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, თეატრიდან თეატრში, სანამ ახალი კლასის გამარჯვებამ პროლეტარული შინაარსით არ აავსო მისი ბობოქარი სული. ის ექვეთა ლენინგრადს, შემდეგ უკრაინას, სადაც განახორციელა ბრწყინვალე დადგმა ესპანეთის რევოლუციონურ ცხოვრებიდან. მისი დადგმა კიევში ბრძოლის ხალისს უნერგავდა წითელარმიელებს, რომლებიც მტრებზე გასალაშქრებლად მიდიოდნენ. პროლეტარიატმა მოიხმო მარჯანიშვილი, ის მოვიდა და ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა.

მარჯანიშვილი დიდი ენტუზიაზმით შეუდგა ახალი ქართული თეატრის შექმნას, რომელსაც საბჭოთა საქართველოში არასოდეს არ დაივიწყებენ.

რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ნოვიცკი. მარჯანიშვილი—განაცხადა მან,—ქართული ნაციონალური თეატრის უდიდესი მხატვარია და უდიდესი წარმომადგენელია ხელოვნების, ნაციონალურის ფორმით და სოციალისტურის შინაარსით. მარჯანიშვილი ევროპიული მასშტაბის მხატვარია, ის ჩვენი საბჭოთა სოციალისტური თეატრის უდიდესი ოსტატია.

შემდეგ გამოსათხოვარი სიტყვებით გამოდიან მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა საოლქო კავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხ. ალექსეევი, მცირე თეატრიდან დამსახურებული არტისტი მ. ფ. ლენინი, კამერული თეატრიდან—ა. ტაიროვი, ამხ. ლუნაჩარსკი, დრამატურგთა სექციიდან ვსევოლოდ ვიშნევსკი, უკრაინის თეატრ. „ბერეზილი"-დან—გორკოვენკო, თბილისის მეორე სახელმწიფო თეატრიდან მსახიობი—შ. ღამბაშიძე.

ამხ. ა. ლუნაჩარსკი მარჯანიშვილის ხელს ადარებს ვახტანგოვის ხელთან და აღნიშნავს, რომ მათ თეატრი წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც უდიდესი დღესასწაული, აღსავსე ცეცხლით, სინათლით და ფერებით.

ამხ. ლუნაჩარსკი იგონებს, თუ როგორ ანვითარებდა ამ რამდენიმე წლის წინათ მარჯანიშვილი მის წინაშე მოსკოვში ოქტომბრის დღესასწაულების ჩატარების უდიდეს გეგმას. ჩვენ ვერ შევძელით მაშინ ამ უდიდესი ოსტატის იდეების განხორციელება. თავისი მშვენიერი ენტუზიაზმი მან შეიტანა საბჭოთა თეატრის განვითარებაში.

მარჯანიშვილის ცხოვრება მშვენიერი, სრულყოფილი ნიმუშია ბრწყინვალე შემოქმედისა. მან დაგვიტოვა საუცხოვო ხსოვნა, რომელიც ახალ გამარჯვებებისაკენ წააქეზებს [illegible] თეატრალურ მუშაკს.

სამოქალაქო პანაშვიდი დამთავრებულია. დღის 2 საათზე კუბოს იღებენ ხელში და მიაქვთ ქუჩაზე კიბეზე, თეატრალური მოედანის ნაწილი მოსკოვის დიდისა და მცირე თეატრების შორის გაჭედილია ხალხით. კუბო შედგმულია კატაფალკაზე. ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს. პროცესია გაემართება ტვერის ქუჩით ოპერეტის თეატრისაკენ, სადაც ოპერეტის თეატრის ხელმძღვანელი ამბობს გამოსათხოვარ სიტყვას.

სამგლოვიარო ჰიმნით ხვდება პროცესიას სიმფონიური ორკესტრი კრემატორიუმთან. ახლოვდება ხუთის ნახევარი. იატაკი კუბოს ქვეშ გაიხსნება და კუბო მარჯანიშვილის ცხედარით ნელა ეშვება ძირს. ის იფერფლება.

კ. მარჯანიშვილის ნეშტის ჩამოსვენება

მიღებულია ცნობა, რომ ურნა კ. მარჯანიშვილის ფერფლით თბილისში ჩამოსვენებული იქნება 27 აპრილს, საღამოს 7 საათზე. ურნას თან მოჰყვება მოსკოვის თეატრების წარმომადგენელთა დელეგაცია.

დაკრძალვა მოხდება 29 აპრილს.

1-ლი მაისის დღესასწაული სკოლების და კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში

საქ. განსახკომმა ამხ. ბედიას ხელის მოწერით პირველი მაისის ჩატარებაში მონაწილეობის მიღების შესახებ ყველა სკოლებს და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს გაუგზავნა შემდეგი დირექტივა:

1-ლ მაისის სოციალისტურ კულტურის ფრონტის მუშაკებმა უნდა შეაჯამონ კულტურულ მშენებლობის, სკოლის მუშაობის გარდაქმნის, ინტერნაციონალურ აღზრდის, კადრების მომზადების, ლიტერატურის და ხელოვნების, პოლიტგანათლების და სხვა დარგებში ჩატარებულ მუშაობის შედეგები.

ყველა უმაღლეს, საშუალო და დაწყებითი სასწავლებლებში და აგრეთვე მუშათა და კოლმეურნეობათა განათლების სისტემის, წ.-კ. უცოდინარობის და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებში. საზოგადოებათმეცნიერების ხაზით დეტალურად დამუშავდეს საკითხი მუშათა საერთაშორისო მოძრაობის განვითარების, კომინტერნის რევოლუციონური მნიშვნელობის და სოციალ-ფაშისტური მე-2 ინტერნაციონალის კონტრ-რევოლუციონური როლის შესახებ.

ჩატარდეს ყველა სასწავლებლებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა საზეიმო სხდომები, რომლებზედაც მოსმენილ უნდა იქნეს მოხსენებები 1-ლ მაისის საერთაშორისო მნიშვნელობისა და მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკურ საბრძოლო ამოცანების შესახებ. მოეწყოს სამხატვრო-ლიტერატურული დილა-საღამოები, პროგრამის შესაფერ შერჩევით, გამოიცეს სპეციალური კედლის გაზეთები და სხვ.

1-ლ მაისთან დაკავშირებით ყველა სკოლებში შემოწმებული და გაცხოველებული იქნეს რემედასის, თავდაცვა-ავიაქიმის, მებრძოლ უღმერთოთა კავშირის უჯრედებისა და მუშათა საერთაშორისო მოძრაობის შემსწავლელ წრეების მუშაობა, ხოლო იქ, სადაც ასეთები არ არსებობენ, უზრუნველყოფილი იქნეს მათი ჩამოყალიბება.

ინტერნაციონალურ აღზრდის განმტკიცების მიზნით მოეწყოს სხვადასხვა ეროვნებათა სკოლების მოსწავლეთა შეხვედრები და საღამოები.

ყველა კლუბებსა, კლუბ-სამკითხველოებთან და წითელ კუთხეებში ჩატარდეს სპეციალური მოხსენებები და საუბრები 1-ლ მაისის ისტორიულ მნიშვნელობის შესახებ.

მოეწყოს კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა საწარმოო ექსკურსიები—სანიმუშო კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე, მათ მიღწევებისა და გამოცდილებათა გაცნობისა და გაცვლა-გამოცვლის მიზნით.

ყველა კულტორგანიზაციებმა და სკოლებმა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა საპირველმაისო დემონსტრაციებში

ქრონიკა

კრებები და მოხსენებები

— მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილ. სექცია ინსტიტუტის შენობაში 27 აპრილს, სალ. 7 ს. აწყობს პროფ. ს. დანელიას მოხსენებას (ქართულ ენაზე) თემაზე: „მარქსი და ფილოსოფიის ისტორია". მოწვეული არიან პროფესორები, ლექტორები, მეცნიერული მუშაკები და ასპირანტები.

— თბ. სახ. უნივერსიტეტის პოლიტ-ეკონომიის კაბინეტში 26 და 27 აპრილს, სალ. 8 საათზე, შესდგება ცნობილ ფიზიკოს ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორ გამოვის მოხსენებები. 26 აპრილს—„ბირთვის ფიზიკის ახალი ფაქტები". 27 აპრილს—„კოსმიური სხივები". შესვლა თავისუფალია.

— განათლების მუშაკთა სახლში 26 აპრილს, სალ. 8 ს. შესდგება ამხ. პ. აფხაზის მოხსენება ქართულ ენაზე: „მარქსი ახალგაზრდა თაობის კომუნისტურად აღზრდის შესახებ". შესვლა თავისუფალია.

ამინდის მიმოხილვა საქართველოში

24 აპრილს დილის 7 საათიდან 25 აპრილს დილის 7 საათამდე

დასავლეთ საქართველოში

დღისით მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა; 25 აპრილს დილით მოღრუბლულობის შემცირება ბათუმის, ზუგდიდის და გაგრის გამოკლებით. ყველგან სიმშრალე. დღისით და ღამით აღმოსავლეთ—ნახევარის ძლიერი ქარი ფოთის რაიონში. დღისით ტემპერატურამ მნიშვნელოვნად აიწია, შედარებით დაბლობ რაიონებში აღწევდა +31 გრ.-დე (ოზურგეთი, წალენჯიხა, ზუგდიდი; სამტრედია); სანაპირო რაიონებში კი ირყეოდა +23 გრ.-დან +26 გრ.-მდე (ბათუმი; ფოთი, გაგრა). ღამით ტემპერატურა ირყეოდა +13 გრად. +21 გრ.-მდე (წოფა; ანასეული; ბათუმი; სოხუმი); ონში კი ტემპერატურამ დაიწია +8 გრ.-მდე.

აღმოსავლეთ საქართველოში მთელი დღის განმავლობაში [illegible] ღრუბლები, [illegible] ლაქის რაიონში აღნიშნულია სამხრეთ-აღმოსავლეთის ზომიერი ქარი. დღისით ტემპერატურა ირყეოდა +24 გრ.-დან +25 გრ.-დე (გორი, თბილისი, თელავი); მთიან რაიონებში კი +15 გრ.-დან +17 გრ.-მდე (ბაკურიანი, კოჯორი, მანგლისი). გუდაურში კი +9 გრ. ღამით ტემპერატურა ირყეოდა +7 გრ.-დან +14 გრ.-მდე (ახალციხე, გორი, ახმეტა, გურჯაანი), მთიან რაიონებში კი +4 გრ.-მდე (გუდაური, ბორჯომი, ლიხანი).

მდინარეების დონის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში 26 აპრილისათვის

უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ტემპერატურის აწევასთან დაკავშირებით მთელ ამიერ-კავკასიაში ემჩნევა მდინარეთა დონის ამაღლება (ზოგან მნიშვნელოვანი). 24 აპრილს შესამჩნევად ადიდდა აღმ. საქართველოს და აზერბეიჯანის მდინარეები. 24 აპრილს მდ. მტკვრის ჰორიზონტი უდრიდა 268 სმ. 42 სანტიმეტრით მეტს, ვიდრე 23 აპრილს. შედარებით ნაკლები ადიდება ეტყობა დასავლეთ საქართველოს და სომხეთის მდინარეებს. უახლოეს დღეებში მოსალოდნელია მდინარეთა დონის შემდეგი აწევა.

ა.-კ. მ. მ. კ. ამინდის ინსტიტუტი

ლაშქრობა სისუფთავისათვის კვლავ უნდა განვიმეოროთ

• ვისარგებლოთ პირველი ლაშქრობის გამოცდილებით

24 აპრილი გამოცხადებული იყო რკინისგზაზე სისუფთავისათვის ლაშქრობის საკავშირო დღეთ. თბილისის საბჭოს სექციონერები ერთი კვირით ადრე შეუდგნენ ამ დღისათვის მზადებას, მაგრამ გამოირკვა, რომ ლაშქრობისათვის სამზადისი მაინც არ იყო დამაკმაყოფილებელი. ეს სჩანდა ჯერ ერთი იქიდან, რომ ლაშქრობის მონაწილეებმა სამუშაოზე გამოცხადება დააგვიანეს ერთი საათით და ზოგიერთმა ჯგუფებმა მეტიაც. გარდა ამისა, ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიეღო 1800-მდე კაცს, ხოლო ნამდვილათ გამოვიდა 1200 კაცი.

მიუხედავათ ამისა, ლაშქრობის ჩატარებამ უდიდესი ნაყოფი გამოიღო.

დღის განმავლობაში დასუფთავებულ იქნა—ამხ. სტალინის სახ. სარემონტო ქარხანა, სადაც მუშაობდა 200 კაცი, თბილისის დეპო, საგაზონო პარკი, რკინის გზის სადგურის ტერიტორია, საქონლის სადგური, სანავთლური. აღნიშნულ ადგილებში დასუფთავებულ იქნა—ეზოები, საწყობები; შენობები და საერთო სარგებლობის ადგილები. ნაგავის გაზიდვა სწარმოებდა რკინის გზის სადგურის ტერიტორიიდან ვაგონებით, ხოლო დანარჩენი ადგილებიდან ავტომობილებით. დღის განმავლობაში ნაგავის გაზიდვაზე შეუსვენებლივ მუშაობდა ორი საზარგო ავტომობილი.

სადგურის ტერიტორიისა და რკ. გზის საწარმოების დასუფთავების შემდეგ ლაშქრობის მონაწილენი გადავიდნენ ლენინის რაიონის მუშათა კვარტალებში. ქუჩების და ეზოების დასუფთავებასთან ერთად, სწარმოებდა მუშების ბინების დეზინფექცია. აბანოებში ჩატარდა ტანისამოსის დეზინფექცია 2,000-მდე კაცის და გაზიდულ იქნა 200 ტონამდე ნაგავი.

მიუხედავათ მთელი რიგი დეფექტებისა, რაც აიხსნება სათანადო მოუმზადებლობით, ლაშქრობამ მაინც ნაყოფიერი შედეგი მოგვცა. თბილისის საბჭოს სექციონერები არ უნდა დაკმაყოფილდნენ ამ პირველი ლაშქრობის ჩატარებით და კვლავ გაიმეორონ იგი მიღებული გამოცდილების გამოყენების საფუძველზე.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 15

საქ. სსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1933 წლის აპრილის 20

საწარმოებსა და დაწესებულებებში მეცადინეობის დაწყების დროის შესახებ

საქ. სსრ. სახკომსაბჭოს 1929 წ. ივლისის 26-ს თარიღით „სახელმწიფო დაწესებულებებში მეცადინეობის დაწყების დროის შესახებ და საქ. სსრ შრომის სახკომისარიატის მიერ 1930 წ. აგვისტოს 15-ს თარიღით „ქ. თბილისში მდებარე საწარმოებსა, დაწესებულებებსა, საზოგადოებრივი და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მეცადინეობის დაწყების დროის შესახებ" გამოცემულ დადგენილების თანახმად საქ. სსრ შრომის სახკომისარიატი ადგენს:

1. 1933 წ. მაისის 1-დან 1933 წ. ოქტომბრის 1-მდე ქ. თბილისში მდებარე საწარმოებსა, დაწესებულებებსა, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მეცადინეობას ნაცვლად 9, 9 ნახ. 10 და 10 ნახევ. საათისა დაწყებულ იქნეს 7, 8, 8 ნახევარ და 9 საათებში.

შენიშვნა: მეცადინეობა იწყება იმ წესის და სიის მიხედვით, რაც გათვალისწინებულია საქ. სსრ შრომის სახკომისარიატის და ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ 1930 წ. აგვისტოს 15-ს თარიღით „ტრამვაის მოძრაობასთან დაკავშირებით სამუშაო დროის დაწყების შესახებ" გამოცემულ დადგენილებაში (გაზეთი „კომუნისტი" 1930 წ. № (197).

2. ეს წესი სათანადოდ გავრცელებულ იქნეს რესპუბლიკის ყველა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებზე ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

3. აღნიშნულ დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით გაუქმებულად ჩაითვალოს საქ. სსრ შრომის და განათლების სახკომისარიატისა და თბილისის ქალაქის საბჭოს მიერ 1932 წ. დეკემბრის 23-ს თარიღით გამოცემული დადგენილება (გაზეთი „კომუნისტი" 26 დეკ.—1932 წ.).

4. ევალება ადგილობრივ შრომის ორგანოებს თვალყური ადევნონ ამა დადგენილების ცხოვრებაში სისწორით გატარებას.

საქ. სსრ შრომის სახკომისარი: — ლ. მორჩილაძე.
ტფილისის ქალაქის საბჭოს თავმჯ-რე:— ბ. მაჩაიძე.
შეთანხმებულია საქ. პროფსაბჭოსთან: შ. ანთიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

მომხსენებელთა სია, რომლებიც მობილიზებულნი არიან 1-ლი მაისის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად ორჯონიკიძის რაიონში

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა—ბუაჩიძე, ელისაბედაშვილი, ავეჯეულობის ფაბრიკა—ურუშაძე, ლიტოგრ.—კვარაცხელია, „ზარია ვასტოკა"—ბუკრეევი, 1-ლი სტამბა—დემეტრაძე, მე-2 სტამბა—ვარდენგი, აგურის ქარხნები—გრიგორიანი, თელასი—აზატიანი, სახ. პოლიტსამმართველოს სააღმშ. ბიურო—ბარიგიანი, ასრიევი, ბინკომუნშენი—დურბარიანი, სამუსიკო ფაბრიკა—გუგუშვილი, ფოლაქების ფაბრიკა—ნალბანდოვი, სოიუზტრანსის გარაჟი—შავერდოვი, ქალაქის დამსუფთავებელი ტრესტი—ლუსინიანი, მტვირთავები—ატრიანი, პოლიგრაფტრესტის საქ.-საფ. სკოლა—კვირიკაშვილი, ხე-ტყის სახერხი ქარხანა—ჩხაიძე, სოცუზრუნველყოფის კომისარიატის საწარმოები—უბირია, ქალაქის სააღმშ. კავშ. საწარმოები—ნაფეტვარიძე, სახანძრო რაზმი—ბარქაია, კონიაკის ქარხანა—გურჯიშვილი, ღვინის ქარხანა—სიგუა; [illegible] საზ-ბის საწარმოები—უნგიაძე, პურის ქარხანა—გნატიუკ, საპურკო-საკონდიტრო ფაბრიკა—ჩხარტიშვილი, ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მშენებლობა—ბაბაევი, სოიუზტრანსის საქ.-საფ. სკოლა—ჯინჭარაძე, კავშირგაბმულობის სახლი—ალანია, მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზ-ბა—ნარსია, „ზუს"-ის სახელოსნო—ქოჩიაშვილი, მკერავთა გაერთიანება—ხაჩატუროვი, საგზაო ტრესტი—მელნიკოვი, რადიო-სახელოსნოები—ეპელბაუმი; თბილისის საბჭო—თოხაძე, ცაკავშირი—დ. ქუჩულორია, საქვაჭრობა—ალ. ერქომაიშვილი, ვოროშილოვის სახ. კლუბი—ს. თოდრია, რაიბინთკავშირი—თ. ღლონტი, სახ. ოპერა—მუსაბეკოვი, რუსთაველის თეატრი—ნ. კიკნაძე, სახ. უნივერსიტეტი—ფ. მახარაძე; სას.-სამ. ინსტიტუტი—დ. ოფციაური, ზოოვეტერინალური ინსტიტუტი—გ. ქავჟარაძე, სამედიცინო ინსტიტუტი—კუპაიძე, მილიცია—თაყაიშვილი.

რუსთაველის თეატრი	26 აპრილი 1 აბ. 9 წ. ზაგმუკ	27 აპრილი 2 აბ. 9 წარ ზაგმუკ	28 აპრილი აბონ. გარეშე in tirannos

დარჩენილი ბილეთები თეატრის სალაროში 11—2 ს. და სალ. 6—9 საათზე. დასაწ. 7 ნახ. საათზე. ბ. 515

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:

ოქტომბერი ხმოვ.კინო. 6-30, 8-30, 10-30	კომედია მექსიკელი დიპლომატები პრ. გარეშე—საბჭ. საქართველო № 4.
დამკვრელი 6, 7-30, 9, 10-30	1-ლი სერია სამი სიცოცხლე პრ. გარ.—პარტიული—ნავთის ჩასხმა.
დარბაზი 6, 7-40, 9-15, 11	მხატვრ. კომედია შავი ბარაკი პროგრ. გარ.—სკკ № 7.
რ. ლიუქსემბურგის 6-30, 8-30, 10-30	უცხ.ფილ. ცეცხლიან კლდეების ველი პრ. გარეშე—საბჭოთა საქ. № 4.
სპარტაკი კომინტ. ქ. 5 6-30, 8 9-30, 11	მხატვრ. ფილმი მაქსიმ მაქსიმეს-ძე პროგრ. გარ.—სკკ. 8.
მეცნიერება და ტეხნიკა დასაწ. 7-30, 9-30	სამეცნიერო ფილმი პარტახტიანი ტიფი
ოქტომბერი 12, 1-30, 3	მხატვრ. ფილმი ქალი ტყეში პროგ. გარეშე—სკკ № 9
რ. ლიუქსემბურგის 12, 1-30, 3	მხატვ. ფილ. ორდერი სიცოცხლეზე პრ. გარ. ავტოგზა.
საბავშვო კინო დასაწ. 12 ს.	საბავშვო ფილმი მეფარეოთა ბავშვები

რესპუბლიკანურ მასშტაბის დაწესებულებ-ბა-ორგანიზაციების საყურადღებოთ

ა/წ. 1 მაისიდან საქ. კ. გ. სამმართველოს რადიო სექტორი იწყებს რესპუბლიკანურ ორგანიზაცია-დაწესებულებების ცირკულიარულ და საკრებულო დეპეშების რადიო-ტელეფონით გადაცემას.

რადიო-ტელეფონის საშუალებით გადაცემულ დეპეშებისათვის დაარსებული ნიხრი, საშუალოთ 2—3-ჯერ მცირეა, ვიდრე არსებული ტელეგრაფის ნიხრი.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს დაწვრილებითი განმარტების მისაღებათ შეუძლიათ მიმართონ თბილისის სატელეგრაფო რადიოცენტრში—რუსთაველის პროსპ. № 43, ინჟინერ ხშიადაშვილს ან ქ. გ. სამმართველოს რადიო სექტორში—რუსთაველის პრ. № 6 ამხ. ოსიპიანს.

2-1 ბ. 514 საქ. კ/გ. სამმართველოს რადიოსექტორი.

ცხადება

ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციათა საყურადღებოთ, რომ ა/წ. 20 აპრილიდან „26" კომ. სახ. დ. მ. კოოპერატივი ლიკვიდაციაქმნილია

პრეტენზიების წარმოდგენის უკანასკნელ ვადათ დაწესებულია 5 მაისი, რომლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

103 ლიკვიდკომი

ექიმი ი. მ. პარმა
შინაგანი სნეულებ. (სპეც ნივთიერებათა ცვლის და კუჭის ნაწლავის). იღებს სალ. 7—8 საათამდე, ლომინაძის (ყ. იზმაილოვის) შესახ. № 8. 13—5

ა. დ. ულენტი
შინაგანი სნეულებანი სპეც. კუჭ-ნაწლავის სნეულებათა გამოკვლევა და მკურნალობა. მიღება ყოველდღე 6—7 ს.-მდე. ოთხშაბათობით უფასოდ. წყნეთის ქ. № 8. 13—2

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულებ. მიღ. დილით 8—12 ს. საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის გამზ. № 116, სასტუმრო „ევროპა"-ს პირდაპირ. ტელ. 12-67. 25—15

საქ სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან (ლენინის ქ. № 48, ტელ. № 19-79) ა/წ. 28 აპრილიდან

იხსნება 3 თვიანი რესპუბლიკანური საისტორიო-საარქივო

კურსები

(ორი სექტორით: ქართული და რუსული) რესპუბლიკის მოქმედ დაწესებულებათა და საარქივო ორგანოთა მუშაკების მომზადება-გადამზადების მიზნით.

ქალ. თბილისის ყველა სახელმწიფო, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, აგრეთვე ადგილობრივ (ავტ. რესპუბლიკების და რაიონების) საარქივო სამმართველოებს ევალებათ გამოგზავნონ კურსებზე თავიანთი არქივის მუშაკები, ან მათი შემცვლელი კანცელარიის მომუშავეები.

კურსების მსმენელები ადგილებიდან უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სასწავლო ნივთებით.

მეცადინეობა იწარმოებს საღამოობით 6—10 ს-მდე.

122 დირექცია.

კინო-თეატრი სპარტაკი
კომინტერნის ქ. № 5
დღეს და ყოველდღე უკანასკნელი ციკლი ტრილოგიიდან
ჩვენი დროის „გმირები"
მაქსიმ მაქსიმეს-ძე
რეჟისორი ვ. გ. ბარსკი.
მთავარ როლებში: ნ. პროსოროვსკი, ნ. ობოლენსკი და ვიშნევსკაია.
სეანსები: 6-30, 8, 9-30, 11 ს. ბ. 517

ვინაიდან ჩამოყალიბდა თბილისის სამომხმარებლო კავშირთან გაერთიანება

„ტფილსათბობი"

ამისათვის ყველა მოთხოვნილებები ნავთპროდუქტებზე და მაგარ სათბობზე, ორგანიზაციების მიერ, რომლებიც იმყოფებიან თბილისში და მის ტერიტორიაზე, აგზავნონ დამოუკიდებლად „ტფილსათბობში"—მახუთის შეს. № 5.

120 საქსათბობი: ჟორჟიკია. ტფილსათბობი: თანდილოვი.

დესპინე, ნიკო, გალაქტიონი, პეტრე, ნადია ხურცილავები, ვასო და ნინა კობერიძეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას **ალექსანდრე (ბუბიკა) გიორგობიანის** ტრაგიკულად დაღუპვის გამო. 105

ბიჭიკო თულაძე, დიმიტრი ხორავა, აკაკი კვაშილავა გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას ახალგაზრდა მათემატიკის პედაგოგის **იოსებ ნესტორის-ძე ლომიას** უდროოდ გარდაცვალების გამო. 89

ს. ა. დიუელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტები.
სახის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აკნეს, თმის გაცვენას, ქერტლს და სხ. ძნელაძის ქ. № 22, 13—4

ექიმი ი. ი. ქეთხველი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყოფებს დილის 8—9 ს. და სალ. 6—8 ს.
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყ. დიდი მთავრის ქ.) ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. 25—16

ხონის სახელმწიფო თეატრის მთელი შემადგენლობა გლოვობს დიდი ხელოვანის **კოტე მარჯანიშვილის** უდროოთ გარდაცვალებას. 1109

რესპ. სახ. არტ. კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვან. არსებ. თეატრი აუწყებს საზოგადოებას, რომ 27 აპრილს საღამოს 7—30 საათზე მოსკოვიდან ექსპრესით ჩამოასვენებენ **კოტე მარჯანიშვილს** 28 აპრილს საღამოს 6 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი თეატრის შენობაში. 2—1 ბ. 512

რესპ. სახ. არტ. კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვან. არსებ. თეატრის დირექცია, მსახიობები და ტეხნიკური პერსონალი აუწყებენ საზოგადოებას, რომ უდროოდ გარდაიცვალა ამ თეატრის საუკეთესო თანამშრომელი **გიორგი რატიანი** ბ. 511

დამწუხრებულნი: მიხეილ, პეტრე, გერასიმე და ვანო ტარასაშვილები, ვახტანგი და ბაბულია გუდიაშვილები ოჯახებით იუწყებიან მათი დისწულის ახალგაზრდა ინჟინრის **გიორგი იოსების-ძე დავითაშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება 27 აპრილს ვერის სასაფლაოზე. 100

უახლოესი მეგობრები: შ. ებრალიძე, გ. ბესელაშვილი, ლ. მარკოზაშვილი, ნ. მანჯგალაძე, ვ. ფიღლიძე, ს. იაკობაშვილი, ნ. ივანიშვილი, ლ. ფხაკაძე, ა. ზანხანოვი, ლ. კეკელია, ზ. ლიბერზონი, თ. ფორჩხიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ვლადიმერ ქუთათელაძის მამის **პლატონ მიხეილის-ძე ქუთათელაძის** გარდაცვალების გამო. 75

საქ. სახდაზღვევულებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა აუწყებს საზოგადოებას აქტიური მუშაკის თავდაცვაავიაქიმის ადგილკომის თავმჯდომარის ამხ. **ვლადიმირ ალახანიას** გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. გეჯეთში 27 აპრილს. 93

თბილისის სახ. უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანატი, კომუჯრედი, კომკავშირი და პროფკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე ფაკულტეტის კომუჯრედის ბ/მგ. მდივნის სტუდენტ ამხ. **ბიქტორ დარსაველიძის** უდროოდ გარდაცვალებას. 102

შვილი თამარა და სიძე საშა რატიშვილი, შვილიშვილი ნუნუ ქმარიშვილით: საშა, თინა და მადლენა ჯაფარიძეები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას დედის და ბებიის **სალომე ზაქარიას ას. თუხარელის** უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 27 აპრილს 5 საათზე, ნაფარეულის ქუჩა № 2. სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. 95

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ბუჯღუ, იოსები, მეუღლე შაში, დები: ქსენია, მარო, ძმა ალექსანდრე, რძალი ლიდა იუწყებიან **ევგენი ოდიშარიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 26 აპრილს რკინისგზის საავადმყოფოდან. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 121

გულმოკლული მშობლები: აგრაფინა და სოლომონი, ძმები: ვალოდია, ვასო და შოთა იუწყებიან, რომ 29 აპრილს ქ. ხონში დანიშნულია დაუვიწყარ **გრიშა სოლომონის-ძე გალდავას** სამოქალაქო პანაშვიდი. 106

დამწუხრებულნი: დედა ფოტინე, ძმები: ალიოშა ცოლ ქეთევანით, კაკო, შოთა, სამსონი ლუხდუები და პაშუ, სიძე გრიგოლი შვილით კირილე იუწყებიან **გრიშა ვლადიმერის-ძე ლუხდუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ილორში 27 აპრილს, 107

ღრმად დამწუხრებულნი: ქმარი ზალიკო, შვილები: ანდრო, ვლადიმერი, დიმიტრი, მარო, დუშა, ცაცუნა, ციცუ, რძალი ვალია და სიძე მწუხარებით იუწყებიან მათთვის ძვირფას **ანა ხუხუას** გარდაცვალებას. 106

გაუბედურებული ცოლი ოლია პატარა იურიკათი, მშობლები: ბიქტორი, სეფორა, დები: თამარა, ნინა, შურაა, გალინა, გოცანა, ძმები: ლავროსი, ბიჭიკო ძვალიშვილები იუწყებიან **აკაკი (კაკო) ძვალიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 აპრილს ხონში. 106

დამწუხრებული დედა ტასია, მეუღლე ელენა, დაობლებული შვილები: ქეთინო, პატიკო იუწყებიან, რომ სამტრედიაში 28 აპრილს გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის ძვირფას **იოსებ ლეჟავას** ხსოვნის აღსანიშნავად. ბ. 513

ღრმად დამწუხრებულნი: დედა პელაგია, მეუღლე ნინო შვილებით: მარო, ანტონი, ილია, ნინა, ოთარი იუწყებიან **ილია ანტონის-ძე მელიას** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 26 აპრილს, 6 ს. ანისისტის ქ. № 17, ფერფლის გასვენება 27 აპრილს, 5 ს. ვერის სასაფლაოზე. 96

დამწუხრებული მეუღლე თამარა ხელაძე-მეფისაშვილისა, მამა ალექსანდრე მეფისაშვილი ცოლშვილით, სიმამრი ფილიპე ხელაძე ცოლშვილით ვწუხვართ საყვარელი ადამიანის **მიშა მეფისაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 აპრილს, 5 ს. გამოსვენება ყორესის ქ. 31. 99

დამწუხრებული მშობლები: ბიქტორი, დებორო, სიძე ექიმი ვ. ქათამაძე, და ლიდა, დისშვილები: ლამარა, გურამი ქათამაძეები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **დათიკო ბიქტორის-ძე გეგია** დაკრძალვა 27 აპრილს, ქ. ხონში. 97

თავზარდაცემული ცოლი იულინა, შვილები: შურა, ევნერა, და სულიკო, ძმები: დათიკო და ნოე გოგავები იუწყებიან მათთვის ძვირფასის **ისიდორე თედორის-ძე გოგავას** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 27 აპრილს, 7 ს. გორის ქ. № 23. 98

მარიამი და კატო გოთუა აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს **ელენე ივანეს-ასულ გოთუას** უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 27 აპრილს, საღამოს 7 ს. ბინაზე ნიკოლოზის ქ. № 84. 94

ღრმად დამწუხრებული მშობლები: საშა და ვახტანგი მატარაძე (ჩალთის პირველი) აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 23 აპრილს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და ძვირფასი შვილი **პატარა ლამარა** დასაფლავება 25 აპრილს ს. ელისიტეში. 91

ლანჩხუთის რაიაღმასკომის თანამშრომლები: წილოსანი, ხუხუნაიშვილი, წულაძე, წილოსანი, ებრალიძე, კილაძე, მეგრელიძე, ციხელაძე ღრმად მწუხარებას გამოთქვამენ ძვირფასი ამხანაგის მარგარიტა ციხელაძის მამის **მიტროფანე ციხელაძის** უდროოდ გარდაცვალების გამო. 92

ღრმად დამწუხრებულნი ცოლის ძმები: სპირიდონი, კოტე, აბრამი და ვასო გიგაურები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ძვირფასი და დაუვიწყარი სიძის **როსტომ ნიკოლოზის-ძე ქუმაშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ყაზბეგში. 108

საქართველოს მთასვლელები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 27 აპრილს ხუთის ნახევარ საათზე, ვერის სასაფლაოზე დანიშნულია მყინვარწვერზე ტრაგიკულად დაღუპულ თანამებრძოლის **შოთა მიქელაძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 1

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბიოლოგიური განყოფილების მეორე კურსის სტუდენტობა მწუხარებით გამოთქვამს თავის ამხანაგის **ბიქტორ დარსაველიძის** გარდაცვალების გამო. 104

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ა 1340